

მხატვრული თარგმანის მასტერკლასი



მხატვრული თარგმანის მასტიკლასი

პროექტის ხელმძღვანელი
ვახუშტი კოტეტიშვილი

პროექტის ასისტენტი
ნიკა ჯორჯანელი

რედაქტორი
ანა ჭაბაშვილი



ნიგნი გამოიცა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.
The book was published with the support of the Open Society – Georgia Foundation.

გარეკანზე გამოყენებულია ტატო კოტეტიშვილის ფოტოები

გარეკანის დიზაინერები
ტატო კოტეტიშვილი
კახა გოგსაძე

დამკაბადონებელი
ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2007

© ლიტერატურული ალმანახი „ახალი თარგმანები“, 2007

პირველი გამოცემა 2007
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-99940-45-11-2

გამომცემლობა „ახალი თარგმანები“
თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 66
ტელ. 94 00 74, ელ. ფოსტა axalitargmanebi@yahoo.com

გამომცემლობა „დიოგენე“
თბილისი, კეკელიძის ქ. 6
ტელ. 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71, www.diogene.ge

საუბრაჲი მთარგმნელოჲით ხელოვნებაჲა

ვახუშტი კოტატიშვილი

შესავალი	5
თარგმანის რაობა და სახეობანი	6
რითმის წარმოშობა და მისი განვითარების გზები	12
რითმა და თარგმანი	20
სალექსო საზომი და თარგმანი	22
ორიგინალური პოეზია და მთარგმნელობითი ხელოვნება	23
სემანტიკური შესაბამისობანი	26
„მთარგმნელის ცრუ მეგობრები“	33
თარგმანი, როგორც საშემსრულებლო ხელოვნება	34
თარგმანი და ზნეობა	37
პოეზია – „უთქმელად თქმის“ ხელოვნება	41
მინანერი მკითხველათვის	43

თარგმანები

ვახუშტი კოტატიშვილი

მარინა ცვეტაევა	45
ანა კოპალიანი	
ანა ახმატოვა	51
ბორის პასტერნაკი	54
ვასილი მერეჟკოვსკი	55
ვლადიმირ ვისოცკი	56
ნიკოლაი გუმილიოვი	58
ენ სექსტონი	59
ეზრა პაუნდი	62
დევიდ პერბერტ ლორენსი	63

არმენ არუთინოვი

ფრიდრიხ ჰოლდერლინი	65
ვლადიმერ მაიაკოვსკი	70

ქეთი თოდაძე

უზი ხიტმანი	71
ფინხას ლენდერი	72
ნაომი შემერი	73
მირიამ დრორი	73
იეჰუდა ამიხაი	76
ნაომი შემერი	76
დიდი მენუსი	77
ლუა გოლდბერგი	78
უილიამ ბლეიქი	79

ნინო დოლიძე	
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი	81
ნიზარ კაბანი	98
ვასო ლომაძე	
ინოკენტი ანენსკი	101
გიორგი ყურაშვილი	
ნიკოლაი გუმილიოვი	102
ნინო აზმაიფარაშვილი	
სერგეი ესენინი	104
ნინო გარძიმაშვილი	
ინგერ ჰაგერუპი	105
ნორვეგიული ხალხური ზღაპარი	105
ეფრაიმ სეველა	109
მარიამ გაბათაშვილი	
არნო ჰოლცი	123
მარიამ გაბათაშვილი და სალომე პატარიძე	
ფრანც კაფკა	125
დარეჯან გარდავაძე	
იუსუფ იდრისი	130
ევგენია ზახაროვა	
Реваз Иканишвили	150
მარიკა ნოდია	
შექსპირის 66-ე სონეტის ქართული თარგმანები	154

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო! მოგესალმებით და გილოცავთ ჩვენი ერთობლივი შემოქმედებითი ურთიერთობების დასაწყისს, რომელიც დააპროექტა გამომცემლობა „დიოგენემ“ და აღმანახ „ახალი თარგმანების“ რედაქციამ, ხოლო მატერიალურად უზრუნველყო ფონდმა „ლია საზოგადოება – საქართველომ“, რისთვისაც მათ ჩვენგან, უდავოდ, დიდი მადლობა ეგების.

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მხატვრული თარგმანის სფეროში ამგვარი ე.წ. „მასტერკლასი“, ანუ ქართულად რომ ვთარგმნოთ – შემოქმედებითი დაოსტატების სასწავლო სახელოსნო – პირველად იხსნება საქართველოში.

მართალია, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, და კერძოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე წლების მანძილზე იკითხება „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის“ კურსი, რომელსაც, აგერ უკვე ოთხი ათეული წელია, პირადადაც ვუძღვები აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. გარდა ამისა, მე ეს კურსი წამიკითხავს, აგრეთვე, მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში და თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში, მაგრამ ჩვენი ამჟამინდელი სახელოსნოს სპეციფიკური პროგრამა არსებითად განსხვავდება ზემოხსენებული აკადემიური კურსისაგან. ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა: მაინც რაშია სხვაობა აკადემიურ კურსსა და ჩვენს მასტერკლასს შორის? უნდა მოგახსენოთ, რომ განსხვავება არსებითია და საკმაოდ მნიშვნელოვანი.

აკადემიური კურსი მოიცავს თარგმანის ზოგადთეორიულ საკითხებს, რაც საერთოა ნებისმიერი ენიდან ნებისმიერი ტექსტის თარგმნის პროცესში. მასტერკლასი კი გულისხმობს პირადად ჩემს პროფესიულ გამოცდილებას, ჩემს მრწამსსა და ხატოვანი სისტემის ჩემეულ გააზრებას, ამასთანავე, იმ კონკრეტულსა და სპეციფიკურ პრობლემებს, რომელთა წინაშეც მე აღმოვჩენილვარ ამა თუ იმ ენიდან თარგმნისას. და რაც მთავარია, როგორ და რა გზით გადამიწყვეტია ესა თუ ის დილმა.

ერთი სიტყვით, ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო, სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი იგავის კატისაგან განსხვავებით, მე თქვენ, ლომის ბოკერებს, „ხეზე ასვლის“ საიდუმლოებაც უნდა გასწავლოთ უშურველად და ყოველგვარი შიშის გარეშე, ვინაიდან თქვენ თუ ჩემზე უკეთესი მთარგმნელები დადგებით, ჩემთვის ეს იქნება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება, ვიდრე პირადად ჩემი წარმატებები ამ ასპარეზზე. მერწმუნეთ, ამას გულწრფელად ვამბობ და არა მოჩვენებითი თავმდაბლობით, რომლის მიღმაც ხშირად უზომო ამბიციები იმალება ხოლმე.

ჩემი საუბრების თემა, ძირითადად, პოეტური თარგმანი იქნება. მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, თქვენ შორის პროზის მთარგმნელებიც ბრძანდებიან. ვეცდები, მათთვისაც არ იყოს ფუჭი და უინტერესო ის პრობლემები, რომელთა შესახებაც აქ მექნება საუბარი.

მაშ ასე, დავიწყოთ იმით, რითიც იწყება ყოველგვარი მოვლენის შესწავლა, დეფინიციით, ანუ განსაზღვრებით:

თარგმანის რაობა და სახეობანი

თარგმანი არის ნებისმიერი ტექსტის ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივ სისტემაში გადატანის ცდა.

ყოველი ენობრივი სისტემა თავისთავად წარმოადგენს ამ ენის მატარებელი ეთნოსის კოლექტიური აზროვნების წესსა და ნორმებს,

მის მიერ აღქმულ სამყაროს მოდელს, ხატსა თუ სურათს. ამდენად, ენობრივ სისტემათა სხვადასხვაობა განაპირობებს ამ სისტემათა მიერ შექმნილი სამყაროული ხატის არაერთგვაროვნებას. ავილოთ თუნდაც ყველაზე მარტივი საკითხი: ხმაბაძვითი ბგერები. როგორც ირკვევა, სხვადასხვა ენობრივი სამყაროს წარმომადგენელნი განსხვავებულად აღიქვამენ ერთსა და იმავე ბგერებს. მაგალითად, ბაყაყი ყველა ქვეყანაში ერთნაირ ბგერებს გამოსცემს, მაგრამ ქართველისთვის ყიყინებს, ხოლო რუსისთვის კი – квакает. უფრო მეტიც: ქართველისთვის ბატიც ყიყინებს, ხოლო რუსისთვის ბატი – гогочет. თუკი ბგერების ამ თვალნათლივსა თუ „ყურნათლივ“, ანუ უმარტივეს მსგავსებასაც კი ასე სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ ენები, მაშინ რაღას უნდა ველოდეთ ისეთ სფეროებში, როგორიც არის სულიერი სამყარო, მსოფლალქმა, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ ზნეობრივ-რელიგიური კატეგორიები. ამ საკითხებზე უფრო დანვრილებით შემდეგ გვექნება საუბარი.

ახლა კი თარგმანის სახეობებზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება.

თარგმნის პროცესში უპირველესი საფეხური პერმენევტიკული პროცესია, რაც ტექსტის მართებულ წვდომას, სწორ წაკითხვასა და გააზრებას გულისხმობს. ეს ზოგ შემთხვევაში ასე თუ ისე იოლად მიიღწევა, ხოლო ხშირად კი ურთულეს პრობლემად იქცევა ხოლმე, რაც მთარგმნელს ზოგჯერ თითქმის გადაუღაზავ დაბრკოლებებს უქმნის.

ეს, რასაკვირველია, უმეტესწილად მხატვრულ თარგმანს ეხება და არა თარგმანის სხვა სახეობებს, რომლებშიც სიზუსტე ბევრად უფრო იოლად მიღწევადია მათი გარკვეული სპეციფიკის გამო. გადავხედოთ, რა იგულისხმება ამ სპეციფიკურობაში.

გავიხსენოთ, თარგმანის რა სახეობები არსებობს. უპირველეს ყოვლისა, არსებობს თარგმანი ზეპირი და წერილობითი. ზეპირი, ანუ სინქრონული თარგმანი იხმარება იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს: იქნება ეს დიპლომატიური თუ სხვა საქმიანი მოლაპარაკებები ან უცხოელებთან ყოველდღიური, ჩვეულებრივი ურთიერთობა.

რაც შეეხება წერილობით თარგმანს, აქ ბევრად მეტი ნაირფეროვნებაა, ვინაიდან ადამიანს ცხოვრებაში თარგმანი ხშირად სჭირდება სხვადასხვა მიზნისათვის. აქ უნდა გამოვყოთ თარგმანის ორი სახეობა: უტილიტარული, ანუ გამოყენებითი და მხატვრული თარგმანი. აქ უტილიტარულს კინოობითი მნიშვნელობით არ ვხმარობ. ამგვარი თარგმანის სახეობანი, მართლაც, ყოველდღიურ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენს ყოფაში.

ამ სახეობის თარგმანებს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტური თარგმანი, რომლის გარეშე ადამიანის სოციალური არსებობა შეუძლებელი იქნებოდა.

დოკუმენტურ თარგმანში იგულისხმება ყოველგვარი კანცელარიული, იურიდიული თუ სხვა მსგავსი საბუთების თარგმანი, რაც ხშირად აუცილებელია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ასეთი თარგმანის უპირველესი მოთხოვნაა სიტყვასიტყვითი სიზუსტე. მაგალითად, თუ გარდაცვალების საბუთს ვთარგმნით, უნდა ვიხმაროთ ტერმინი „გარდაიცვალა“ და არა „სული განუტევა“ ან „აღესრულა“, „საუკუნო სასუფეველი პოვა“, ან „მოუსაველეთში წავიდა“, „წერილი წაიღო“, „ჭირი მოგჭამა“ ან რაიმე სხვა ამგვარი... აქ მთავარია დედანში ფიქსირებული მოვლენის ფაქტი და მისი ზუსტი, სიტყვასიტყვითი ანალოგიით შეცვლა.

დოკუმენტურ თარგმანში ყველა სიტყვა მონოსემანტიკური, ანუ ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, განსხვავებით მხატვრული ტექსტისა და მისი თარგმანისგან, სადაც პოლისემანტიზმი, ანუ მრავალმნიშვნელოვნება თვით ხატოვანი აზროვნების მეტაფორიზმით არის განპირობებული.

მაშასადამე, ამ სახეობის ტექსტებში ტერმინოლოგია და მათი შესატყვისობები ერთხელ და სამუდამოდ არის დადგენილი და გამოცხადებული ყოველგვარ სინონიმიზაციასა და მთარგმნელის თვითშემოქმედებას. ამ შემთხვევაში სიტყვებს ტერმინის მნიშვნელობა აქვს შეძენილი და ყოველი მათგანი ერთხელ და სამუდამოდ მონოსემანტიკურია.

იგივე უნდა ითქვას მეცნიერული ტექსტის თარგმანის მიმართაც.

ბუნებრივია, სამკუთხედი, წრფე, ფუძე თუ ფესვი ამავე მნიშვნელობის ტერმინებით ენდა იყოს თარგმანში წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობას მივიღებთ.

მაშასადამე, ზემოხსენებულ თარგმანთა ყველა სახეობაში ერთ ენაში დაკანონებული ტერმინოლოგიური სისტემა იცვლება მეორე ენის ანალოგიური, ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი სისტემით. ეს ის შემთხვევაა, როცა ტრაფარეტულობა თარგმანის ღირსებად ითვლება და არა ნაკლად.

ძირეულად განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს მხატვრული თარგმანი. ეს სხვაობა განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ იგი სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი გახლავთ. ეს კი ძირეულად ცვლის მის არსსა და დანიშნულებას. უპირველეს ყოვლისა, მას არა აქვს უტილიტარული ფუნქცია. მის გარეშე ადამიანს ფიზიკური არსებობა შეუძლია. იგი მხოლოდ და მხოლოდ სულიერი არსებობისათვის არის აუცილებელი.

რასაკვირველია დღესაც არსებობენ ხალხები, რომელთაც რუსთაველისა თუ შექსპირის, ფირდოუსისა თუ გოეთეს, პუშკინისა თუ რილკეს და მრავალ სხვათა სახელები არც კი სმენიათ, მაგრამ ეს არ ამძიმებს მათი ცხოვრების არხეინ რიტმს. არც ხეზე ცოცვაში უშლის ხელს და არც ბიზონებზე ნადირობაში. მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი ცხოვრება სრულყოფილად ვერ ჩაითვლება.

არამხატვრულსა და მხატვრულ თარგმანს შორის იგივე სხვაობაა, რაც არამხატვრულსა და მხატვრულ აზროვნებას შორის. პირველი თავისი არსით ლოგიკურია, მეორე კი – ალოგიკური. და სწორედ ამაში გახლავთ მისი ხიბლის იდუმალება.

არამხატვრულად, არაპოეტურად მოაზროვნე ადამიანისათვის „იისფერი თოვლი“ არ არსებობს. არც თოვლის ფანტელებსა და ქალწულებს შორის არის რაიმე კავშირი. თოვლის ფანტელები ღრუბლებიდან ცვივიან და არა ხიდიდან, საიდანაც გაუზიარებელი სიყვარულისაგან გამწარებული ქალწულები ზოგჯერ თვითმკვლევლობით ამთავრებენ ხოლმე თავიანთ ხანმოკლე სიცოცხლეს. ასეთია სინამდვილის ლოგიკა. მაგრამ გალაკტიონი ბრძანებს:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ცვენა,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.“

ამ სტროფის მთელი ეშხი ხომ სწორედ ასეთ გენიალურ ალოგიკურობაშია და ეს ახდენს იმ საოცარ სასწაულს, რასაც ჭეშმარიტი პოეზია ჰქვია.

აქ, შესაძლოა, რომელიმე თქვენგანი შემეცამათოს – მეტაფორის შემადგენელ ორ კომპონენტს შორის მაინც ხომ არსებობს რაღაც კავშირიო. და მართალიც იქნება. მეტაფორა ფარული შედარებააო – გვეუბნებიან პოეტიკის თეორეტიკოსები. თუ ეს ასეა (და მართლაც ასეა), რასაკვირველია, შესადარებელსა და შედარებულს შორის რაღაც, თუნდაც შორეული მსგავსება რომ არ არსებობდეს, მაშინ აბსურდულ აბდაუბდას მივიღებდით. აბსოლუტური ალოგიკურობა არ არსებობს, ისევე, როგორც აბსოლუტური ლოგიკურობა. სამყაროში აბსოლუტური მხოლოდ ღმერთის იდეაა, ყველა დანარჩენი შეფარდებითია მეტნაკლები დოზით.

მეტაფორის ორიგინალური განსაზღვრება მოგვცა ამერიკელმა მეცნიერმა დონალდ დევიდსონმა: „მეტაფორა არის ენის სიზმარი.“ მე თავის დროზე, როდესაც ეს წავიკითხე, აღფრთოვანდი ამ ორიგინალური დეფინიციით, მაგრამ ეს აღტყინება დიდხანს არ გამყოლია. აღმოჩნდა, რომ ოთხი საუკუნით ადრე ფრენსის ბეკონს უბრძანებია: „პოეზია – მეცნიერების სიზმარი“. თურმე მართლაც „ყველაფერი ახალი კარგად დავინყებული ძველი“ ყოფილა.

მხატვრული თარგმანი თავისთავად ორ სახეობად იყოფა: ეს გახლავთ პროზაული და პოეტური თარგმანი. პროზაულ თარგმანს, რასაკვირველია, თავისთვის დამახასიათებელი სირთულეები ახლავს, მაგრამ ის გაცილებით მარტივი და იოლია პოეტურ თარგმანზე. პროზაულ და პოეტურ თარგმანებს შორის საერთოა ის, რომ ორივეს საქმე აქვს ხატოვან აზროვნებასთან, რისი გადმოტანაც ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივ სისტემაში თავისთავად დიდ პრობლემას

ნარმოადგენს. რაც შეეხება პოეტურ თარგმანს, აქ მთარგმნელს უკვე დაბრკოლებათა მთელი კასკადი ელოება, რომელთა დაძლევა და გადალახვა დიდ ნიჭს, გემოვნებას, პოეტურ ინტუიციას, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ნიჭს ადამიანს ღმერთი აძლევს, ხოლო ცოდნა, განათლება, გემოვნება, ოსტატობა მან თავად უნდა შეიძინოს. ეს კი საკმაოდ დროსა და შრომას მოითხოვს, ვინაიდან მხატვრული თარგმანი მხოლოდ ხელოვნება კი არ არის, არამედ იგი, გარკვეულწილად, ხელოსნობის ჩვევებსა და ოსტატობის დონესაც გულისხმობს.

მე ზემოთ მოგახსენეთ, რომ პოეტური თარგმანი, მხატვრული აზროვნების სირთულეთა გარდა, მრავალი დაბრკოლების გადალახვას გულისხმობს-მეთქი. ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, ლექსის ფორმასთან დაკავშირებული სირთულენი, როგორიც გახლავთ: ლექსის სტუქტურა, საზომი, სტროფიკა და გარიტმის ნეისი, რისი განუხრელი დაცვა მთარგმნელისათვის სავალდებულოა და აუცილებელი. ამათგან ყველაზე დიდ დაბრკოლებას მთარგმნელს სწორედ რითმა უქმნის ხოლმე, ვინაიდან მთარგმნელები ხშირად აზრის ზუსტად გადმოტანას სუსტი და ტრაფარეტული რითმების ხარჯზე ახდენენ ხოლმე. ეს კი უკვე სრული დამარცხების გარანტიაა, ვინაიდან მხატვრულად სუსტი თარგმანი ვერავითარ შემთხვევაში ზუსტი ვერ იქნება. ამიტომაც, მე მინდა, ჩვენი საუბარი სწორედ რითმის რაობის გარკვევით დავიწყოთ.

მცირეოდენი შენიშვნა: თქვენ ალბათ უკვე იგრძენით, რომ მე პოეტურ თარგმანს უფრო ხშირად ვახსენებ, ვიდრე პროზაულს. ეს ისე არ უნდა გამოგოთ, თითქოს პოეტურ თარგმანს უპირატესობას ვანიჭებდე. ეს განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

1. მე, რამდენადაც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ძირითადად პოეტური თარგმანის სფეროში მიხდება მუშაობა, რომელსაც ჩემი ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი შევალიე,
2. რასაც პოეტურ თარგმანზე მოგახსენებთ, რითმისა და სალექსო საზომთა გარდა, პროზის მთარგმნელებისთვისაც არ იქნება ზედმეტი და
3. ჩვენი მასტერკლასის მსმენელთა შორის პოეზიის მთარგმნელები უმრავლესობას წარმოადგენთ.

რიტმა წარმოადგენს უაღრესად საინტერესო და ნაირსახოვან ფუნქციას მქონე პოეტიკურ მოვლენას. იგი არ შეიძლება იქნეს გაგებული როგორც ლექსის სამკაული, ამ სიტყვის ზედაპირული გაგებით. რიტმულ მონაკვეთებს შორის ბგერათა კანონზომიერ განმეორებას მხოლოდ კეთილხმოვანების ფუნქცია არ აკისრია. ლექსში რიტმის მნიშვნელობა და მისი მოქმედების არე უფრო ფართოა და ღრმა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს გაუთვითცნობიერებელ მკითხველსა თუ მსმენელს.

პოეტური აზროვნების ჩასახვის პირველ საფეხურზე რიტმა არ არსებობდა. იგი წარმოიშვა ორგანიზებული, რიტმული მეტყველების თანდათანობითი განვითარების შედეგად. ეს პროცესი კანონზომიერი იყო და მიმდინარეობდა განმაპირობებელ ფაქტორთა ორმხრივი ურთიერთშეგავლენის გზით: ერთი მხრივ, რიტმული მეტყველების განვითარება განაპირობებდა რიტმულ მონაკვეთთა ბოლოს მსგავსი ბგერათკომპლექსების, ე.ი. რიტმის გაჩენის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, რიტმის თანდათანობითი სრულყოფისა და განაირსახოვნების კვალდაკვალ ჩნდებოდა სხვადასხვა რიტმულ სტრუქტურაზე დაფუძნებული სალექსო საზომები, რაც უაღრესად ამდიდრებდა პოეტური აზროვნების ტონალურ პალიტრას. შესაძლოა, სწორედ აქ იყოს საძიებელი მიზეზი რიტმის მქონე ენათა პოეზიაში ლექსის რიტმულ სტრუქტურათა სიმრავლისა და ნაირგვაროვნებისა, რაც მკვეთრად უპირისპირდება რიტმის არმქონე ენებზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებების რიტმიკის სიღარიბესა და ერთფეროვნებას. მაგალითიასათვის იაპონური პოეზიაც კმარა, რომელშიც ლექსის რიტმს განაპირობებს მხოლოდ ხუთ და შეიდმარცვლიანი სტრიქონების მონაცვლეობა. იაპონელთათვის რიტმა უცნობია და მხოლოდ ამ ორად ორი რიტმული სტრუქტურის მქონე სტრიქონთა ოდენობა და წყობა (მუსიკალური მახვილის დახმარებით) განსაზღვრავს იაპონური ლექსის ძირითად მელოდიკურ მონახაზს.

რითმის, როგორც პოეტიკური მოვლენის, განვითარების ანალიზი ასეთ სურათს გვაძლევს. თავდაპირველად პოეტური მეტყველების რიტმული მონაკვეთების ბოლოს თავს იყრიდა ერთგავროვან დაბოლოებათა მქონე სიტყვები, რაც წარმოშობდა კეთილხმოვანებას და ამ რიტმულ მონაკვეთებს ერთმანეთისაგან მიჯნავდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რითმა (უფრო ზუსტი განსაზღვრებით: ემბრიონური ანუ ჩანასახოვანი რითმა) აღნიშნავდა რიტმულ მონაკვეთთა საზღვარს და პოეტური ტექსტის რიტმულ ქარგას უფრო მკაფიო ჟღერადობას აძლევდა. ამ ერთგავროვან დაბოლოებათა მქონე სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურა იდენტური იყო. განმეორებად ბგერათკომპლექსებს ერთი და იგივე სუფიქსები თუ ფლექსიური ფორმები ქმნიდნენ. მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით ერთგავროვანი სიტყვები თავს იყრიდა ურთიერთმოსაზღვრე რიტმული მონაკვეთების ბოლოს, რომლებიც, თავის მხრივ, იდენტურ სინტაქსურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ამდენად, რითმის ჩასახვის უპირველეს განმაპირობებელ ფაქტორად მორფოლოგიური და სინტაქსური პარალელიზმი უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, რითმა თავისი წარმოშობის პირველ საფეხურზე გრამატიკული ხასიათისა იყო და იგი გულისხმობდა მხოლოდ მორფოლოგიურ მანარმოებელთა ტავტოლოგიას, ანდა ერთგავროვან ფლექსიურ ფორმათა განმეორებადობას. რითმის განვითარების მეორე ეტაპზე გარიტმვის პრინციპთა მოქმედების არე უფრო ფართოვდება და იგი მოიცავს, ფორმანტთა გარდა, თვით სარიტმო სიტყვის ძირეულ ბგერებასაც. მესამე საფეხურზე რითმა უკვე სრულიად თავისუფლდება გრამატიკული იდენტურობის ჩარჩოებისაგან და გარიტმვის პრინციპები აერთიანებს მორფოლოგიურად სრულიად განსხვავებული სტრუქტურის მქონე სიტყვებს. აქედან გამომდინარე, რითმის განვითარების ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რითმის თანდათანობითი დეგრამატიზაციის პროცესი, რომელმაც განსაკუთრებულ აღმავლობას XX საუკუნეში მიაღწია.

პოეტიკაში ძველთაგანვე შემუშავდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით რითმა განიხილებოდა როგორც სტრიქონთა ბოლოკიდურა

სიტყვების ბგერათშეთანხმება. ჯერ კიდევ ე. ტრედიაკოვსკი წერდა, რომ რითმა – ეს არის „ორი სალექსო სტრიქონის თანახმიერი დაბოლოება.“ დაახლოებით ამავე აზრს იზიარებდა ვ. ვოსტოკოვიც. თანდათანობით რითმის განსაზღვრება უფრო დაზუსტდა და XX საუკუნის დასაწყისში უკვე ვხვდებით ისეთ განმარტებებს, რომლებშიც ხაზგასმულია მახვილიანი ხმოვნის განმეორების აუცილებლობა. მაგალითად, ა. ტობლერის განსაზღვრებით, „რიტმა არის სიტყვათა მახვილიანი ხმოვნებისა და მათ მომდევნო ბგერათა თანახმიერება (Gleichlaut)“. ხოლო ი. მინორის განმარტებით, „რიტმა არის სიტყვათა უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნებისა და ყველა მომდევნო თანხმოვანთა და ხმოვანთა თანაჟღერადობა (Gleichklang)“. რითმის ასეთი განსაზღვრება ტრადიციად იქცა და იგი თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო ნაშრომებსა თუ სახელმძღვანელოებში.

ერთ-ერთი პირველთაგანი იმ მეცნიერთა შორის, რომელთაც ყურადღება მიაქცევს რითმის მრავალფუნქციურ ბუნებას და არსებითი კორექტივი შეიტანეს რითმის განსაზღვრებაში, იყო ვ. ჟირმუნსკი. იგი 1922 წ. წერდა: „რიტმას ჩვენ ვუნოდებთ შესაბამისი რიტმული ჯგუფების (სტრიქონის, ნახევარსტრიქონის, პერიოდის) ბოლოს ბგერათა განმეორებას, რომელიც ასრულებს მაორგანიზებელ როლს ლექსის სტროფულ კომპოზიციაში“. მანვე თავის მეორე ნაშრომში მოგვცა უფრო ფართო, ზოგადი განსაზღვრება. მისი აზრით, რითმა არის „ბგერების ყოველგვარი განმეორება, რომელიც ასრულებს მაორგანიზებელ ფუნქციას ლექსის მეტრულ კომპოზიციაში.“ როგორც ვხედავთ, ვ. ჟირმუნსკიმ ყურადღება გაამახვილა რითმის მაორგანიზებელ ფუნქციაზე და, აგრეთვე, ადგილზე (თავრითმებსა და შიდარითმებზე მინიშნება ბოლორიტმათა პარალელურად). ვ. ჟირმუნსკის უდავოდ სწორმა განმარტებამ საკმაოდ გამოხმაურება პოვა სამეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილმა სავსებით გაიზიარა მისი მოსაზრებანი. ამის დამადასტურებელ ფაქტებს უახლეს გამოკვლევებშიც ვხვდებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ჟირმუნსკის ნიგნმა („რიტმა, მისი ისტორია და თეორია“) საკმაოდ მწვავე კამათიც გამოიწვია. 1924 წ. გამოქვეყნდა ცნობილი პოეტისა და თეორეტიკოსის ვალერი ბრიუსოვის რეცენზია, რომელშიც საკმაოდ კრიტიკულად არის

განხილული ვ. ჟირმუნსკის აღნიშნული ნაშრომი. მაგრამ ვ. ბრიუსოვი ავტორს ეკამათება უმთავრესად რითმის ევოლუციისა და ახალი რითმის პრობლემათა თაობაზე. რაც შეეხება რითმის არსის განსაზღვრებას, როგორც ჩანს, იგი საკმაოდ არ თვლის. დასასრულს, თავისი მრავალრიცხოვანი შენიშვნების მიუხედავად, იგი ვ. ჟირმუნსკის ნაშრომს ღირსეულ შეფასებას აძლევს და მას ამ საკითხთა შემდგომი კვლევა-ძიების საფუძვლად მიიჩნევს.

რუს თეორეტიკოსთა მიერ შემოთავაზებულ რითმის ყველა დეფინიციათა ჩამოთვლას რომ მივყვეთ, საკმაოდ დიდ დროს წაიღებს. ამიტომ ამჯერად ეს ვიკმაროთ. მხოლოდ ერთს ვიტყვი: მათ დიდ უმრავლესობას, ცხადია, სათანადოდ არ ესმის შიდა რითმის ბუნება და მისი ფუნქციები ლექსის მთლიან სტრუქტურაში.

მაგალითად, ბესიკის „ტანო ტატანოსა“ და ნ. ბარათაშვილის „მერანს“ ერთი და იგივე საზომი (თოთხმეტმარცვლელი 5 – 4 – 5) უდევს საფუძვლად. მიუხედავად ამისა, პოეტიკის საკითხებში ჩაუხედავი მსმენელიც კი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა ამ ორი ლექსის რიტმულ სტრუქტურებს შორის.

ბესიკი (გარიტმების სქემა: aab, ccb):

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!

ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერსაკარებო!

ნ. ბარათაშვილი (გარიტმების სქემა: aa):

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,

უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!

ამ შემთხვევაში განსხვავებას სწორედ შიდა რითმების არსებობა განაპირობებს. შესაძლოა, ბ. პ. გონჩაროვის (ისევე როგორც ლ. ი. ტიმოფეევისა და სხვა მკვლევართა) უყურადღებობა იმით აგვეხსნა, რომ შიდა რითმა რუსული პოეზიისათვის დამახასიათებელი არ არის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს შიდა რითმა რუსულ ლექსებში საერთოდ არ გვხვდებოდეს. გავიხსენოთ თუნდაც, კ. ბალმონტის, ვ. ხლენიკოვის, ვ. მაიაკოვსკის, ბ. პასტერნაკის და სხვათა ლექსები.

ამ თვალსაზრისით რითმის ირგვლივ არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ქართველ თეორეტიკოსთა ნაშრომებში თავრითმებისა და განსაკუთრებით შიდა რითმების საკითხი საეჭვოდ არასოდეს ქცეულა და იგი ყოველთვის სათანადო ყურადღებას იმსახურებდა. ეს იმით არის განპირობებული, რომ შიდა რითმა ქართული პოეზიისათვის უაღრესად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს.

რითმის, როგორც მრავალნახნაგოვანი პოეტიკური მოვლენის სირთულემ, მისი ფუნქციების ნაირგვარობამ და მისმა შინაგანმა დიალექტიკურმა ხასიომ, როგორც აღვნიშნეთ, გამოიწვია განსაზღვრებათა სიჭარბე. ე. ჟირმუნსკის მიერ განმარტება რითმისა ზოგიერთი თეორეტიკოსის მიერ არ იქნა გაზიარებული მისი ზოგადობის გამო. ბევრი მეცნიერი ცდილობდა, უფრო დაეკონკრეტებინა რითმის ცნების განმარტება და, რაც მთავარია, როგორმე მასში შეეტანა რითმის ფუნქციათა ვრცელი ნუსხაც. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია რითმის განსაზღვრებათა მეტისმეტი გადატვირთვა, რის შედაგადაც მივიღეთ უაღრესად ვრცელი, ბუნდოვანი, ერთი შეხედვით ყოვლისმომცველი, მაგრამ მაინც არაფრის მთქმელი განსაზღვრებანი. ამის გამო უაღრესად მართებულად შენიშნავს ბ. ტომაშევსკი „რითმისთვის უნივერსალური განსაზღვრების გამოძენის ცდას მიყვარათ იქამდე, რომ ასეთი განსაზღვრება უაზრობად იქცევა.“

რითმის განსაზღვრების სირთულეს ხშირად აღნიშნავენ სამეცნიერო ლიტერატურაში, ცდილობენ უახლესი გამოკვლევების საფუძველზე უფრო დააზუსტონ რითმის კლასიფიკაცია, მის ფუნქციათა ახალ-ახალი ასპექტები. საკამათოა (და უნდა შევნიშნოთ, რომ უაღრესად სამართლიანადაც) ისეთი საკითხიც კი, თუ საიდან დავიწყოთ რითმა და სხვა მისთ...

მეცნიერება ვითარდება, წინ მიდის, მოვლენათა წიაღში უფრო ღრმად იჭრება და მრავალ ახალ პრობლემას ავლენს. ეს ბუნებრივია, მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ თვით რითმაც ცვალებადობს და ყოველ ისტორიულ ვითარებაში რაღაც გარკვეულ სიახლეს იძენს. რითმათა არსებითი თუ ნიუანსობრივი

სხვადასხვაობა მარტოდენ ენათა სხვადასხვაობით არ არის განპირობებული. თვით ერთსა და იმავე პოეტურ ენაში სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ვხვდებით რითმათა განსხვავებულ სტრუქტურებს. ერთ ეპოქაში თუ რითმას გარკვეული მოთხოვნები წაეყენება, შესაძლოა, სხვა ვითარებაში შეიცვალოს ეს ნორმები და რითმა პოეზიის სარბიელზე სრულიად ახალი სტრუქტურული ნაირსახეობებით იქნეს წარმოდგენილი, ამავე დროს საგრძნობლად შეიცვალოს მის ფუნქციათა ზოგიერთი ასპექტი, შევინროვდეს ან გაფართოვდეს მისი სემანტიკური ველის საზღვრები. სწორედ ეს გარემოება უშლის ხელს რითმის ყოვლისმომცველი და უნივერსალური განსაზღვრების ჩამოყალიბებას. შედარებით ზუსტად შეიძლება განისაზღვროს რითმის რაობა კერძოდ აღებული რომელიმე ენის პოეტური აზროვნების ამა თუ იმ ეტაპზე. ცხადია, პუშკინამდე რუსულ პოეზიაში გარიტმვის სულ სხვა ნორმები არსებობდა; პუშკინის ეპოქაში მოხდა ძირეული გარდატეხა, ხოლო XX საუკუნის პირველსავე მეოთხედში იფეთქა სრულიად ახალმა ტალღამ, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მანამდე არსებული გარიტმვის პრინციპები. გავიხსენოთ, თუნდაც, ვ. ხლებნიკოვის, ვ. მაიაკოვსკის, ნ. ასეევის, ბ. პასტერნაკის, მ. ცვეტაევისა და სხვათა რითმები. ის სიახლენი, რომლებიც ამ პერიოდის პოეტებმა შემოიტანეს სწორედ რითმის სტრუქტურის გარდაქმნის თვალსაზრისით, საკმაო თვალსაჩინოებით არის განხილული სპეციალურ ლიტერატურაში. ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით ქართულ პოეზიაშიც.

შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის, არჩილ მეფისა თუ ბესიკის და სხვათა პოეტურ ქმნილებებში მუღავნდება გარიტმვის გარკვეული პრინციპები, რომლებიც საგრძნობლად შეიცვალა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (გავიხსენოთ, განსაკუთრებით, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ერთმარცვლოვანი რითმები ქალურსა და დაქტილურ კლაუზულებში). XIX საუკუნის გარიტმვის ნორმები პრინციპულად შეიცვალა XX საუკუნის პირველ მეოთხედშივე (გ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე და სხვ.). ჩვენ რომ ყოველი ეს ნიუანსი გავითვალისწინოთ და შევეცადოთ რითმის განსაზღვრებაში მათს ფიქსაცია-აღნუსხვას, ბუნებრივია,

სასურველ შედეგს ვერ მივალწევთ. ამიტომ, ვფიქრობთ, ყოველად გამართლებულია ის ზოგადი განსაზღვრება, რომელსაც ვხვდებით ვ. ჟირმუნსკის ზემოთ მოხმობილ ციტატაში და იმ ავტორთა ნაშრომებში, რომლებიც ძირითადად მის განმარტებას ემყარებიან. რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ განმარტებებს, ჩვენი აზრით, მათი უმრავლესობა ან არასაკმაოდ ზუსტია, ან კიდევ – ზედმეტად გადატვირთული. აი, მათგან ზოგიერთი: „რითმა აკუსტიკურ ერთგვარობათა განმეორებაა ტაეპის თავში, შუაში ან ბოლოში, უფრო ხშირად – ბოლოში“ (ს. გორგაძე); ანდა: „რითმა – ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი განმეორება, ბგერათა შეწყობა-შეთანხმების ერთობლიობა სალექსო სტრიქონში“ (ა. ჭილაია). ორივე განსაზღვრება, ჩვენი აზრით, ნაკლებია. პირველში არ არის ხაზგასმული ბგერათა განმეორებადობის კანონზომიერი ხასიათი, მეორეში კი – რითმა მხოლოდ სტრიქონის ევფონიურ მომანუსრიგებლად არის გაგებული და არა მთელი სტროფისა. გარდა ამისა, მათგან არც ერთში არ არის მინიშნებული რითმის მიმართება რიტმულ მონაკვეთებთან, რომლის გარეშეც რითმა არ არსებობს. ეს დადგენილი ფაქტია და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამათგან განსხვავებით, ა. განერელიასმიერი განმარტება საკმაოდ სრულია, მაგრამ მეტისმეტად არის გავრცობილი და, ამასთანავე, მასში რითმის ფუნქციათა აღნუსხვის ცდა იწვევს სტილისტურ გადატვირთვას, რაც განსაზღვრებისათვის არ არის სასურველი. აი ეს განსაზღვრებაც: „რითმა ეწოდება ერთგვარ ან დაახლოებით მსგავსი ბგერების (ხმოვნებისა და თანხმოვნების) გამეორებას უმთავრესად ტაეპის ბოლოს და ასრულებს გარკვეულ კომპოზიციურ დანიშნულებას თითოეული ტაეპის ცალკეულ ერთეულებად გამოყოფისას, ხოლო შემდეგ – თვითონ ტაეპების რთულ რიტმულ ჯგუფებად, ანუ სტროფებად დანაწევრებაში“.

ა. ხინთიბიძე ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს: რითმა „ეწოდება ბგერათა ერთი და იმავე ან მსგავსი კომპლექსების კანონზომიერ განმეორებას გარკვეულ რიტმულ მონაკვეთში, უპირატესად სტრიქონის ბოლო ნაწილში“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ხინთიბიძემ ჩვენთან საუბარში, შემდგომ, თავად გამოთქვა უკმაყოფილება ამ განსაზღვრების

გამო იმ მოსაზრებით, რომ მასში ბგერათკომპლექსის ნაცვლად სიტყვის, როგორც სემანტიკური ერთეულის როლი უნდა იყოსო წარმოჩენილი. უდავოდ სწორი აზრია, მით უმეტეს, რომ დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეობაში სარიტმო სიტყვების სემანტიკურ მხარეს სამართლიანად მიეცა განსაკუთრებული ყურადღება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მე შესაძლებლად მივიჩნიე რიტმის რაობის ასეთი განმარტება:

ლექსის რიტმულ მონაკვეთთა საზღვრებზე თანახმიერ
სიტყვათა კანონზომიერ განმეორებას რიტმა ეწოდება.

ვფიქრობთ, რიტმის ასეთი განსაზღვრება დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს სისრულის პრეტენზია. რიტმის ფუნქციათა სიჭარბისა და მის სტრუქტურულ ნაირსახეობათა ამომწურავი აღნუსხვა მოკლე განმარტებაში ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც ეს ყოველივე პოეტიკის სახელმძღვანელოებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში რიტმის განსაზღვრების შემდგომ უნდა იყოს წარმოდგენილი და სათანადოდ ახსნილი – სახელდობრ, რიტმის როლი სალექსო სტრიქონის მელოდიკურ-ინტონაციური მონახაზის სტრუქტურაში (შიდარიტმების არსებობისას), სალექსო სტრიქონთა დასაწყისის მელოდიკური აქცენტირების გამოკვეთაში (თავრიტმების გამოყენებისას), სალექსო სტრიქონთა კლაუზულების დაკავშირებასა და ურთიერთშეთანხმებაში (ბოლორიტმების გამოყენების შემთხვევებში), რაც სტროფის არქიტექტონიკისა და კომპოზიციის უმთავრეს პირობად გვევლინება და სხვა მისთ...

კიდევ რა პრობლემები იჩენს თავს რიტმის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოეტიკური მოვლენის განხილვისას? აი, ამ საკითხთა ზოგადი ნუსხა: რიტმათა ფონეტიკური სტრუქტურა და მარცვალთოდენობა (ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი, ხუთმარცვლიანი... არათანაბარმარცვლიანი და სხვ.), რიტმათა აქცენტუაციური ნაირსახეობანი (ვაჟური, ქალური, დაქტილური, ზედაქტილური, არათანაბარმარცვლიანი), რიტმათა მორფოლოგიური სტრუქტურა,

(ძირეული, სუფიქსური, ძირეულ-სუფიქსური), რითმათა ადგილმდებარეობა სტრიქონის შიგნით (თავრითმა, შიდარითმა, თავისი ნაირსახეობებით: ცეზურული, წინაცეზურული, უკანაცეზურული, შინაგან-გარეგანი, გარეგანი, ანუ ბოლორითმა, კიბური, ანუ მომდევნო სტრიქონში გარდამავალი და სხვანი), რითმათა განლაგება სტროფული კომპოზიციის თვალსაზრისით (მოსაზღვრე, ინტერვალიანი, ჯვარედინი, რკალური, შერეული და სხვ.), რითმათა ჯერადობა (ორჯერადი, სამჯერადი, ოთხჯერადი და ა.შ. ამასთანავე მონორითმულ ლექსთა სხვა ნაირსახეობანი), რითმათა აღნაგობა (მარტივი, რთული, კვეთილი, ღია, დახურული, მდიდარი, ღარიბი, ღრმა და სხვ.), რითმათა სემანტიკური მიმართებანი (გრაფიკული, გრაფიკულ-აკუსტიკური, აკუსტიკური რითმები, რომელთაც ზუსტი და არაზუსტი რითმების სახელით იცნობს ლიტერატურული ტრადიცია), ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის საკითხები (ასონანსი, კონსონანსი...), სარიტმო ერთეულთა საზღვრების დადგენა, ანუ რითმის აკუსტიკურ-სემანტიკური მოცულობის საკითხი, რითმის სემანტიკის პროგრესულ-რეგრესული მიმართებანი და სხვა მრავალი...

რიტმა და თარგმანი

ახლა გადავხედოთ რა მიმართებაში შეიძლება იყოს თარგმანის რითმა ორიგინალის რითმასთან. აქ ორი საკითხი გამოიყოფა:

1. რითმის რაგვარობა და
2. რითმათა განლაგება ლექსის საერთო სტრუქტურაში.

რიტმის რაგვარობის ზუსტი დაცვა შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვადასხვა ენაში აქცენტუაციის, ანუ მახვილის საკითხი განსხვავებულია: მაგ., ფრანგულ, სპარსულ, რუსულ და ბევრ სხვა ენაში მახვილი სიტყვებს ხშირ შემთხვევაში ბოლო მარცვალზე მოუდის, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს ე.წ. ვაჟური რითმების სიმრავლეს. ქართულ ენაში კი ასეთი რამ მხოლოდ ერთმარცვლიან

სიტყვებში შეიძლება მოხდეს. ამიტომაც არის, რომ ქართულ ლექსში ქალური და დაქტილური რითმები ჭარბობს. იმავე მიზეზის გამოა, რომ ქართულ სალექსო ტერფებს შორის ქორესა და დაქტილის, ან ჰიპერ-დაქტილის პარალელურად იამბი არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, თარგმანში რითმათა რაგვარობის დაცვა შეუძლებელია და ამიტომ მთარგმნელს იგი არც მოეთხოვება.

სულ სხვაა რითმის ადგილმდებარეობა ლექსის, უფრო ზუსტად კი – სტროფის სტრუქტურაში. სასურველია, თარგმანში დაცული იქნეს დედნისეული გარიტმვის სქემა: მოსაზღვრე (a a), ჯვარედინი (a b a b), რკალური (a b b a) თუ სხვ. მაგრამ, როდესაც კანონიკური სალექსო ფორმის თარგმნას ვინწყებთ, მკაცრად უნდა დავიცვათ გარიტმვის წესი. ასეთებია: სონეტი, ტრიოლეტი, ყასიდა, ლაზალი, რობაი და ა.შ. უფრო მეტიც: დაცული უნდა იყოს ამა თუ იმ სალექსო ფორმის სტროფიკის ვარიანტული სხვაობანი, მაგ.: ვიცით, რომ არსებობს სონეტის ორგვარი სახეობა: იტალიური (4 – 4 – 3 – 3) და ინგლისური (4 – 4 – 4 – 2). მათ შორის არსებული სტრუქტურული სხვაობა მხოლოდ ფორმალური და მელოდიკური კი არ არის, არამედ მხატვრულ-სემანტიკურიც. ერთი არავითარ შემთხვევაში მეორეს არ უდრის. ასეთ შემთხვევებში განუხრელად უნდა იქნეს დაცული გარიტმვის დედნისეული ფორმა.

ეს, რაც შეეხება ბოლორიტმებს. მაგრამ ხომ არსებობს რითმის სხვა სახეობანიც, როგორიც არის თავრიტმა და შიდარიტმა, რომელთაც განსაკუთრებული პოეტურ-მხატვრული ფუნქცია აკისრიათ არა მხოლოდ ტაეპის, არამედ ლექსის მთლიან სტრუქტურაში.

ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ მაქსიმალურად დავიცვათ ამგვარი პოეტური ხერხები. წინააღმდეგ შემთხვევაში თარგმანი მხატვრული თვალსაზრისით სრულფასოვანი ვერ იქნება.

მაგალითისათვის მოვიხმოთ სპარსული ლაზალის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც მთლიანად შიდარიტმებით არის გამართული. მისი სქემა ასეთი გახლავთ:

a ----- a ----- a

b ----- b ----- a

c ----- c ----- a და ა. შ.

რასაკვირველია, ასეთ შემთხვევებში გარითმვის სქემის დაცვა სავალდებულოა, ვინაიდან იგი ლექსის სამკაულს კი არ წარმოადგენს, არამედ პოეტური ტექსტის განუყოფელ ნაწილს, ვინაიდან მთელი ლექსი ამ სისტემაზეა აგებული.

ამჯერად ეს ვიკმაროთ. ზოგადად ამის თქმა შეიძლება. მაგრამ ჩემი პედაგოგიური და მეგობრული რჩევა იქნება: ყოველ სათარგმნ ლექსს ინდივიდუალურად უნდა მიდგომა. ყოველი ლექსი ცოცხალ არსებასავით არის: სუნთქავს, მეტყველებს, მღერის... იგულისყურეთ მისი იდუმალი სათქმელი და ეცადეთ, რომ სხვა ენობრივ გარემოშიც ანალოგიურად ჟღერდეს მისი მელოდიკა და ფერთა პალიტრა.

სალექსო საზომი და თარგმანი

უნდა გვახსოვდეთ, რომ სხვადასხვა ენაში სალექსო საზომთა სტრუქტურულ-მელოდიური ნაირსახეობანი მთლიანად არის განპირობებული თვით ამ ენობრივ სისტემათა განსხვავებული არქიტექტონიკით. ამიტომ ბუნებრივია, რომ არამონათესავე ენებში ეს სხვაობა თავს, განსაკუთრებით, პოეზიაში იჩენს, სადაც მახვილი, ტონალობა, მელოდიურობა განმსაზღვრელ როლს თამაშობს. ამიტომაც არის, რომ არამონათესავე ენებში სალექსო საზომთა შორის იგივეობა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, თითქმის გამორიცხულია.

მაგალითად ავიღოთ არაბულ-სპარსული ლექსნეოებიდან ე. წ. „სრული ჰაზაჯი“. იგი მარცვალთოდენობით (4 – 4 – 4 – 4) ემთხვევა ქართულ თექვსმეტმარცვლიან მაღალ შაირს, მაგრამ მარცვალთ-რაგვარობით არა, ვინაიდან სპარსულ „არუზში“ (ანუ ლექსნეობაში) ამ საზომს საფუძვლად უდევს მარცვალთა სიგრძე-სიმოკლე, რაც ქართულისათვის სრულიად უცხოა. მაშასადამე, განსხვავებული სტრუქტურის ენებში სალექსო საზომთა იდენტურობა ილუზორულია.

აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ლექსის თარგმნისას სალექსო

საზომის ზუსტი ადეკვატის ძიება ფუჭი საქმეა. ამის ნაცვლად მთარგმნელი უნდა ეცადოს თავისი ენის სალექსო მეტრიკაში მელოდირი შესატყვისი მოუძებნოს დედნის საზომს. მაგალითად, ორიგინალი თუ მცირემარცვლოვანი საზომით არის დანერილი, თოთხმეტ- ან მეტმარცვლოვანი ლექსით არ თარგმნოს.

ვთქვათ, ვთარგმნით იაპონურ ლექსს, რომელიც იმ სისტემაში არსებული წესის თანახმად 7- და 5-მარცვლიან სტრიქონთა კანონზომიერ მონაცვლეობაზეა დამყარებული. უნდა ვეცადოთ, რომ თარგმანში ეს სტრუქტურა შევინარჩუნოთ. რაც შეეხება მელოდირულ უღერადობას, მისი დაცვა თარგმანში შეუძლებელია, ვინაიდან იაპონური ენისათვის დამახასიათებელი მახვილი ქართულისათვის სრულიად უცხოა.

უცხო ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ლექსი ბუნებრივად უნდა უღერდეს და არ უნდა იყოს ამოვარდნილი ქართული პოეზიის პარტიტურიდან. მას, რასაკვირველია, შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს დედნისეული კოლორიტი, მაგრამ იგი ქართული პოეზიისათვის უცხო სხეულად არ უნდა იქცეს. სხვაგვარად იგი ვერ დაიმკვიდრებს ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში და მთარგმნელის გარდაცვალებისთანავე პოეებს „საუკუნო განსასვენებელს“.

ორიგინალური პოეზია და მთარგმნელობითი ხელოვნება

საინტერესოა, რა მიმართება არსებობს ორიგინალურსა და მთარგმნელობით შემოქმედებას შორის? ერთი და მეორეც სიტყვიერ ხელოვნებას წარმოადგენს, ერთი და მეორეც ერთსა და იმავე მხატვრულ არსენალს იყენებს ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, მათ შორის სხვაობა საგრძნობლად დიდია, მაგრამ ამას რატომღაც არ აღნიშნავენ ხოლმე, რასაკვირველია, არა შეგნებულად, არამედ შეუგნებლად.

ორიგინალური მწერლობა თავისუფალი შემოქმედებითი პროცესია. შენ ხარ და თეთრი ქალაქი. რაც მოგესურვება, იმას წერ. გნებავს, სატრფოს უძღვნი ათრთოლებილ სტრიქონებს, გნებავს, ნუთისოფლის ამაოებაზე მოჰყვები ჩივილს, გნებავს, ბედისადმი დაუმორჩილებლობას იქადაგებ და გნებავს, მლიქვნელურ ხოტბას მიუძღვნი ძლიერთა ამა ქვეყნისათა. რასაც დაწერ, მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ხარ პასუხისმგებელი. გაიმარჯვებ? – დიდება შენდა! დამარცხდები? – ვაი შენს თავს!

ახლა გადავხედოთ მთარგმნელობით პროცესს: აქ შენსა და თეთრ ქალაქს შორის ორიგინალის ტექსტის დაბრკოლებებია გადასალახი. აი, ამ დაბრკოლებათა ზერელე ჩამონათვალი:

პირველი და უმთავრესი – დედნისეული ტექსტის აღქმა და მისი სიღრმეების წვდომა. გარკვევა იმისა, რა არის ამ ლექსში ნათქვამი და რა არის უთქმელი, ნაგულისხმევი, სტრიქონებს შორის გაჟონილი და მხოლოდ გონით კი არა, სხეულით საგრძნობი, ტაოს დამყრელი და ჟრუანტლის მომგვრელი, რომლის გარეშე პოეზია არ არსებობს, ვინაიდან ჭეშმარიტი პოეზია მხოლოდ თქმის ხელოვნება კი არ არის, არამედ ხმამაღლა ართქმის ხელოვნებაც გახლავთ. სწორედ აქ არის მიმალული მისი ხიბლი თუ ჯადო. რასაც ვგრძნობთ, მაგრამ სახელი ვერ დავგვირქმევია.

გონით აღსაქმელს ასე თუ ისე იოლად ეშველება, მაგრამ იმ უხილავ, უთქმელ, ნაგულისხმევ ქვეტექსტს რა უნდა მოუხერხოს მთარგმნელმა? მან ხომ, თქმულის გარდა, ეს უთქმელობაც უნდა გადაიტანოს თარგმანში. ეს კი გაცილებით რთულია, ვიდრე სიტყვიერად აუღერებული აზრის გარდათქმა სხვა ენაზე.

კიდევ ერთი არსებითი სხვაობა ორიგინალურსა და მთარგმნელობით ხელოვნებას შორის: განათლება.

ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, სასურველია ორიგინალური შემოქმედისთვისაც, მაგრამ არა სავალდებულო. აქ ნიჭია მთავარი. ნიკო ფიროსმანს არავითარი სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ გენიალური მხატვარი იყო. ამასთანავე, ყოველმა რიგითმა ხელოვნებათმცოდნემ, რასაკვირველია, მასზე ბევრად მეტი იცის, მაგრამ ერთ ყურმოტეხილ ქოთანსაც ვერ დახატავს.

ასევე ნიკო სამადაშვილს, შეასძლოა, პოეტიკის ტომები არ ჰქონდა დამუშავებული, მაგრამ ისეთ პოეტურ ხატებს ქმნიდა, როგორიც პოეტიკის თეორეტიკოსებს არც დასიზმრებიათ.

ან ჩვენი ხალხური მელექსეები, მიხა ხელაშვილი გნებავთ თუ ბატარკაც ბექაური, ივანე ნიკლაური თუ იოსებ ბაიაშვილი და მრავალნი სხვანი დიდი განათლებით ვერ დაიტრაბახებდნენ, მაგრამ მათი მელექსეები დაამშვენებდა ნებისმიერი ქვეყნის კლასიკურ ლიტერატურას.

ორიგინალურ შემოქმედებაში ეს, როგორც მოგახსენეთ, დასაშვებია. რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა გამიგოთ, თითქოს მე შემოქმედთა გაუნათლებლობას ვქადაგებდე. ბუნებრივია, კულტურა და განათლება არავის ანყენს, მაგრამ ორიგინალურ ხელოვნებაში მთავარი მაინც ღვთით ბოძებული ნიჭია, რაც მთარგმნელისათვის, ვაგლახ, რომ საკმარისი არ არის. პლატონსა თუ შექსპირს, რუსთაველს თუ ფირდოუსის, გოეთესა თუ ბოდლერს და ბევრ სხვა ავტორს გაუნათლებელი კაცი ვერ თარგმნის.

მთარგმნელობითი ხელოვნება, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გარკვეულწილად მეცნიერებაც არის. აქ, რასაკვირველია, ჰუმანიტარულ დარგებს ვგულისხმობ და არა მათემატიკასა თუ კოლოიდურ ქიმიას. ტექსტის ინტერპრეტაცია მეცნიერული პროცესია, მით უმეტეს, თუ ძველ ან შუა საუკუნეების ლიტერატურას ვთარგმნით. აქ უკვე მხოლოდ ფილოლოგიური განსწავლულობა არ კმარა. მის პარალელურად საკმაოდ მრავალფეროვანი მეცნიერული არსენალის საფუძვლიანი თუ არა, ენციკლოპედიური ცოდნა მაინც არის აუცილებელი.

ამიტომ, ვინც მთარგმნელობას აპირებს, კეთილ ინებოს და ეზიაროს იმ უზარმაზარ სამყაროს, რომელსაც მსოფლიო კულტურა ჰქვია.

ერთია სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობა და სრულიად სხვაა მისი კონტექსტუალური სემანტიკა. როგორც ირკვევა, განსხვავებულ ენებში, ერთი შეხედვით, მსგავსი სიტყვების მნიშვნელობა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგ. ცალკე აღებული რუსული „СТОЛ“, რასაკვირველია, უდრის ქართულ „მაგიდას“, მაგრამ როგორც კი ეს სიტყვები წინადადებაში მოხედებიან, სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენენ. მე ამაზე ვწერდი ჩემი „აღმოსავლურ-დასავლური დივანის“ წინათქმაში: „ამორი სიტყვის პირველად, სალექსიკონო მნიშვნელობებს შორის შესაძლოა დაისვას იგივეობის ნიშანი, მაგრამ საკმარისია ისინი მოხვდნენ გარკვეულ კონტექსტში, რომ მათ ეს ჩვეული სემანტიკური ჩარჩო აღარ მოეგოთ.

„Ногатый стол“ ჩვეულებრივ, „მდიდრულ მაგიდას“ ნიშნავს, თუკი ამ ნივთის თვისებებზეა საუბარი. ვთქვათ, ძვირფასი ხისგან არის დამზადებული, ინკრუსტირებულია და ანტიკვარულ ფასეულობას წარმოადგენს. მაგრამ თუ მასზე მორთმეული გასტრონომიული სიუხვე იგულისხმება, იგი ქართულად „მდიდრულ სუფრად“ უნდა ითარგმნოს. ხოლო ეს უკანასკნელი რუსულად რომ ვთარგმნოთ, როგორც „ногатая скатерть“ რუსი მკითხველის მიერ იგი პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ ძვირფას ქსოვილად აღიქმება მხოლოდ.

ეს ყველაფერი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც მთარგმნელი იდიომებს მიადგება. მაგალითად, ასეთი გამოთქმა: „скатертью дорога“, რასაკვირველია, არ შეიძლება ითარგმნოს: „გზად სუფრა დაგეფინოსო“, ვინაიდან აქ არც ფიანდაზზეა საუბარი და არც არსენა ოძელაშვილის „ჰობი“ იგულისხმება, „გზებზე სუფრის გადაფენა“ რომ უყვარდა ცხონებულს.

ერთი სიტყვით, არამხატვრული თარგმანი ხელობაა, მხატვრული კი ხელობაც არის და ხელოვნებაც. და იგი ბევრად უფრო სახიფათო სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება, სადაც ხელოვანი თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვისგან

და მას მართლაც შეუძლია გალაკტიონისებურად ბრძანოს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ (რასაკვირველია, ამ განცხადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ მას ღვთივობა მიმართული ნიჭი უდევს საფუძვლად და არა მანიაკალური ამბიციის). და მაინც, ამ სირთულეების მიუხედავად, რა აიძულებს ხელოვან ადამიანს, თავისი პირადი, საკუთარი შემოქმედება გვერდზე გადადოს და სხვისი ნააზრევის ლაბირინთებში დაიწყოს უგზო-უკვლო ხეტივლი? რით არის გამართლებული ეს ფათერაკებით აღსავსე „ოდი-სეა“? რატომ „იტკივებს აუტკივარ თავს“ და ნებაყოფლობით რატომ იწვდის შიშველ კისერს უღმობელი კრიტიკის გილიოტინაზე?

ამ ახირებული კითხვების უპირველესი პასუხი ალბათ რაციონალური იქნება: მთარგმნელს ამოძრავებს კეთილშობილური მისია, იყოს დესპანი სხვადასხვა კულტურათა შორის, გაამდიდროს საკუთარი ერის ესთეტიკური სამყარო და სხვა მისთანანი... ეს ყოველივე, რასაკვირველია, სიმართლეა, თუმცა მას ამაღლებული, მაგრამ უტილიტარიზმის სუნი დაჰკრავს, რაც წმინდა, ჭეშმარიტი ხელოვნების არსში ჩასაწვდომად არ გამოდგება.

განა პოეტი ლექსის საწერად კალამს რომ მოიმარჯვებს, იმაზე ფიქრობს, მე ახლა დავწერ ისეთ ლექსს, რომელიც ჩემი ერის კულტურას აუცილებლად გაამდიდრებსო? რასაკვირველია, არა. შემოქმედება, უმთავრესად, ქვეცნობიერი აქტია, როგორც ჟინი და ვნება და მას ვინ მადლად აღიქვამს და ვინ ჯადოდ, ეს უკვე აღმქმელის ინტელექტუალურ სინდისზეა დამოკიდებული.

მთარგმნელობაც ისეთივე სენია, როგორც ხელოვნების ნებისმიერი დარგი: მუსიკა თუ პოეზია, მხატვრობა თუ პლასტიკა... ქვეცნობიერების საწყისი მასშიც ისეთივე ძლიერია, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, მაგრამ ცნობიერების დოზა მასში მაინც ჭარბობს. ვინაიდან ეს ერთგვარი სიტყვიერი „იკებანაა“, რომელშიც გონება და გემოვნება, ცოდნა და გამოცდილება თუ არ ჩაერთო, მხოლოდ შიშველი ნიჭი ვერას გახდება. არ შეიძლება ანტიკურ ტექსტს თარგმნიდეს კაცი და ღოგას ტუნიკისგან ვერ ასხვავებდეს, ანდა ინდური ტექსტის თარგმნისას პრანა და ტანტრა ერთმანეთში აერიოს...

კლასიკური ლიტერატურის თარგმნისას, ვაი რომ, მხოლოდ ენის ცოდნა არ არის საკმარისი. თარგმანი თავისთავად, უპირველეს ყოვლისა, პერმენევტიკული პროცესია, ანუ მხატვრული ტექსტის სწორად წაკითხვისა და ინტერპრეტაციის ხელოვნება.

სწორად წაკითხვა-მეთქი ვამბობ, მაგრამ არსებობს კი დედნის ტექსტის სწორად წაკითხვის რაიმე ობიექტური კრიტერიუმი? აქ მე მხოლოდ მთარგმნელისეულ სუბიექტურ ინტერპრეტაციას არ ვგულისხმობ. ხომ არ არსებობს კიდევ სხვა, უფრო დიდი და გლობალური, ე.წ. ეპოქალური სუბიექტივიზმი? იქნებ ამის გამოა, რომ დედანს ასაკი არა აქვს, არ „ბერდება“, თარგმანს კი ხშირად ყაველი გასდის, ძველდება და ამიტომაც ახალი ეპოქა გენიალური ქმნილებების ახალ-ახალ თარგმანს მოითხოვს. ეს არ ეხება მხოლოდ კონგენიალურ თარგმანებს, რომლებიც მყარად იმკვიდრებენ ადგილს ორიგინალური ლიტერატურის წიაღში. მაგალითად ქართული „ვისრამიანი“ და მაჩაბლისეული შექსპირიც კმარა.

მაგრამ ორიგინალის ტექსტის ამგვარად თარგმნას, დიდი ნიჭის გარდა, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, უაღრესად ბევრი რამის ცოდნა სჭირდება, ბევრად მეტის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს თარგმანის ჟინით შეპყრობილ და მხოლოდ ენის ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდა მთარგმნელს. მე არაფერს ვამბობ ისეთ აუცილებელ სფეროებზე, როგორიც არის იმ კონკრეტული ქვეყნის ფილოსოფია თუ ფსიქოლოგია, მითოლოგია თუ რელიგია, ისტორია თუ გეოგრაფია, ფოლკლორი თუ ეთნოგრაფია, რომელთა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე, თარგმნას აზრი არა აქვს. მთარგმნელმა ეს ყოველივე კი არა, იმ ქვეყნის მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფის დამახასიათებელი დეტალებიც კი უნდა იცოდეს.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ჩვეულებრივი მაგალითი: ირანელი, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან საქმეს მორჩება (სახლს აიშენებს, შვილს დააქორწინებს, დიდ ნაშრომს დაასრულებს თუ დისერტაციას დაცავს), იტყვის: „მან გელიმე ხოდრა აზ აზ დარ ავარდამ“ ანუ „მე ჩემი ხალიჩა წყლიდან ამოვიღეო“. ვინც ირანელთა ყოფა არ იცის, ის ამ ფორმულად ქცეულ ფრაზას ვერ გაიგებს, მიუხედავად იმისა, რომ მის

მიღმა დიდი სირთულე არ იმალება. ირანი, როგროც კარგად მოგეხსენებათ, ხალიჩების ქვეყანაა. ოჯახი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ქსოვს უზარმაზარ ნოხს. ქსოვა რომ დასრულდება, ამ ნოხს ქუჩაში დააფენენ, რათა გამვლელ-გამომვლელთა ფეხქვეშ კარგად გაითელოს და ზედმეტი ხაო ჩამოშორდეს. ბუნებრივია, იგი დაისვრება და დაიმტვერება. ამიტომ, როდესაც მისი მოთელვა სასურველ ზღვარს მიაღწევს, მას ააგორგოლავენ ან აკეცავენ და მდინარეში ჩაფენენ, რომ გამდინარე წყალში კარგად გაირეცხოს. ახლა წარმოიდგინეთ, რაოდენ რთული საქმე იქნება გაუღენთილი, დამძიმებული უზარმაზარი ნოხისათუ ხალიჩის წყლიდან ამოღება და გასაშრობად გაფენა. აი საიდან იღებს დასაბამს ეს სპარსული ფრთიანი გამოთქმა, რომელიც იმ თანამედროვე ირანელებსაც კი აკერიათ პირზე, ვისაც ხალიჩა თავის ცხოვრებაში არ მოუქსოვია, და მხოლოდ ფეხმორთხმითა და ყელმოღერებით მჯდარა მასზე.

ანდა ავიღოთ სხვა მაგალითი: არაბულ პოეზიაში ქალი თუ ცხენს ან აქლემს იქნება შედარებული, არ გეგონოთ, თითქოს პოეტს მისი ლანძღვა და შეურაცხყოფა ჰქონდეს მიზნად. ეს დიდი სიყვარულის გამომჟღავნება და უზენაესი ხოტბაა, ვინაიდან ბედუინისთვის აქლემზე და ცხენზე ძვირფასი რამ ამქვეყნად არ არსებობს. მაგრამ მთარგმნელმა ეს შედარება თუ მეტაფორა სიტყვა-სიტყვით რომ თარგმნოს, აბსურდი გამოუვა. მან შეძლებისდაგვარად ზუსტი ადეკვატი უნდა მოუძებნოს დედნის პოეტურ ხატს თავისი ენის ხატოვანი რესურსებიდან. აქ უდახვეწილესი სიფრთხილეა საჭირო, რომ თარგმანის ენის ტრაფარეტებში არ გაითქვიფოს და ამასთანავე, ეგ ზოტიკურობის ელფერიც შენარჩუნებულ იქნეს სასურველი, ზომიერი დოზით.

დიდი რუსი პოეტი მარინა ცვეტაევა, რომელიც, ამავე დროს დიდებული მთარგმნელიც გახლდათ, თავის მთარგმნელობით მეთოდს ასე წარმოგვიდგენს: მე ჯერ ვეძებ იმ ერთ თუ ორ სტრიქონს, რისთვისაც არის დანერილი ეს ლექსი და ვცდილობ, მაქსიმალური სიზუსტით ვთარგმნო. დანარჩენი კი, როგორც მომიხერხდებაო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, „სიზუსტე“ სიტყვასიტყვით თარგმანს კი არ ნიშნავს, არამედ მხატვრულ ადეკვატობას, მხატვრულად ზუსტ შესატყვისს.

ამიტომაც გაჩნდა მთარგმნელობით თეორიაში ასეთი ფრთიანი და, ამავდროულად, პარადოქსული პოსტულატი: „თუ გინდა ზუსტად თარგმნო, ორიგინალს უნდა დაშორდე“.

გავკადნიერდები და ერთ უაღრესად თვალნათლივ მაგალითს დავიმონმებ საკუთარი მთარგმნელობითი ლაბორატორიიდან: რუ-დაქის ერთი ლექსის თარგმნისას ბოლო ბეითში წავანყდი სიტყვას „აფსუს“, რაც საერთოა სპარსული და ქართული ენებისათვის:

„ბადო აბრ ასთ ინ ჯეჰან, აფსუს,
ბადე ფიშ არ, ჰარ ჩე ბადა, ბად“.

(ქარი და ღრუბელია ეს ქვეყანა, აფსუს,
მოიტა ღვინო, რაც მოხდება, მოხდეს).

მაშასადამე, ამ სიტყვას თავისუფლად შეეძლო გადმოსკუპება დედნის ტექსტიდან ქართულ თარგმანში, რაც მოხდა კიდევ:

აფსუს, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

დაესვი ბოლოში ძახილის ნიშანი და ჩავაგდე სანერი მაგიდის უჯრაში „დასალვინებლად“. ეს აუცილებელი პროცესია შემოქმედების ყოველი დარგისთვის და თარგმანისთვის განსაკუთრებით.

გამოვაღებ დრო და დრო უჯრას, გადავიკითხავ ჩემს თარგმანს და ვატყობ, რომ რალაც არ მომწონს, მეყოყმანება. მაგრამ რა? – ვერ ვხვდები. ასე განმეორდა რამდენჯერმე. თითქოს ყველაფერი რიგზეა, სიზუსტე ლამის სიტყვა-სიტყვით არის დაცული, შენარჩუნებულია დედნის განწყობილება, სტილი, ინტონაცია და ა.შ. მაგრამ რალაც მაინც მიღრღნის გულს, და არ მაკმაყოფილებს. ბოლოს, როგორც იქნა, მიზეზს მივაკვლიე: სწორედ ეს „აფსუს“ არ მეპიტნავენა. და იცით რატომ? ამ სიტყვას ქართულში თითქოს ოდნავ კნინი მნიშვნელობა აქვს, პასიური სინანულის გამომხატველია, მასში ტრაგიზმის მუხტი ნაკლებია, რაც,

ჩემი აზრით, რუდაქის ტექსტში დომინანტობს. უცებ გამინათდა გონება, გადავშალე ეს „აფსუს“ და მის ნაცვლად მსხვილი ასოებით ჩავსვი „ვაგლახ“. ჩავსვი და მოვისვენე:

ვაგლახ, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

ორიგინალს დავეშორდი თუ მივეუახლოვდი, ეს თქვენ განსაჯეთ. ახლა კი, რახან ჩემი ლაბორატორიის კარი ოდნავ გაგიღეთ და ღრიჭოში შემოგაჭვრიტეთ, მოდით, ბარემ ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ, ბროდსკის თარგმნისას რაც ჩავიდინე. ლექსში, რომელსაც ჰქვია „ორი საათი რეზერვუარში“, ავტორი გერმანულნარევი ჩიქორთული რუსულის ისეთ საოცარ, დიდოსტატურ ეკვილიბრისტიკას გვთავაზობს, რომ მთარგმნელს კი არა, მკითხველსაც კი თავბრუს დაახვევს. აქ ბევრია სიტყვათა თამაში, რომლის თარგმნა, მართლაც, უმაღლეს პილოტაჟს მოითხოვს. აქ გვხვდება ასეთი სტრიქონები:

Бог органичен. Да. А человек?

А человек, должно быть, ограничен.

ღმერთი ორგანულია. დიახ. მაგრამ ადამიანი?

ადამიანი ალბათ უფრო შეზღუდულია.

რუსულ ტექსტში სიტყვათა თამაში გვაქვს. მათი ქართული შესატყვისები კი „ორგანული“ და „შეზღუდული“ ერთმანეთთან თამაშისა და ლაღობის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებენ. ვერც მათი სინონიმების ძებნამ გამოიღო სასურველი შედეგი. იძულებული ვხდები გამოვიგონო ახალი, მანამდე ქართულ ენაში არარსებული სიტყვა და ჩემს სტივრზე ავათამაშო ეს სტრიქონები:

უფალი არის ბუნებრივი. ადამიანი?

ადამიანი ალბათ უფრო უნებრივია.

რით არის დასაწესი ეს ახლადგამომცხვარი სიტყვა? „შეზღუდული“, „უნებისყოფი“, „უნებო“, „უნებრივი“. მე მგონი ქართულად ჟღერს და ბუნებრივად ჯდება ქართული სიტყვებისათვის ჩვეულ პარტიტურაში.

აი, მომავალ მთარგმნელო, რამდენ ხათაბალასთან არის დაკავშირებული ეს ყოვლად უმადური შრომა. უმადურს იმიტომ ვამბობ, რომ თუ თარგმანი კარგად გამოგივიდა, ამ სიკეთეს ავტორს მიაწერენ და არა მთარგმნელს, ხოლო თუ რაიმე შეგეშალა ან ოდნავ წაიბორძიკე, იმწამსვე აცაყანდებიან, მთარგმნელის ბრალიაო.

რილკეს „დუინური ელეგიების“ პირველი თარგმანები რომ გამოვაქვეყნე, ერთი ფილოლოგ-ფილოსოფოსი შემხვდა და ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ის: – რილკეს შენეული თარგმანები წავიკითხე. მომეწონა, მაგრამ ერთი შენიშვნა გამიჩნდა.

მე: – ბრძანე.

ის: – თარგმანი კარგია, მაგრამ შენ ვერ დაგინახე.

მე: – რილკე თუ დაინახე?

ის: – რილკე კი, მაგრამ შენ არსად ჩანხარ.

მე: – მე რად უნდა ვჩანდე, მთავარია, რილკე ჩანდეს.

გამეცინა და დავშორდი. თუმც არ გამკვირვებია. რა ექნა, ასე იყო მიჩვეული, რომ მთარგმნელები ხშირად ავტორზე წინ საკუთარ პერსონას გამოაგელებენ ხოლმე ავანსცენაზე. ამიტომაც არის, რომ ბერძენი თუ ინდოელი, სპარსელი თუ ინგლისელი, ესპანელი თუ იაპონელი ავტორები გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსებიათ ხოლმე ერთმანეთს.

მთარგმნელის ერთ-ერთი გამორჩეული ნიჭი გარდასახვის უნარი უნდა იყოს. როგორც მსახიობმა არ შეიძლება, ერთი სტილითა და მანერით შეასრულოს ჰამლეტისა და ტარტიუფის, ოტელოსა თუ ლუარსაბ თათქარიძის როლები, ასევე მთარგმნელმა განსაკუთრებული ინტონაცია უნდა მოუძებნოს ბაირონსა თუ ომარ ხაიამს, პუშკინსა თუ

ალიშერ ნავოის, ისიცავა ტაკუბოკუსა თუ შარლ ბოდლერსა და არტურ რემბოს. ამისთვის კი უტყუარი პოეტური სმენაა საჭირო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მუსიკალურ სმენას. მთარგმნელს თუ ეს სმენა ღალატობს, უმჯობესი იქნება, სხვა საქმე აირჩიოს საასპარეზოდ, უფრო ნაღდი და სარფიანი.

„მთარგმნელის ცრუ მიზნობრები“

ასეთ გამოთქმას ხშირად ხმარობენ თარგმანის თეორეტიკოსები. რა იგულისხმება ამ ირონიულ გამოთქმაში? თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ძირეულად განსხვავებულ ენებშიც გვხვდება ნასესხები ან მსგავსი ჟღერადობის სიტყვები, რომელთაც, შესაძლოა ერთი და იგივე მნიშვნელობაც ჰქონდეთ, მაგრამ მათ შორის, უმრავლეს შემთხვევაში შეინიშნება სრულიად ან ნიუანსობრივად განსხვავებული მნიშვნელობები. მაგალითად:

„ეშყ“ სპარსულად „სიყვარულს“ ნიშნავს, ქართულში კი მან მნიშვნელობა იცვალა და „ეშხი“ ესთეტიკური კატეგორიის აღმნიშვნელად იქცა. „ფამილ“ – ძირიდან ნაწარმოები სიტყვები ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებში „ოჯახს“ აღნიშნავს, რუსულში კი „გვარს“. ზოგიერთ სლავურ ენაში „პოზორ“ ყურადღებას ნიშნავს, ხოლო რუსულში – სირცხვილს. მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება, მაგრამ კმარა. ამით იმის თქმა მინდა, რომ თარგმნისას არასოდეს ენდოთ საკუთარ ასოციაციებს. ნუ დაგეზარებათ ლექსიკონში ჩახედვა და თქვენი ცოდნის გადამოწმება, თორემ შესაძლოა სავალალო შედეგი მიიღოთ.

მახსენდება ძველი ამბავი. ერთმა ქართველმა მთარგმნელმა რუსული „лесенка“ თარგმნა როგორც „პატარა ტყე“. არადა ეს სიტყვა „პატარა კიბეს“ ნიშნავს. ის სანყალი თავის „ცოდნას“ ენდო და თავიც მოიჭრა.

მეიმას კი არ გიკვირებთ, ლექსიკონების ჭიებად და მონებად იქეცით-მეთქი. მხატვრული თარგმანი, როგორც არაერთხელ მომიხსენებია თქვენთვის, ჭეშმარიტად შემოქმედებითი პროცესია და იგი გაძლევთ

საშუალებას, გამოავლინოთ თქვენი ნიჭი და უნარი. „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ მაგრამ მაინც ეცადეთ, რომ გზას არ ასცდეთ.

თარგმანი, როგორც საშემსრულებლო ხელოვნება

თარგმანი თავისი ბუნებით ერთგვარ საშემსრულებლო ხელოვნებას მოგვაგონებს. როგორც მუსიკაში არსებობს ამა თუ იმ ნაწარმოების ნოტები, როგორც დედნისეული მოცემულობა და მთლიანად შემსრულებლის ნიჭსა და სინდისზეა დამოკიდებული მისი ვირტუოზული თუ უფერული შესრულება, ასევე მთარგმნელის კისერზეა დედნისეული ტექსტის სხვა ენაზე აჟღერების ოსტატობის დონე. დედანი ერთია, თარგმანი კი სხვადასხვა.

ანდა ავიღოთ რაიმე მაგალითი თეატრალური ხელოვნებიდან. ერთია პიესის ტექსტი და მეორეა მისი შესრულება, რეჟისორული თუ მსახიობური ინტერპრეტაცია. შექსპირისეული ჰამლეტის ტექსტი ერთია, მაგრამ, ამავე დროს, ქვეყნად იმდენი ჰამლეტი არსებობს, რამდენ თეატრშიც დადგმულა და რამდენსაც ეს როლი უთამაშია.

დაახლოებით ასეთივეა მთარგმნელის მისია. ყოველმა მთარგმნელმა მხოლოდ დედნისეული ნილაბი და აღკაზმულობა კი არ უნდა მოირგოს, არამედ უნდა ეცადოს, იმ ავტორად იქცეს, ვისაც თარგმნის. მისი როლი უნდა შეასრულოს თავისი ენის „თეატრალურ“ ასპარეზზე. ეს იოლი საქმე არ გახლავთ. მით უმეტეს, როდესაც ხან ჰორაციუსის როლის შესრულება გინევს, ხან ისიკავა ტაკუბოკუსი, ხან პოლ ვალერისა და ხანაც მარინა ცვეტაევა.

მრავალსახოვნება – აი რა არის მთარგმნელის აუცილებელი თვისება. იმიტაციის უნარი – არა კნინობითი, არამედ ამაღლებული გაგებით. მიმბაძველობა კი არა, იმ ავტორად გარდაქცევა და გარდასახვა შენს ენობრივ სამყაროში. ამ ურთულესი მისიის ოსტატურად შესრულება სასწაულს უდრის. მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნება სასწაული არ არის?!

ყოველგვარი ხელოვნება თავისი არსით თვითგამოხატვაა. მთარგმნელობითი ხელოვნება კი, ამ თვალსაზრისით, პარადოქსულ მოთხოვნებს უყენებს მთარგმნელს. აქ თვითგამოხატვას თავდაოკება ენაცვლება, ანუ შენი თვითგამოხატვა იმით განიზომება, თუ რამდენად შესძელ სხვისი წარმოჩენა და რამდენად შენად აქციე სხვის მიერ თქმული. სწორედ აქ მჟღავნდება მთარგმნელობითი ხელოვნების წყალქვეშა დინება და დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ არც ჩაიძირო და არც მშრალზე დარჩე, ამ გამოთქმის პირდაპირი და ირიბი გაგებითაც.

მე ადრე მოგახსენეთ, ამა თუ იმ ლექსის თარგმანი ისე უნდა იკითხებოდეს, როგორც ამ ენაზე დაწერილი ორიგინალი-მეტეი.

მაგალითად, ერთი საოცარი თარგმანი მიწა დავიმონმო, რომელიც ჩემს ძველისძველ მოძღვარს, თამაზ ჩხენკელს ეკუთვნის. ამ თარგმანის გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული, მე ის ერთი წაკითხვით ზეპირად დამამახსოვრდა და აქამდე მახსოვს, თუმც ბევრი რამ, ჩემდა სავალალოდ, დავიწყებული მაქვს.

ეს ლექსი ეკუთვნის ტანის ეპოქის წარმომადგენელს, დიდ ჩინელ პოეტს ბო ძიუ-ის. აი ეს ლექსიც:

ლოკაუს სადგურის კედელზე ჩემს მიერ დიდი ხნის
წინათ მიწერილი ლექსები

კედელზე მიწერილ ჩემს მდარე ლექსებს
კაცთა მოდგმისთვის არა აქვს ფასი.

ნიშანთა მწკრივი დაფარა მტვერმა
და ჟამთასვლისგან მოედო ხავსი.

მხოლოდ იუანი – ხელმწიფის კაცი,
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს,

არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს,
აშორებს მტვერს და კითხულობს ლექსებს.

ეს საოცარი ლექსია. მე არ ვიცი, როგორ ჟღერს იგი ჩინურად, მაგრამ მისი გადმოქართულებული ვარიანტი რომ უნაკლოა, ეს ცხადზე ცხადია. აბა, დაუკვირდით, თუ ნახავთ თუნდაც ერთ ზედმეტ სიტყვას. ან იქნებ რომელიმე ჟღერდეს ისეთ ტონალობაში, რომ ამოვარდნილი იყოს საერთო პარტიტურიდან. აქ ისეთ მთლიანობად არის შეკრული მთელი ლექსი, რომ ვერაფერს შეცვლით. იგი ისე ბუნებრივად ჟღერს, თითქოს ქართულად ყოფილიყოს დანერილი. ამავე დროს გეჩვენებათ, რომ ნათლად ხედავთ ჩინურ მინიატურას, ჟამთასვლისაგან ოდნავ დაბინდულს, უნატიფესი ფაიფურის ფინჯანს რომ ამშვენებს ხოლმე. ჩემი აზრით, ეს თარგმანი სრულყოფილია ნებისმიერი კრიტიერიუმით. დედნისეული გენიალური სისადავე ამ თარგმანში ადეკვატური სტილითა და მანერით არის დაცული.

მაგრამ ეს ყველაფერი, რაც მე მოგახსენეთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ შეუმცდარი პოეტური ალლო გაქვს და, ამავე დროს, ვირტუოზულად ფლობ ლექსის ტექნიკას. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. შესაძლოა, გენიალური პოეტი იყო, მაგრამ მთარგმნელად ვერ ივარგო. ჯერ პოეტად უნდა დაიბადო და შემდეგ მთარგმნელისთვის აუცილებელი თვისებები გამოიმუშაო დიდი შრომითა და რუდუნებით.

ამიტომაც არის, რომ მთარგმნელობით საქმიანობაში უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს ცოდნა და გამოცდილება. სიჭაბუკის ასაკში შესაძლოა დანერო დიდებული ლექსი, მაგრამ ამავე ასაკში ანალოგიური ფასეულობის თარგმანს ვერ შექმნი. ეს ცხადია.

შორს რომ არ წავიდეთ, მე შემოიძლია საკუთარი გამოცდილებიდან დავიმონმო ერთი მაგალითი. ოცი წლის ასაკიდან ვენევი მთარგმნელობით მუშაობას. ამ ხნიდან დღევანდლამდე ვთარგმნე რუდაქის, დაყიყის, აბუ საიდის, ომარ ხაიამის, ფირდოუსის, ანვარის, ჯელალ ედდინ რუმის, საადის, ჰაფეზის, ობეიდ ზაქანის, აბდ ორ-რაჰმან ჯამის, ხომეინის, რაინერ მარია რილკეს, ფრიდრიხ დიურენმატის, ხერიტ კომრეის, ანენსკის, ვოლოშინის, გუმილიოვის, მანდელშტამის, ხლებნიკოვის, მარინა ცვეტაევას, იოსიფ ბროდსკისა და სხვათა ნაწარმოებნი, მაგრამ პასტერნაკი, რომლის ლექსებიც სიყმანვილის ასაკიდან ზეპირად ვიცოდი, უთარგმნელი მრჩებოდა. ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე

არაერთხელ დავაპირე მათი თარგმნა, მაგრამ ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა. ჩემს ნაჩალიჩარს ვხევდი და სანაგვე ურნაში ვყრიდი. და აი, უცებ, სამოცდაათი წლის ასაკში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად უცებ შემომეთარგმნა ერთი ლექსი, შემდეგ მეორე, მესამე და ოცი ლექსი ისე წაენყო ერთიმეორეს, რომ ლამის სულის მოთქმა ვერ მოვასწარი. თანაც როგორი ლექსები? – თვით პასტერნაკის უაღრესად რთულ პოეზიაშიც ურთულესებად რომ მიიჩნევიან.

რა იყო ამის მიზეზი? – მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული გამოცდილება, ოსტატობის ის აუცილებელი ჩვევები, რომლებიც გამომუშავდა ნახევარსაუკუნოვანი წვისა და დაგვის შედეგად. სწორად უთქვამთ – ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო. თუ მის ტარიგად არ იქეც და კრავივით არ შეენირე, არაფერი გამოგივა.

არ იფიქროთ, თითქოს გაშინებდეთ. მე მხოლოდ გაფრთხილებთ. მაგრამ თუ ვინმეს მაინც შეეშინდება, ეს არ იქნება ტრაგედია.

ზოგიერთმა თქვენგანმა რომ განმიცხადა, თქვენი საუბრების მოსმენის შემდეგ არც საკუთარი ლექსები მოგწონს და არც ჩვენი პოეტური თარგმანები, აჯობებს პროზაულ თარგმანებს მივხედოთო. გამეხარდა. ცუდად არ გამიგოთ. მე ის გამეხარდა, რომ თურმე ჩემს საუბრებს ფუჭად არ ჩაუვლია. ნაყოფად ის გამოიღო, რომ დაგაფიქრათ თქვენს შესაძლებლობებზე და ხელი შეგიწყოთ სწორი გზის არჩევაში. ახალგაზრდა თავისი მოღვაწეობის ასპარეზს დროულად თუ მიაგნებს, ეს განაპატარა საქმეა?

თარგმანი და ზნეობა

მთარგმნელს, ნიჭის გარდა, კიდევ ერთი რამ უნდა ჰქონდეს აუცილებლად: სინდის-ნამუსი. მე არ ვხუმრობ. მთარგმნელობა დიდ ზნეობრივ სიმალლეს მოითხოვს. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავის ქვეყანაში სულიერ ფასეულობას და ეროვნულ განძს წარმოადგენს, შენ რა უფლება გაქვს გააუფასურო და ხელყო მისი ღირსება?

თუკი ნორმალურ ქვეყანაში პიროვნების შეურაცხყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით თუ არა, ჯარიმით მაინც, შექსპირისა თუ ბაირონის, რუსთაველისა თუ ფირდოუსის, პუშკინისა თუ ელიოტის ვაიმთარგმნელს რატომ უნდა შერჩეს „ხახვივით“ დიდ ხელოვანთა ნააზრევის გაუფასურება და გაყალბება?!

აქაოდა, დემოკრატიისაკენ ვისწრაფით, რომლის უდიდეს მონაპოვარს პიროვნების თავისუფლება წარმოადგენსო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რაც მოგვესურება, ის ვაკეთოთ!

პოეტი, პროზაიკოსი. დრამატურგი მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე არიან პასუხისმგებელნი, მთარგმნელი კი – საზოგადოებრიობის წინაშე.

ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავიდანვე უნდა ავწონ-დავწონოთ საკუთარი შესაძლებლობები და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ მთარგმნელობით მთიანეთს. აქ კიდევ ერთი პარადოქსული ჭეშმარიტება იჩენს თავს: მთარგმნელს რაც უფრო მეტი „ბარგი“ აქვს, მით უფრო „მსუბუქად“ დაიპყრობს ახალ-ახალ მწვერვალებს.

ბარგზე გამახსენდა: გასული საუკუნის 30-იან წლებში კომკავშირელი უფიცი სტუდენტები გამოიყვანდნენ ხოლმე ცნობილ პროფესორებს და „ამუშავებდნენ“. გაიყვანეს ბ-ნი შალვა ნუცუბიძეც და უტიფრად მიმართეს:

– ამხ. შალვა, თქვენ საკმაოდ გვიან გადმოხვედით ჩვენს პლატფორმაზე!

ბატონმა შალვამ აუღელვებლად უპასუხა: – ეს ყოველთვის ასეა. ვისაც „ბაგაჟი“ ცოტა აქვს, ის პირველი ჩამოხტება პლატფორმაზე, ხოლო ვისაც ბევრი აქვს, ის ბოლოს, დინჯად ჩამოდის ხოლმე.

ამის პერიფრაზირება თარგმანებზეც შეიძლება, სადაც მხოლოდ უცხო ენის თუნდაც სრულყოფილი ცოდნა საკმარისი არ არის.

გააჩნია, რას ვთარგმნით, ვისთვის ვთარგმნით ან რისთვის ვთარგმნით. თუ ხელთ გვაქვს ძველი ან საშუალო საუკუნეების ნაწარმოები, აუცილებელია იმ ქვეყნის სპეციფიკის, ეპოქის, ყოფითი რეალობის საფუძვლიანი ცოდნა. მაგალითად, თუ სპარსულ ლიტერატურას ვთარგმნით, უნდა ვიცოდეთ რას ნიშნავს შეიხი ან იმამი, მუფთი ან

მუშტასიბი, საჯადე ან თალაყი და მრავალი სხვა... ასევე ანტიკური ხანის ლიტერატურის თარგმნისას პეტერა გიტარად არ უნდა აღვიქვათ, მათი კონფიგურაციის შესაძლო მსგავსების მიუხედავად.

ეპოქის რეალიზების საფუძვლიანი ცოდნის გარდა, აუცილებელია სტილის შეგრძნების უტყუარი ალლო. აქ ორი რამ არის გასათვალისწინებელი: ეპოქალური სტილი და თვით მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებანი. ბუნებრივია, უცხოენოვანი სამყაროს სტილის ყოველი ნიუანსის დაცვა თარგმანში შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ, მთარგმნელები, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი ავტორის სტილსა თუ მანერას ანალოგიური შესატყვისი მოვუძებნოთ.

ეს, რასაკვირველია, იოლი საქმე არ გახლავთ. ამას განსაკუთრებული ნიჭი, შინაგანი სმენის უნარი, შეუმცდარი ალლო და ღრმა განათლება სჭირდება. განათლების მიღება დიდი მონდომებისა და შრომის ფასად შეიძლება, მაგრამ რაც შეეხება პოეტურ ნიჭს, შინაგანი სმენის უნარს და სტილის ნიუანსების წვდომის ალლოს, სამწუხაროდ, ეს თვისებები ღვთით ბოძებული თუ არ გაქვთ, ვერც განათლება გიშველით და ვერც დაულალავი შრომა.

მზა რეცეპტები რომ მთხოვოთ, ვერ მოგცემთ. მე ერთადერთი ის შემიძლია, გიკითხოთ ლექსები და ჩემეული აქცენტირებით მიგახვედროთ, მიგაახლოვოთ იმ ენით უთქმელს, რასაც ჭეშმარიტი პოეზია ჰქვია.

ამიტომაც, ჩემი რჩევა იქნება: ვიკითხოთ ბევრი, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვეულებრივმა მკითხველმა – გასართობად და ინტელექტის წყურვილის მოსაკლავად, არამედ პროფესიული ინტერესით. ჩექმას მუშტარი და ხარაზი ერთნაირად არ აღიქვამენ. მუშტარი გარეგან სილამაზეს აღიქვამს მხოლოდ, მისი გამძლეობისა კი დიდი არაფერი გაეგება. ხარაზი კი ამ ჩექმას შიგნიდან ხედავს. უტყუარი გუმანით მიხვდება, რამდენ ხანს გაძლებს, როდის დაეღრიცება ამ ჩექმას ყელი ან როდის გავარდება ძირი. ასეა, რადგან იგი თავის საქმის ოსტატია და არაფერი შეეშლება.

თქვენც ასე უნდა იცოდეთ ლექსი. არა მარტო გრძნობდეთ, იცოდეთ კიდევ. შიგნიდან უნდა ხედავდეთ და არა გარედან. მე, მაგალითად პირველად რომ ვკითხულობ ჩემთვის უცნობ ლექსს, ჯერ მარტო

მის ჟღერადობას, მუსიკას აღვიქვამ. მეორედ ნაკითხვისას ვუღრმავდები და ვგრძნობ მის ქვეშეთს. შემდეგ და შემდეგ უფრო და უფრო გრძელდება ეს გონებრივ-გრძნობიერი „სპელეოლოგია“ და ფოტოფირივით მჟღავნდება ახალ-ახალი ფენები.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ჭეშმარიტ პოეზიას ეხება და არა იმ სუროგატულ, ბოდიში მომითხოვია, „ნათიბნის“. რასაც დღეს ხშირად, ჩვენდა სავალალოდ, პოეზიად იხსენიებენ ხოლმე.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეუბრუნდები სტილისტურ სირთულეებს. ქართული პოეზიის მაგალითზე დავინყებ მსჯელობას, რათა ყველასთვის გასაგები გახდეს, რისი თქმაც მსურს. თორემ ჩვენი მასტერკლასი ისეთი „ბაბილონის გოდოლია“, რასაკვირველია, კარგი გაგებით, რომ ჩვენ-ჩვენი უცხო ენების არსენალს რომ მივმართო, შეუძლებელი იქნება. არაბული, სპარსული, ივრითი, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ნორვეგიული და რუსული – აი იმ ენათა ჩამონათვალი, საიდანაც თქვენ აპირებთ თარგმნას. ამიტომ მე ქართული პოეზიის მაგალითზე აგიხსნით იმ პრობლემებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია თარგმნისას ნორმალური შედეგის მისაღებად.

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების თარგმნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, ვინაიდან აქ აზრია მთავარი. ყოველგვარი აზრის, თუნდაც ურთულესის, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა შესაძლებელია. ცალკეული აფორიზმები კი არა, დიდ ფილოსოფოსთა ურთულესი ტრაქტატები ითარგმნება. მაგრამ აბა სცადეთ, თარგმნოთ „დისაგანცა უფრო დესი“ ან „ცამცა გაიდარბაზესა“. ცუდ დღეში აღმოჩნდებით, არა იმიტომ, რომ აზრია რთული, არამედ იმიტომ, რომ პოეტური ვირტუოზობის წინაშე აღმოჩნდებით. აქ უკვე ვერავითარი ჰერმენევტიკა ვერ გიშველით, ვინაიდან მეცნიერება ჭეშმარიტი ხელოვნების წინაშე ფარ-ხმალს ყრის. მეცნიერებას შეუძლია გაკვეთოს სხეული, მოლეკულურ თუ ატომურ დონეზე გამოიკვლიოს მისი შემადგენლობა, მაგრამ რატომ არის მისი ღიმილი ასეთი მომაჯადოებელი, ამას ვერ ახსნის. რატომ? იმიტომ რომ მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა კატეგორიებით აზროვნებენ. სანტიმეტრებით ტემპერატურას

ვერ გაზომავ და ნივთიერების ქიმიურ შემადგენლობას გრამატიკული კანონების მეშვეობით ვერ დაადგენ.

მეცნიერება ცნებებით აზროვნებს, ხელოვნება – ხატებით. ერთის იარაღი ლოგიკურობაა, მეორისა – ალოგიკურობა. ცნების შესატყვისის მოძებნა იოლია, ხატისა კი – უალრესად რთული. იგი ხშირ შემთხვევაში უთარგმნელია. როდესაც ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, კი არ უნდა ვთარგმნოთ, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ანალოგიური ხატი უნდა აღმოვაცენოთ ჩვენი ენის ნიადაგზე. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, ურთულესი საქმეა, მაგრამ არის კი რაიმე იოლი ჭეშმარიტი ხელოვნების სამყაროში?!

პოეზია – „უთქმელად თქმის“ ხელოვნება

ერთია, როდესაც გენიალურ ლექსში ამაღლებული იდეები მაღალ-მხატვრულად არის გადმოცემული და სულ სხვაა, როდესაც, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო რაღაცას ამბობს პოეტი, მაგრამ აქ მთავარია, როგორ ამბობს იმას, რასაც არ ამბობს. ეს უდახვეწილესი ხერხი გახლავთ – უთქმელად თქმა.

გავიხსენოთ გალაკტიონის ერთსტროფიანი ლექსი:

მთები აჭრელდა როგორც ჟირაფი,
მატარებელი მიჰქრის ბინდებად.
ახლა იწყება წიფის გვირაბი,
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

ამ ლექსში ამის მეტი თითქოს არაფერია ნათქვამი, მაგრამ თქვენ ნათლად ხედავთ და გრძნობთ, როგორ მიემგზავრება პოეტი მატარებლით. მის კუპეში მგზავრობს აგრეთვე ქალი, აუცილებლად ლამაზი! პოეტს აქამდე არ მისცემია მასთან გამოლაპარაკების საბაზი. და აი,

მატარებელი წიფის გვირაბს მიადგა. პოეტი დროს იხელთებს და ეკითხება ქალს, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათო. ეს არის კითხვა, რომელიც პასუხს არც საჭიროებს. იგი საუბრის საბაზია მხოლოდ, უალრესად კორექტული და დახვეწილი. ლამის დამავეიწყდა: აქ ისიც არის ნაგულისხმევი, რომ ორივენი, ქალიც და პოეტიც, ახალგაზრდები ბრძანდებიან. ხედავთ, ეს პატარა ლექსი რომ გავშაღეთ, ლამის მთელი ნოველა გამოგვივიდა. აი, ეს არის პოეზიის ჯადო.

ახლა ავიღოთ ანა კალანდაძის საოცარი დიალოგი:

- თქვი, არჯაკელო, ხეიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
- რავი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია-რა.
- მეც სხვათა შორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა!

რა არის ეს? თითქოს არაფერი. უბრალო, „საყველპურო“ საუბარი. თითქოს აბსურდული და არაფრისმთქმელი. მაგრამ განა არ იგრძნობა, რომ ორივე მოსაუბრე, პოეტიც და არჯაკელიც ტრფობით არიან დამწვარნი. პოეტი ვითომ სასხვათაშორისოდ რომ ეკითხება, ქსანზე ვინ ჩამოიარაო, ხომ ნათელია, ვისაც გულისხმობს. და არჯაკელის პასუხიც ვითომ ნეიტრალურია? ღმერთმა უწყის, ამ „ღრუბლებში“ ვინ ან რა არის ნაგულისხმევი.

კიდევ ერთი მაგალითი. მუხრან მაჭავარიანს აქვს, ამ თვალსაზრისით, ულაკონურესი ლექსი:

- გარეთ ხმაურობს წვიმა,
ოთახს ანათებს ლამპა:
- პეტუშა გახსოვს?
- იმე!
- რა ბიჭი იყო?
- აპა!

რა არის ამ ლექსში უთქმელად ნათქვამი და შტრიხისა და ფერის გამოუყენებლად დასურათბატებული? აი რა:

ზემო იმერეთის სოფელი. გვიანი შემოდგომა. საღამო. ოდა-სახლის ნახევრად განათებულ ოთახში სუფრას მისხდომიან მოხუცი მეზობლები. სუფრაზე უდგათ დოქით ღვინო, მჭადი, ყველი, ლობიო და ფხალი. ნრუ-პავენ ღვინოს და იგონებენ ახალგაზრდობას, გარდაცვლილ თანატოლებს და, რასაკვირველია, ახლავე შესვამენ პეტუშას შესანდობარსაც.

ეს ყველაფერი ხომ მართლა თქვა პოეტმა? თანაც ისე, რომ არ უთქვამს. აი, ეს არის პოეზიის მისიის მისნობა. ეს ის შემთხვევაა, რომელზედაც ნიკო სამადაშვილი ამბობდა: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი“.

და თქვენ როდესაც ამგვარი ლექსების თარგმნა მოგიწევთ, სწორედ ეს „უთქმელობაც“ უნდა თარგმნოთ. სხვაფრივ თქვენი გარჯა ფუჭი იქნება.

მინაწერი მკითხველთათვის

რაც აქამდე მოგახსენეთ, ეს იყო მოკლე, რეზიუმირებული ვარიანტი იმისა, რა საკითხებზეც მასტერკლასის მსმენელებთან გვექონდა საუბარი. გარდა ამისა, რასაკვირველია, დიდი დრო ეთმობოდა პრაქტიკულ საკითხებს, ვარჯიშსა თუ ექსპერიმენტებს და პირადად ჩემი გამოცდილების გაზიარებას. ყოველივე ამის აქ გადმოცემა დიდ ადგილს დაიკავებდა და, შესაძლოა, არაპროფესიონალთათვის არც ყოფილიყო საინტერესო. ამის გამო ვამჯობინე, თვით ახალგაზრდა მთარგმნელთა ნაღვანი წარმომეჩინა, რაც მკითხველთათვისაც იქნებოდა საინტერესო და დამწყებ მთარგმნელთათვისაც სტიმულის მიმცემი. ამიტომ გადავწყვიტე, გამომექვეყნებინა ჩვენს შემოქმედებით სახელოსნოში მასტერკლასის მსვლელობისას შესრულებული თარგმანები, მათ შორის ჩემიც და ამით დამედასტურებინა, რომ ჩვენ ყველანი ერთი „ჰამქრის“ მუშაკნი ვართ.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო მასტერკლასის მონაწილეთა ინტერესი, მონდომება და საქმისადმი დიდი სიყვარული. მათგან ყოველი გამოირჩეოდა დახვეწილი კულტურით, ხატოვანი სიტყვის აღქმისა და განცდის უნარით. ამას ზედ ერთვოდა აღმოსავლურ და დასავლურ ენათა საფუძვლიანი ცოდნა. აი ამ ენათა ჩამონათვალი: არაბული, სპარსული, ივრითი, ინგლისური, გერმანული, ნორვეგიული, რუსული და სხვ.

მსმენელთა ძირითად ბირთვს, ბუნებრივია, ფილოლოგები წარმოადგენდნენ, მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ მათ შორის ფიზიკოსებიც ერევნენ: ვასო ლომაძე და გიორგი ყურაშვილი. დასავლეთეუროპულ ენათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები მიხეილ სარჯველაძე და ეროვნებით სომეხი არმენ არუთინოვი (ბოლნისიდან), რომელიც გამოირჩევა ქართული და გერმანული ენების შესანიშნავი ცოდნით. და ბოლოს ამ სიას აგვირგვინებენ მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონები: ანა კოპალიანი და ნინო ბარძიმაშვილი, მარი გაბათაშვილი და სალომე პატარიძე, დარეჯან გარდავაძე და ნინო დოლიძე, ქეთი თოდაძე და მარიამ ნოღია, ნინო აზმაიფარაშვილი და ნინო ნყაროზია.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მასტერკლასის სისტემატური მსმენელი, პეტერბურგელი ახალგაზრდა ქართველოლოგი ევგენია ზახაროვა, რომელმაც დიდი მონდომებით შეისწავლა ქართული ენა და რუსულად თარგმნა რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ბიბო“.

ჩვენი მასტერკლასი გრძელდებოდა ხუთი თვის მანძილზე 2006 წლის ივნისიდან – დეკემბრამდე. მხოლოდ ერთი რამ არის გულდასაწყვეტი: მხატვრულ თარგმანში დახელოვნებისათვის ხუთი თვე არ არის საკმარისი. ვიმედოვნებთ, რომ კვლავაც მოგვეცემა საშუალება უფრო მეტად დაოსტატებისათვის. ასეთ მოკლე დროში თუ ამდენი შევძელით, მაშინ ალბათ შეუძლებელსაც შევძლებთ.

ვნახოთ. ნათქვამია: „აღდგომა და ხვალო“.

მარინა ცვეტაევა

მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სწეული ჩემით.
მე მომწონს ის, რომ მეც არა ვარ თქვენით სწეული.
რომ დედამინის მძიმე ბურთი, ისე ვით გემი,
არ გაცურდება ჩვენს ფეხთა ქვეშ გზაარეული.
მე მომწონს ის, რომ შემოძლია სახლის აკლება,
რომ თამაშ-თამაშ არა ვფანტო სიტყვები ამო.
და სუნთქვაშეკრულს ღანვები რომ არ მეფაკლება
თქვენს სახელოსთან შემთხვევითი შეხების გამო.

მე მომწონს ისიც, რომ ჩემს თვალწინ თქვენ ძალგიძთ ასე,
სრულიად მშვიდად, სხვა ქალბატონს მოჰხვითოთ ხელი.
ჯოჯოხეთში რომ არა მგ ზავნით ეჭვებით სავსე
იმისთვის, სხვას რომ მიუძღვენი ამბორი ცხელი.
და მომწონს ისიც, რომ თქვენ ჩემი სახელი ნაზი
არ გაკერიათ წარამარა პირზე ამაოდ.
და ის, რომ ტაძრის მღუმარ თალქვეშ ორივეს თავზე
აღილუიას არ აღავლენს ჩვენთვის მამაო.

დიდი მადლობა იმისთვის, რომ თქვენ ვერც კი ხვდებით
როგორ გიყვარვართ, როგორ გსურვართ და როგორ მლამობთ,
იმის გამო, რომ სალამოუამს ხშირად ვერ ეხვდებით
და ჩემი მყუდრო, ღამეული სიმშვიდის გამო.
ვერსეირნობას რომ გვიქადის ილბალი ჩვენი
და მზისქვეშეთს რომ ჰშურობს ჩვენთვის ბედი წყეული.
რომ არ შეგყრივართ, სამწუხაროდ, მე როგორც სენი –
და რომ არც მე ვარ, სამწუხაროდ, თქვენით სწეული.

ჩემთვის სამშობლოს მონატრება ჭირია ფუჭი,
 საამქარაოდ მხილებული და დაგმობილი,
 რადგანაც, მართლაც, სულერთია, ჩემს სულს სად უჭირს,
 ან სად ვიქნები ეული და უარყოფილი.

რომელ ქუჩაზე მივათრევდე ხორაგის ჩანთებს,
 ან საით უნდა გამისტუმროს ცივად ბაზარმა,
 სახლში, რომელიც ჩემი როა, არც სურს, რომ ჩანდეს
 და არის როგორც ჰოსპიტალი ანდა ყაზარმა.

ან სად ვიქნები აჯაგრული, როგორც მახეში
 გაბმული ლომი. სად მანთხევენ შხამ-გესლს ენები,
 სად გამრიყავენ უცილობლად მკაცრად, უხეშად
 გაძევებული რომელ წრიდან გავიდევენები

ჩემშივე, ჩემსავე ერთპიროვნულ გრძნობათა წიაღ,
 როგორც კამჩატკის დათვი მშრალზე, თოვლის გარეშე.
 სადაც ვერაფერს ვერა ვგუობ (და არც მიცდია!),
 სად დავმცირდები, სულერთია, რომელ მხარეში?!

მშობლიურ ენის ცთუნებას და მის ყივილს ყოველს
 აღარ ავეყვები, თუმცა თავი მისით მომქონდა
 ან სულერთია, რომელ უცხო ენაზე, რომელ
 გაუგებარზეც გაგებული ვიქნე ოლონდაც!

(გაზეთის მხვრელი, ჭოროთ მენველი ბრბო ჰგიეს ვიდრე,
 ნუ ეგონება უნებლიედ, რომ მე მისი ვარ).
 იგი მეოცე საუკუნის არის მემკვიდრე,
 მე – საუკუნეთ უკუნითი-უკუნისი ვარ!

ვით ხეივნიდან უმონყალოდ მოჭრილი მორი
შეშად ვიქეც და სხვა ნიავებს აღარ ერთვისან
ჩემი სიონი, მათთვის უკვე ვარ შორზე შორი
და ან ყველა და ყველაფერი ჩემთვის ერთია –

უსულერთესი, შესაძლოა, ყველაზე მეტად
ის, რომ უეცრად შეინირა როგორც ტარიგი,
სადღაც შობილმა ჩემმა სულმა, რაც დამყვა ბედად,
ნარსულის ყველა ნიშანწყალი, ყველა თარიღი.

სამშობლომ ისე გამიმეტა, გამწირა ისე,
რომ არაა შემრჩა მშობლიური ფერით ნაფერი,
თავითფეხამდე რომც გამჩხრიკოს ისევ და ისევ,
ფხიზელმა თვალმაც ვერ მიპოვოს ველარაფერი.

ჩემთვის უცხო და სულერთია ყოველი სახლი,
ყველა ტაძარი, სალოცავი, რწმენა ძირძველი.
მაგრამ როდესაც გზად მიმავალს, მაშვერალს და დაღლილს
შემომანათებს უცებ ბუჩქი, თანაც – ცირცელი...

* * *

ეს მზე ერთია, მაგრამ მთელი ქვეყნის მზვერავი.
ეს მზე ჩემია, ვერ წამართვას იგი ვერავინ!

ვერცერთი წამით, თუნდ დამმართონ ელემენტელები,
ვერვის დავუთმოვ, გინდ გამეფდეს ქვეყნად ბნელები!

ხელში ჩავბლუჯავ, რომ ვერ შეძლოს ქვეყნად ტრიალი,
დე, დამიფერფლოს ხელი, ბაგე, გული ტიალი.

ჯოჯოხეთშიც რომ ჩამეკარგოს, მის მდევრად ვიქცე,
ჩავყვე, ჩავდიო. ჩემო მზეო, შენ ვერვის მიგცემ!

მე კი არ ვცეკვავ, ვარდისფერი კაბა თავისით
ამიფრიალდა და აღელდა უცებ ტალღებად.
მაგრამ ორივე ხელით დავწვდი, ხერხი ვიხმარე,
მოვიხელთე და დავატყვევე თავნება – ქარი.

დაცხრა მაცდური. მხოლოდ ქვემოთ, სადღაც, მუხლებთან
ჯერ ისევ ტოკავს, – თუმცა უკვე შეპყრობილია.
და როგორც ქარის დაოკება შევძელ იოლად,
ნეტავ ასევე ავხორცობაც დამაძლევინა.

ჭიქაში გავხსენ თმები დამწვარი
და გაგიმზადე იმის ნაცარი,
რომ ველარ შეძლო ქვეყნად ცანცარი:
ცეკვა-თამაში, ლხინი რაც არი.

რომ ჩაგიმწარდეს სიამის დღენი,
რომ სიჭაბუკე ვერც იგრძნო შენი.
ლამეში ფუჭად დაგიჩრჩეს ბუქნა
და შენს ჯეელ ცოლს ვერარა უქნა.

როგორც დრო-ჟამმა ეს ჩემი თმები
დაფერფლა, ადრე ოქროდ ნაფერი,
დაგზამთრებოდეს სინორჩის წლები,
არ დაგრჩენოდეს აღარაფერი.

არ აგცდეს ტანჯვა და წელში მოხრა,
რაც გაბადია, დაგიჩრჩეს ოხრად.
ნახვიდე, გაქრე ისე, ვით ოხვრა.

* * *

მომეცით, რაც სხვებს არ უნდათ თითქოს.
ეს ჩემი ცეცხლი ყველაფერს ითხოვს!
სიკვდილ-სიცოცხლის ცრემლს თუ იმედებს
ჩემი ცეცხლისთვის უხვად ვიმეტებ!

კოცონი ლალად მაშინ იგრგვინებს,
თუ არ იშურებ მისთვის გვირგვინებს.
ცეცხლს არ მოაკლო კერძი თავისი,
რომ აღდგე ფერფლზე უსუფთავესი!

მე ვარ ფენიქსი, მამლერებს ალი!
აღმა საფრენად შემმატეთ ძალი!
ბოლომდე ვინვი გრგვინვა-გუგუნით,
დე, გაგინათდეთ ღამის უკუნი!

ყინული ცეცხლით შემოინთება!
ჩემი იერი არ იბინდება.
ამაყად მომაქვს ჩემი დიდება –
შთამომავალნო და მემკვიდრენო!

* * *

ვინც არ ააგო აქ სახლი თვისი –
ის ვერ გახდება ამ მიწის ღირსი.

ვინც არ ააგო აქ სახლი თვისი –
ოდითგან თქმულა ცხადად და მკაცრად:
ვერ იქცეს მინად, ფერფლად და ნაცრად!

– არ ამიგია ამქვეყნად სახლი.

* * *

შუბლში კოცნა და – გადაყრა დარდის.
შიგ შუბლში ეკოცნი.

თვალებში კოცნა – თვლემა საამო.
თვალებში ეკოცნი.

ტუჩებში კოცნა – წყურვილის მოკვლა.
ტუჩებში ეკოცნი.

შუბლში კოცნა და – ხსოვნის აღმოფხვრა.
შიგ შუბლში ეკოცნი.

* * *

რაც ვიმღერე და ვიკამათე ამქვეყნად რაიც –
რასაც ვამბობდი და არ ვფარავდი,
ჩაცხრება ვნების ფორიაქი და ბოლოს მაინც,
დამეუფლება ძილი მარადი.

ვინეები ჩუმად, არაფერი მექნება მიზნად,
გულზე მდუმარედ დავიკრებ ხელებს.
ვინეები ჩუმად და მძინარე ვიხილავ სიზმრად
ჩიტებს და ხეებს.

თარგმანი რუსულიდან

ანა ახმატოვა

ელფა

1

თვალს მჭრიდა ჭალის სინათლე მკვეთრი
და მისი მზერის შუქი უჩვევეი
და მოვასწარი ფიქრის ნაფლეთი:
„ამას იოლად ვერ გადვურჩები.“

თავი დავხარე – „ის ჩემკენ მოდის!“
სახე მომსკდარმა სისხლმა ალაკრა,
და სიყვარული, ვით მძიმე ლოდი
ჩემი ცხოვრების საფლავს დააკრეს.

2

არ შეგიყვარდი? სულ არ გინდები?
ო, ლამაზი ხარ, წყეულო, უღვთოდ,
მე კი ველარსად გაგიფრინდები,
მე ბავშვობაში დამტოვეს უფრთოდ.

თვალთ დამიბნელდა, ვერავის ვიტან,
სახეს და საგნებს ვამგვანებ აჩრდილს
და ვარჩევ მხოლოდ ალისფერ ტიტას,
შენს ღილკილოში თამამად გაჩრილს.

3

როგორც ყოველი რიგითი მამრი,
მომიახლოვდა, ღიმილი მტყორცნა,
ალერსშეპარულ უნდილი სალმის
ხელს შეატოვა მსუბუქი კოცნა.

და ძველთუძველეს იდუმალ ვნებით
შემომანათეს მისმა თვალებმა
ათი წლის თმენის და მძვინვარების
ყველა უძილო ღამის წვალება

მე ერთ სიტყვაში ჩავტიე წყნარად
და ჩემმა სიტყვამ ბედს ვერ აჯობა.
შენ ნახველ და სულს კვლავ შეეპარა
ქანცგანწყვეტა და უილაჯობა.

* * *

ვით ჩალის ღერით ამოხვრიპე ჩემი არსება,
ვიცი, ბაგეზე გემო შეგრჩა მწვავე და მწარე,
მაგრამ მე ლოცვით არ შევბღალავ ტანჯვის ღირსებას.
ო, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ჩემი სიწყნარე.

როცა მორჩები, თუ გსურს, მითხარ, რომ ჩემი სული
ალარ ეკუთვნის სააქაოს, არ მენალვლება!
მე, ახლომახლო ბილიკებით მინდვრად გასული,
ვუყურებ, როგორ თამაშობენ ჩრდილში ბაღლები.

ხურტკმელის ბუჩქებს დაუფარავთ პატარა ველი,
და ბოსტნის ყორეს მოზიდული ქვებით ავსებენ.
შენ კი ვინა ხარ? ძმაი ჩემი, თუ საყვარელი,
მე ალარ მახსოვს, და არც მინდა, რომ გამახსენდეს.

აქ სიმშვიდეა. და სიმშვიდემ, როგორც თრიაქმა
დაღლილი ტანის ყველა ნაკვთი შვებით ამივსო.
ხოლო გამვლელებს ჩემზე დარდი აფორიაქებთ,
საბრალო, ალბათ ორიოდ დღის ქვრივი არისო.

არასდროს ღვინოს, არც თეთრს, არც წითელს,
 ერთი ჭიქიდან ერთად არ დავლევთ.
 ბნელ ღამეს კოცნით არ გავაფითრებთ,
 შემომწუხრებას არ ვუთვალთვალავთ.
 შენ მთვარის ძე ხარ, მე – მზის ასული,
 თუმც ერთი გრძნობით გვიდგია სული.

მე სულ თან მახლავს ნაზი სწორფერი,
 შენ კი საცოლუ – მარად მღიმარი,
 მაგრამ მე მესმის მაგ ნაცრისფერი
 თვალების შიში და სატკივარი.
 და შეხვედრებიც დიდ დროს არ გვართმევს,
 შევინარჩუნოთ სიმშვიდე, გემართებს.

თუმც ჟღერს ჩემს ლექსში შენი ხმის ვერცხლი,
 შენს ლექსებს ჩემი სურნელი ასდის,
 ო, რა თქმა უნდა, არსებობს ცეცხლი,
 რომ არ ქრება და არც ყავლი გასდის.
 და ახლაც მწველი სურვილი მანგრევს,
 შევეხო შენს მშრალ, ვარდისფერ ბაგეს.

ბოლოთკმა

არა, ეს მე არ მომიგვრია თქვენთვის ნალველი,
მე არ ვყოფილვარ სამშობლოსგან ღირსი გაცემის,
ეს – მზის აღმურში ელვარებდნენ მელნის ლაქები,
და ლაპლაპებდნენ, ვით მოცხარის მნიფე მარცვლები.

და სისხლი ჩემი აზრების და ჩემი რვეულის,
გაჟღენთილიყო ფერით ძახველის,
განუყრელნი ვართ ანი მე და ეს ძონეული.
არა, ეს – მე არ მომიგვრია თქვენთვის ნალველი.

ეს – წუხელ მწუხრი ირწეოდა სასონარკვეთით,
სულანენილი მოწინებით გინწავდათ მახეს,
ეს – ჩრდილი მაჯას გისინჯავდათ, წნელით გაკვეთილ
ლობესთან მდგარი, მინდვრებისკენ იშვერდით სახეს,
და წრიალებდით კუტიკარის წებოს აკრული,
სულ ნალეკილი ვარდით, ნაცრით და კარბუნკულით.

ეს – მთელმა სთველმა, მიწებებულ იარლიყებით,
წნორების მიღმა, მზის ცხელ გულზე დახრილ თვალებით,
ლუქით დაბეჭდა განიერი მკერდი ბურღაკის
და დანვა თქვენი კაბები და მოსართავეები.

ავინროებდნენ ერთუროს თქვენთა წამწამთ მწკრივები...
ეს – მრგვალი რკალი გამოქანდა რქანაშვერილი,
წამახულ წვეტით გადალენა ბალის შვერილი,
ეს – გაზაფხულმა ჩაგანმახნათ თმებში აღმასი,
შემოწულიდა და გაბრუნდა წამსვე გაღმასვლით.
მოწინებისგან წამოწითლდნენ ჟოლოს ღანწები...
ეს – მე არ, ეს თქვენ... თქვენი ეშხით და სილამაზით.

ღმერთო

მადლობელი ვარ, ძალი ხილვისა
რომ მომანიჭე, უფალო, განძად,
რომ ვჭერეც შენ მიერ აღმართულ ტაძარს,
სალამოს ბინდს და რიჟრაჟს დილისას.

დე, ტანჯვამ სუნთქვა შემიკრას, გმადლობ,
ყოველწამიერ, მსურს, მადლი გიძღვნა,
ყველაფრისათვის, რაც გულმა იგრძნო,
რასაც ვარსკვლავთა ციმციმი მანდობს.

შენით სულდგმულობს ყოველი არსი,
ყველგან შეგიგრძნობ, ღამის ნიაღში,
უუშორესი ხომლის ციაგში,
თუ საკუთარი სხეულის გარსში.

ვერ ვგრძნობდი, რომ ღვთის სურვილი მკლავდა,
არ მნამდა, როსმე თუ ღმერთს ვპოვებდი,
მაგრამ გონება როცა ხელს გკრავდა,
ჩემს სულს თურმე შენ ასაზრდოვბდი.

ბოლოს შეგიცან, შენა ხარ მთელი
ვრცელი სამყარო, შენ – ცისფერი ცა,
შენ – ქარის ქროლა, შენ ხარ ეთერი,
შენს პოეტის ხმა, ბოლოს შეგიცან!

სანამ ვიცოცხლებ, შენთვის ვილოცებ,
შენთვის ვისუნთქებ, შენთვის ვევენები

და რომ მოვეკვდები, ნუ გაიოცებ,
თუ შენ მხლებლებში გამოვერევი.

მანამ კი, სანამ ვამძიმებ მიწას,
წრფელი მადლობა მინდა, რომ გიძღვნა,
რამეთუ მტანჯავ, რამეთუ მიცავ,
სიცოცხლისთვის და სიკვდილისთვისაც.

ვლადიმირ ვისოცკი

ეს დაბლობს არ ჰგავს

ეს დაბლობს არ ჰგავს, აქ სხვაა ჰავა,
ელავს ყინული, გადმოჩქეფს ლავა,
ისმის ზეაფების ზარი და ზათქი.
თუ რამეს უფროსი, უკან გაბრუნდი,
ჩვენ კი გზა გვხიბლავს ყველაზე მრუდი,
ბრძოლის ველივით სავსე ხიფათით.

თუ აქ არ ახველ, საფრთხე არ ნახე,
მაშ, ნუ დაირქმევ მამაცის სახელს,
თუნდ ბარში ვარსკვლავს სწვდებოდე ცაზე.
გინდ თავი დადე, რაც გინდა სცადე,
ბარში ვერ ნახავ სასწაულს ამდენს,
ამდენ მშვენიებას და სილამაზეს.

არ ჩანს ვარდები, არც შავი ძაძა,
და არც უსულო მონუმენტს ბაძავს
ეს ქვა, ასეთი სანდო და მყარი.

უქრობი ალით მომჭრელი თვალის,
ალმასის მსგავსად ელავს მწვერვალი,
რომელიც ჯერაც ვერ დაიპყარი.

ის თქვან, რაც უნდათ, ჰო, თქვან, რაც უნდათ,
არ ილუპება აქ არვინ ცუდად,
ასე სჯობს სიკვდილს არყით ან გრიპით.
ამოვლენ სხვებიც, უცნობი ძმები,
რომ ღონიერი და გამძლე ძელებით,
დაძლიონ შენი დამძლევე სიპი.

სალი კლდეები... ჩუ, იყავ უხმოდ,
აქ გადამრჩენელს ნურავის უხმობ.
ხელს ვერ ჩასჭიდებ ქვას და ყინულს, წარაფსა და თოვლს.
თუ მიენდობი, მხოლოდ ძალას შენი მარჯვენის,
ან მეგობრის ხელს, ანდა წრიაპს თოვლში ჩაბჯენილს,
და ლოცულობ, რომ უცებ მუხლმა არ გიღალატოს.

უკან არ ვიხევთ, საბჯენებს... ვითხრით,
მღელვარებისგან მუხლები გვითრთის,
გული მკერდიდან ამოვარდა და მალლა იწევს.
შენს ფეხრთითაა დედამინა, და მხოლოდ მათი
სვე გენატრება და მათი გშურს მხოლოდ ცოტათი,
ვინც მწვერვალებზე ამაღლებას ახლალა იწყებს.

ოცნებები

იქ, სადაც ღვთისგან მიტოვებულ, უბადრუკ სახლაკს
გარს ერტყა ღობე, შეეკლილი ხმელი ხინვებით,
ბებერი ყვავი და ბეჩავი, ბოგანო გლახა
აღმაფრენაზე საუბრობდნენ თავდავინწყებით.

ბებერი ყვავი, ძველთაძველი დარდით აღსავესე,
ჟრჟოლადავლილი უყვებოდა დაკონკილ გლახას,
რომ მან, მთვლემარემ, ძველი კოშკის ნაპარტახალზე,
ენით უთქმელი, საოცარი ზმანება ნახა.

რომ ცის თაღებში მონავარდეს, ნებიერს ბედის,
აღარ ახსოვდა სილატაკე მათი სახლაკის,
რომ თავად იყო მშვენიერი, ქათქათა გედი
და უფლისწულად ქცეულიყო გონჯი გლახაკი.

გლახა ტიროდა, ქვითინის ხმა უხშობდა ყურებს,
მოძალებული ბინდი ნათელს სტაცებდა მიჯნას,
და გზად ჩაეღილი დედაბერი, მათი შემყურე,
შეჩქვიფებული აჩქარებით იწერდა პირჯვარს.

თარგმანი რუსულიდან

მოწყალეო სერ, ებ ტყეები...

საკმარისია, ადამიანი ერთხელ დატრი-
ალდეს თვალდახუჭული და ამ სამყაროში
გზა-კვალი აებნევა... ჯერ ბოლომდე არ დაე-
კარგულვართ... ძებნას შეუდგეთ!
ტორო „ტყის ცხოვრება“

მონყალეო სერ, ეგ თამაში აღრინდელია,
ჩვენც ვთამაშობდით, პატარები, რვისა და ათის,
ათასში ერთხელ, პლაჟზე, ქვემო მდინის შტატში,
აგვისტოს ბოლოს, როცა გამჭოლ ქარებს ელიან
ოკეანიდან და კორომი დინგლი დელის და
პაპას სახლს შორის ფერმკრთალდება და ბუნდოვნდება,
ამ დროს ყვეისფერ პოლუსს მოჰგავს ყოველი ფიჭვი,
უყურებ ეჭვით, დღისით-მზისით უეცრად დგება
ლამე და მზეზე ლამურები ფრენენ, ერთხელაც
დატრიალდები და მიხედები, რომ დაკარგულხარ...
იცი, თუ რატომ ყრანტალებენ ბინდში ყვავები,
იცი, რომ დღეს არ გაეახშმებენ, და ეს მწუხარე
ნაპირის მოთქმა ყვება ამბავს, შემშლელს ჭკუაზე,
რომ შენი ძიძა აღარ არის, ო, მადმუაზელ,
ამოგიბრუნდათ უცებ ნავი და მიიცვალეთ,
თქვენც დატრიალდით, დახუჭული გქონდათ თვალები.

მონყალეო, სერ: მოზიარე ამგვარი ხედრის,
მე დაეტრიალდი ორგზის, მაგრად თვალდახშობილი,
ტყე გახდა თეთრი და მე ჩემი შავ-ბნელი ხედვით
ბევრი რამ ვნახე არნახული და არშობილი.

თვალგახელილი შემდეგ ხშირად ვფიქრობ ამაზე,
და შეცბუნებულს თუმცა მზერის შემართვა მიჭირს,
ტყეში ვეძებ და ვერ ვპოულობ უფრო ამაზრზენს,
ვიდრე თვით მე ვარ, დაკანრული ეკლით და ხიჭვით.

ანბალოგად აზიება

მე დავიღალე ქალად ყოფნით.
მომწყინდა კოვზი და ჯამ-ჭურჭელი,
მომწყინდა ჩემი ბაგეები და ჩემი მკერდი,
მომწყინდა ჩემი კოსმეტიკა და ტანსაცმელი.
ჯერ ისევ ჩემი სუფრის ირგვლივ კაცები სხედან,
თითოეულ მათგანს სავეს თასს ვანვდი,
თასში აწყვია მენამული ყურძნის მტევნები
და შიგ ბუხები მიძვრებიან გოლეულისთვის.
თვით მამაჩემიც კი მოსულა თავის თეთრი ძვლით,
მაგრამ მე უკვე დავიღალე საგანთა სქესით...

ოი, ასულნო იერუსალიმისანო,
მე თვით ხელმწიფემ შემეყვანა თავის ოთახში,
მე შავი ვარ და ვარ მშვენიერი,
ვიყავ გახსნილი და განძარცული...
არა მაქვს ხელნი, არცა ფერხნი,
კანილა დავრჩი თევზის დარად.
მე აღარა ვარ დღეიდან ქალი,
ვითარცა ქრისტე კაცი არ არის.

გავიჭერ გარეთ შლეგი გრძნეული,
ბნელის მდევარი, მსურველი ავის,
ბოროტის ნდომით სისხლამღვრელი
დავუყევ ბანებს, ავსული ღამის,
მარტოდ შთენილი, თორმეტითა, გონებით ნავსი,
ასეთ ქალს ქალი არც ჰქვია ღამის.
მეც ვიყავ მსგავსი.

ცხელი ქვაბული ვიპოვე ტყეში,
გავავსე ძვლებით, ათასგვარ ნაყშით,
ჩონჩხებით, ქვებით, ატლასით, ხრეშით,
ფერიების და მატლების ვახშმით,
გლუვი კედლები დავფარე ხავსით,
ასეთ ქალს ჩვენში არქმევენ შეშლილს.
მეც ვიყავ მსგავსი.

ეს მე ვიჯექი შენს ოთხთვალაში
და შიშველ მკლავებს ვუქნევდი ლოდებს,
ვგრძნობდი, გადაერჩი, თუმც ჯერაც მაშინ
თეძოებს ცეცხლის ენები ლოკდნენ
და ძვლები მტეხდნენ ბორბლების ქარში,
ასეთ ქალს სულ არ რცხენია, მოკვდეს.
მეც ვიყავ მსგავსი.

მდინარის გატარის სოლის წიკრილი

როდესაც თმები ჯერაც შუბლთან მქონდა შეჭრილი,
წინა ეზოში ვთამაშობდი, ყვავილებს ვკრეფდი,
შენ ჩამივლიდი ხის ცხენით ან ოჩოფეხებით,
შენ ჩამივლიდი მოთამაშეს ქლიავის ტოტთან.
შემდეგ დავსახლდით სოფლად, მყუდრო ხოკანის მხარეს,
ვით ორი ბავშვი, შურისა და ეჭვის არმცოდნე.

თოთხმეტი წლისა გამოგყევი, ჩემო ხელმწიფე,
მაშინ არასდროს ვიცინოდი, ჯერ მორცხვი ვიყავ,
თვალეზაბრილი მუდამ კედელს მივჩერებოდი,
თუნდაც ათასჯერ დაგეძახა, არ მოგხედავდი.
თხუთმეტი წლისამ უკვე წარბის გახსნა ვისწავლე
და მტვერი ჩემი მსურდა შენს მტვერს შეერთებოდა,
ან და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!
არ მაშინებდა მოთვალთვალე გუშაგის მზერა.

როცა თექვსმეტი შემისრულდა, შენ გაემგზავრე,
დაბლა დაუყევ კუ-დო-იენს, წყალუხე მდინარეს,
და ხუთი თვეა უკვე, აღარ გამოჩენილხარ,
ხის წვერებიდან დამგმინავენ მაიმუნები.

შენ უხალისოდ მიდიოდი, ნაბიჯს ითრევდი.
ახლა ჭიშკართან ხავსი ხარობს, ეს სხვა ხავსია.
ფესვები მაგრად აქვს გადგმული, ჭირს ამოგლეჯა.
წელს შემოდგომით ნაადრევად ცვივა ფოთლები.
მიჯნურ ფარვანებს გაუხუნა ფრთები აგვისტომ
ბალახის ღერზე, დასავლეთ ბაღში.

გული მიკენესის, თითქმის დავებრდი...
თუკი შინისკენ მოჰყვებოდე მდინარის ტალღებს,
ცოტათი ადრე შემატყობინე
და გზაზე, სადმე ჩო-ფუ-სასთან, შეგეგებები.

დევიდ პერბერტ ლორენსი

გამთრის გზაპარი

გუშინ თოვლს ოდნავ დაეფარა სიმწვანე მინდვრის,
დღეს კი ბალახებს მძიმე საბნის უჭირთ გაძლება.
და მაინც, მისი ნაკვალევი ჯიუტად მიდის
ფერდობის წვერზე, ქედდათოვლილ, მაღალ ნაძვებთან.

მას ჯერ ვერ ვხედავ, რადგან ნისლის თხელი ქიშმირით
ცის მრუმე თალი და ბნელი ტყე გადაითრთვილა,
მაგრამ ის მიცდის, ვიცე, მფრთხალი და გათოშილი,
ცხელი ცრემლები მობჯენია ყელში ქვეთინად.

რად მოირბინა ასე მკვირცხლად, ხომ კარგად იცის,
რომ ამით მხოლოდ განშორებას აჩქარებს, მუხთალს.
ზანტად მივყვები ბილიკს მისკენ, ვინც ასე მიცდის,
რატომ მოვიდა, მან ხომ იცის, რაც უნდა ეუთხრა?!

ჩემთვის ტკივილი, რასაც შენი ტრფობა მანიჭებს,
 უფრო ძნელია, ვიდრე ძალმიძს ამის ატანა.
 შენი მშვენების ლაბირინთში ვადგამ ნაბიჯებს
 ამ სიბნელიდან ნათლის სხივის გამოსატანად.
 დგახარ და მიმზერ და მიყურებს შენი თვალებით
 უკუნი ღამე, როცა ასე დგახარ და მიმზერ.
 გავარეარებულ მზის ზედაპირზე
 ადრე არასდროს დამინახავს ამდენი ჩრდილი...
 და ახლა ყველა მაღალი და ტანკენარი ხე
 ზურგს მიაბრუნებს მზის მხურვალე და ცხელ ზედაპირს
 და მიწის ჩრდილებს, არიდებდნენ რომელსაც სახეს,
 თვალს უშტერებენ ისე, როგორც მშობლიურ ნაპირს,
 და ფერხთით ყვითლად მოელვარე, ბრჭყვიალა საგნებს
 წამოსწოლია ღამე ბნელი და თვალებლია,
 მე ახლა მხოლოდ სიმღერების სურვილი მაგნებს
 ან ცეკვის, ანდა ყველაფრისა, რაც კი ღალია.
 მაგრამ ვერაფრით მოვაშორე თვალები ღაქებს,
 ფინჯნის გარშემო განოლილებს, მუქს და ნალვლიანს.
 ეს რაღა არის?! უსმინეთ, აქეთ,
 სისუსტის ჩქამი სივრცემ ჩემკენ გამოატარა,
 იგი ჰგავს ჩქარიას ნიჟარაში დამწყვდეულ სულის,
 და სადაც ჩქამობს კვლავ სიკვდილი, იქვე პატარა
 ველური ვარდი კვირტებს შლის და იფიქრებს სურვილს,
 ტოროლა ცდილობს ლაჟვარდისფერ ცაში აიჭრეს,
 და ის ტკივილი, რასაც შენი ტრფობა მანიჭებს,
 უფრო ძნელია, ვიდრე ძალმიძს ამის ატანა.

თარგმანი ინგლისურიდან

ფრიდრიხ ჰოლდერლინი

მადონის მოთქმა ფიოტიმას ბამო

1

გარეთ გავდივარ ყოველდღე და ვილაცას ვეძებ,
დიდი ხანია, გამოვკითხე ტყის ბილიკები,
ყველა მწვერვალი, ყველა ჩრდილი, ყოველი წყარო.
გააფთრებული ზევით-ქვევით დაქრის გონება,
როგორც ნადირი დაძრნის ტყეში გაავეებული,
თავს რომ აფარებს ღამის წყვდიადს მოსასვენებლად,
მაგრამ ვერასდროს გაუცოცხლებს გულს ტყის საფარი,
არ აცლის ძილს და ეკლიანი გვირგვინით ამკობს.
ვერც დილის სითბო, ვერც წყვდიადი ვერ ეხმარება,
ამოდ ცდილობს ჭრილობები რომ განიბანოს.
და მას ვერ წამლობს მთელი ქვეყნის ბალახულაზი,
მის მჩქეფარე სისხლს ვერ აგრილებს ზეფირის ქროლვა.
მას ასე უყვარს! მეც მასავით არ მაქვს საშველი,
რალა ამომგლეჯს გონებიდან მწარე ოცნებას?

2

დიახ! ღმერთებო შავეთისა! არავის ინდობთ,
კაცს, შეჭირვებულს ცხოვრებისგან, ხელთ როცა იგდებთ,
მაშინვე თქვენთან უკუნეთში იტაცებთ ხოლმე,
გაიზიაროს რათა თქვენი ტანჯული ყოფა,
ან მოთმინებით აღიჭურვოს სხვებს განკვეთილი
და დამცინავი მოისმინოს თქვენი სიმღერა,
რომ ყველაფერი დაივიწყოს, ძილს მისცეს თავი.

მაგრამ შენს მკერდქვეშ ისევ რეკავს ზარი იმედის,
შენ, სულო ჩემო! მათ ვერ იტან, ვერ შეეგუე.
ასეთ ღრმა ძილშიც რომ აგრძელებ მაინც ოცნებას!
ლხენის დრო არ მაქვს, მაინც მინდა დაფნის გვირგვინი,
განა არა ვარ მარტოსული, მაგრამ მეგობრულ
მზერას გრძნობს გული ახლომახლო და მიხარია,
რომ მწუხარების საუფლოში ბედნიერი ვარ.

3

ოქროს სხივებო სიყვარულის, მკედრებსაც რომ ათბობთ,
იმ ტკბილი დროის სურათებო, ბნელს გამინათებთ?
სალამოს მთები მაგონებენ ედემის ბაღებს,
ტყის ბილიკებიც გულითადად მეგებებიან,
ციური ლხენის შუქურებიც, ცის ვარსკვლავები
ლოცვა-კურთხევას მიგზავნიან მძიმე წუთებში.
ჩემთვის მაისიც არ იშურებს მონყალე კალთას,
ვარდებისა და შროშანების სურნელით მათრობს.
წელს შეცვლის წელი, ჩაივლიან გაზაფხულებიც,
წინ ვერაფერი აღუდგება დროის ცვლილებას,
წარიხოცება ყველაფერი და უკვდავებას
ეზიარება მხოლოდ სული შეყვარებული.
და დიოტიმა ყველაფერი სამარადისოდ
მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ორისთვის გაერთიანდა.

4

ბედნიერი ვართ ჩვენ ორივე, როგორც გედები,
ტბის ლურჯ ტალღებში ნეტარებით მოცურავენი,
წყალს ჩასცქერიან, შიგ არეკლილ ღრუბლებსაც ჭვრეტენ,
ცისფერი ზეცა წყლის სარკეში ნაზად ირხევა.
მათ დავემსგავსეთ ორივენი და ჩრდილოეთი
ჩვენ გვემუქრება, ტანჯვის დამთმენ შეყვარებულებს
და ქარიშხალმა ხეს მოსტაცა მწვანე ფოთლები,

ორივეს გვგვრიდა მხოლოდ ღიმილს, ვერ შეგვაშინა,
რახან მფარველად მოგვევლინა მაღალი ღმერთი,
ბავშვურ გულებში ნეტარება დაგვისადგურა.
მაგრამ დღეს უკვე უდაბური გახდა სავანე,
თავი დაეკარგე მწუხარებით, თვალთ დამიბნელდა,
გზაარეული მარტო დავძრნი, ჩრდილს დავემსგავსე
და ეს სიცოცხლე მე უაზროდ გრძელი მგონია.

5

მოლხენა მინდა სხვებთან ერთად, მაგრამ რისთვისღა?
მე ხომ ყოველმა ზეციერმა მარტო დამტოვა,
დამაუძღურა წყევლა-კრულვამ, ღონემიხდილი
კვლავ იქ ვაგდივარ, საიდანაც დავინწყე წინსვლა.
ბავშვივით ჩუმად, უგრძნობელი მთელი დღე ვზივარ.
ხშირად ღანვებზე მედინება ცხარე ცრემლები.
ფრინველთა სტვენა, ყვავილები ნალვლით მავსებენ,
თვალწინ ციური ნეტარება წარმომიდგება,
მთრთოლვარე მკერდს კი მზის საამო, თბილი ნათება
მიყინავს ხოლმე, თითქოს იყოს უკუნი ღამე.
ეჰ! ზეცა, როგორც საპყრობილე სულთამბუთავი
მე იძულებით მძიმე ტვირთად მხრებს დამწოლია.

6

აღარ ლოცულობს შენს სახელზე არავინ ქვეყნად?
გზა გამინათე, შენკენ სავალ ბილიკს დავადგე
ულვთო მოკვდავი, კვლავ შევნატრი სიამის წუთებს,
როცა ვუსხედით ბედნიერნი ღვთაებრივ სუფრას,
მაგრამ ყველაფრით კმაყოფილი ჩვენი სტუმრები
დადუმებულან, მოჯადოვდნენ ტკბილი სიმღერით,
გულზე აყრიათ თბილი მინა, ვიდრე ოდესმე
მათ ზეციური სასწაული გამოაფხიზლებს,
კვლავ რომ გათელონ ფეხით ჩვენი მწვანე პლანეტა.

წმინდა მდინარე დაარწყულებს ღვთიურ სამყაროს,
ისევ ზეიმი გაჩაღდება, ყველა მოილხენს,
ძუძუს ანოვს ცა, ილალებს ანკარა წყარო,
ღამე იზრუნებს, საჩუქრებით აავსებს ყველას
და ნაკადულებს ამოჰყვებათ ოქროს ქვიშები.

7

განშორების წინ, თავდაკარგულს შენი მშვენიერებით,
მანუგეშებ და გადამიშლი მშვენიერებას,
მრავლის მნახველო, როგორც ქალღმერთს, თაყვანსა გცემენ,
შენი დუმილი სიბრძნის ღაღადს აღემატება.
ღვთის ნაშიერო! მოხვალ ჩემთან უწინდებურად,
კვლავინდებურად ამაღლებულს თუ მაზიარებ?
მე შენ წინაშე გოდება და ტირილი მმართებს,
როცა ვიხსენებ გარდასულ დროს კეთილშობილურს,
მინდა დაბრუნდნენ ის წუთები, მე შენ ძებნაში
მოვიარე და შევაჯერე ყველა ბილიკი,
ჩემო მფარველო ანგელოზო! წლები გაფრინდნენ,
ვერსად გიპოვე, შუა გზაში შემომალამდა.

8

გმირო ასულო! შენ შეგმოსავეს მალე ნათელი
და მოთმინება სიყვარულით დაგიფასდება,
მაგრამ, იცოდე, მარტო არ ხარ, გვერდს ბევრი გიდგას,
თუმცა შენ მაინც ყველასაგან გამოირჩევი;
და თვით უფალი დაგამშვიდებს, რადგან მუშები
გამოგიგზავნა, რათა ტკბილად დაგინანაონ
თავით ფეხამდე ათენელს და ღვთიურ არსებას,
რომელსაც ვერვინ შეედრება მოკვდავთა შორის.
როგორც კეთილი სული ყველას ზეციდან ლოცავს,
კაცობრიობას აფრქევს თავის უნაზეს სხივებს,
ისე მაგზავნი მე სიკეთის საქადაგებლად,

რადგან კაციშვილს არა სჯერა ამ ქვეყანაზე,
რომ საზრუნავს და სადარდებელს სიამე შეცვლის,
ლხენით აღსავსე გველოდება ოქროს დღეები.

9

ცის ბინადარნო! მინდა, გულით მადლობა გიძღვნათ,
ბოლოს და ბოლოს შევებით ვსუნთქავ თქვენი წყალობით,
როგორც ოდესღაც თქვენგან ზეცად ატაცებული
აღფრთოვანებით ვუყურებდი მაღლით ცისქვეშეთს.
ისევე მწყურია მე სიცოცხლე! ზეცა განათდა,
თითქოს ჩამესმა აპოლონის ლირის ჰანგები!
თითქოს სიზმარში ვყოფილიყავ, ფრთები შემესხა,
მე იმედები გამიმძაფრდა, ხელახლა გავჩნდი.
ვინც ქვეყნად ეძებს ამაღლებულს მთელი არსებით,
უყვარს ყოველი, აპოვინებს ღმერთი დაკარგულს.
გზა გაგვინათეთ, კურთხეულო, ტკბილო ნუთებო!
უნმინდეს აზრებს გვაზიარეთ ახალთაობა,
ლოცვას აღვაველენთ თქვენ წინაშე, მუხლმოდრეკილნი,
სიყვარულსა და მოწყალებას გემუდარებით.
ჩვენთან იყავით, ვიდრე შეეძლებოთ ჩვენი ძალებით
უკან დავბრუნდეთ საოცნებო, წმინდა მიწაზე,
სად არწივები, მნათობები, მოციქულები,
შეყვარებულნი, მუზები და დიდი გმირები
უზრუნველად და ბედნიერად დროს ატარებენ,
სად აყვავებულ ბალნარებში ჩვენიანები
გულით გველიან, გაზაფხულის ჰანგები ისმის,
სადაც თავიდან დაიწყება ჩვენი ცხოვრება.

მოდის და გული დამიმშვიდე, ყოვლის გამრიგე,
 მუზის საამო ამღერებით ქაოსურ დროში,
 მძვინვარე ბრძოლა შეაჩერე ციური ხმებით,
 გაორებული გული მკერდში კვლავ გაამრთელე,
 ვიდრე მოკვდავთა ხასიათი, წყნარი და მშვიდი,
 დროის დუღილში უცაბედად თავს გამოაჩენს.
 კვლავ დაუბრუნდი ხალხის გულებს, მშვენიერება!
 განყობილ სუფრას მოუჯექი, კოშკს დაუბრუნდი,
 სად დიოტიმა ცხოვრობს, როგორც თოვლზე ყვავილი,
 სულთ მდიდარი მზის სხივების ძიებაშია.
 მაგრამ მზე სულის, მშვენიერი, ჩასვენებულა
 და ბოხოქრობენ გრიგალები სუსხიან ღამით.

თარგმანი გერმანულიდან

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ბრაზიერი ესმით

დალაქთან შეველ და ვუთხარი სრული სიმშვიდით:
 „გეთაყვა, იქნებ დამივარცხნოთ დიდი ყურები“.
 თბილი დალაქი აღარ შემხვდა კრძალვით და რიდით,
 სახე მსხალივით დაუგრძელდა, გაშრა სრულებით.
 „შეშლილი ქერა!“ – წამოენთენ სიტყვები მწვავე,
 ლანძღვა-გინება წამოვიდა სართულ-სართულად,
 დი-იდ-ხანს ბრბოში ხითხითებდა ვილაცის თავი,
 თავი, რომელიც ბოლოკივით წამომართულა.

თარგმანი რუსულიდან

უზი ხიტმანი

გმაფლოზ ყველაფრისთვის

გმაფლოზ, უფალო, იმ ყველაფრისთვის,
რაც შექმენი და რაც კი მიბოძე:

ამ სამყაროსთვის, ტკბილი ჰანგისთვის,
ცხოვრების აზრის მონიჭებისთვის,
თვალის ჩინისთვის, მეგობრებისთვის,
გულისთვის – ძმისთვის ანთებულისთვის.

გმაფლოზ, უფალო, იმ ყველაფრისთვის,
რაც შექმენი და რაც კი მიბოძე:

ლაჟვარდი ცისთვის, მყუდრო ჭერისთვის,
გულის სწორისთვის, ყრმის სიცოცხლისთვის!

გმაფლოზ, უფალო, იმ ყველაფრისთვის,
რაც შექმენი და რაც კი მიბოძე:

გიძღვნი მადლობას უღრუბლო დღისთვის
და მოწყენის დროს თანადგომისთვის!
თავბრუდამხვევი წარმატებისთვის,
წყალობისთვის და სიყვარულისთვის!

გმაფლოზ, უფალო, ამ ყველაფრისთვის!

სპილენძის შანდალი

როცა შაბათი შემოაღებს ოჯახში კარებს,
სპილენძის შანდალს, დედის ხელით ნაზად ნაფერებს,
ნაეკიდება ჯადოსნური ალი ლიცლიცა
და მუხლმოყრილი ლოცავს წმინდა, ძვირფას სახელებს.

და ყელყელობს მოციმციმე სანთლის არილი,
ოთახს ნელ-ნელა ეფინება შუქი გრძნეული.
დედოფალივით დაბრძანდება შაბათი ტახტზე
და კუთხეებშიც სინათლეა მიმოზნეული.

სანთლის ლივლივა ათინათი თვლებში ცეკვავს,
ოცნების ფერი შენს სახეზე გაყურსულია.
სინათლე ისევ დაფარფატებს დედის ხატებად
და ეს ფარფატი უნაზესი მისი სულია.

გვეძახის დედა, გვეფერება, გვლოცავს, გვაფრთხილებს
და ძველებურად მოგვიჩრდილებს კალთას მადლიანს.
ლანდები ქრება, ინავლება სანთელი ნელა,
ხსოვნა კი ისევ მოგიზგიზე ცეცხლად ანთია.

შანდალი თითქოს გადებულია ხიდად წარსულთან,
მოგონებები აბურდულა არა ერთი და...
ამ ჯადოსნური ღამისაგან ველი სასწაულს
და დედის სახე მიბრუნდება სიზმარეთიდან.

სიმღერა

როცა აგიტანს წერის ჟინი ლექსის, ტიალის,
ვით იორდანეს აქოჩრილი ზვირთის ტრიალი,
მოსწყდები ზათქით ჩრდილოეთის ანკარა წყაროს,
შეიდფერი მუზაც დაუდგრომელს და გიჟმაჟს გწყალობს.
სამოთხის ჩიტი ვარდს უგალობს თავდავინწყებით;
ვით იორდანე, შენც ლამაზად მთებში იწყები.
როგორც მდინარე მოდუდუნე ტალღებს მიაჩნევს,
დღეები შენი სამხრეთის ზღვას მალე მიაღწევს.
მწვანე ბალახი ზურმუხტით ელავს ნაპირზე,
მდინარესავით დაუცხრომელ ლელვას აპირებ.
ბორგავს და ილტვის იორდანე, გაღაღებული,
მაგრამ მკედარ ზღვაში სიკედილი ჰყავს ჩასაფრებული.
მერე რა?! – თუნდაც თვალუნვდენი მთები იხილოს,
ვერსად წაუვა წუთისოფლის ინილ-ბინილოს.
შენი ლექსებიც ასე მოდის, ასე მღელვარებს
და შენს შემდეგაც ძველებურად იტყვიან სათქმელს.
როცა აგიტანს ლექსის წერის ჟინი, ტიალი,
იორდანე ხარ, მთელი მისი ორომტრიალით.

მირიამ დრორი

* * *

ვზივარ ეული, მარტოსული, ვოცნებობ შენზე...
სალამოს ბინდი გრილი ხელით ტანზე მეხება.
ვსვამ მარტოობის მწარე სევდას ბროლის ჭიქიდან
და შენი მოსვლა კვლავ ჯიუტად მეიმედება.

ეს მოლოდინი ნატვრასავით უჩუმარია,
ჩემი ოცნება არასოდეს მჭახედ არ ყვირის.
ერთია მხოლოდ – ჭიქას ვუმზერ და ველარ ვმაღავ
ჩემს გაოცებას – ის სავსეა ამ სიმარტოვით.
შენ კი სამყაროს შეერიე – ნაწილი მისი,
სივრცე გიზიდავს, გეჭიდება, გაშორებს ჩემგან.
ქარი აწვალებს, აფარფატებს მარტოსულ ფოთლებს;
მათი უმწეო თრთოლვა კვნესას წააგავს ჩემსას.
მე დაბნეული ვილიმები; ღამის სიგრილე
ისევ მეხება უსიამო, ცივი თითებით.
რა სიჩუმეა! მოლოდინის მძაფრი დუმილი...
და აღარავის არ ელიან თლილი ჭიქები.

ოქროს იერუსალიმი

ფიჭვებს ნაცნობი ასდის სურნელი,
სადღაც წკრიალებს ზარი,
მთების კენწეროს ეალერსება
თავანწყვეტილი ქარი.
ჩასძინებია თითქოს გაღავანს,
ტყვეობაშია სიზმრის,
დგას მარტოდმარტო ძველი ქალაქი,
კედლის გოდება ისმის.
იერუშალიმ, შენ ხარ სინათლე და ოქროსფერი ნატვრა,
მე შენი ქნარის ერთი სიმი ვარ, შენი ზღაპრული არფა.

გამოფიტულა ჭები ლივლივა,
მოედანს ხალხი ტოვებს
და აღარავინ ადის გორაკზე,
ჰარ ჰაბაითი გოდებს.

ძველი ქალაქის კატაკომბებში
ქარი აწყდება კედლებს,
მკვდარი ზღვისაკენ მიმავალ ბილიკს
იერიქონთან ვეძებ.

იერუშალიმ, შენ ხარ სინათლე და ოქროსფერი ნატვრა,
მე შენი ქნარის ერთი სიმი ვარ, შენი ზღაპრული არფა.

და მაინც მჯერა, მოვა დროება,
როცა გიმლერენ გზნებით
და დაგინნავენ დაფნის გვირგვინებს
შენი ახალი ძენი.

შენი სახელი ბაგეს მოსწყდება,
ტუჩებს შანთივით დაწეავს:
„თუ დაგივინყო, იერუშალიმ“,
შენ – ოქროსფერო ნატვრავ!

იერუშალიმ, შენ ხარ სინათლე და ოქროსფერი ნატვრა,
მე შენი ქნარის ერთი სიმი ვარ, შენი ზღაპრული არფა.

ჩვენ დავბრუნდებით ლივლივა ჭებთან,
ავახმაურებთ ქუჩებს,
ნალარა გვიხმობს ჰარ ჰაბაითის,
ლოცვას ვაყოლებთ ტუჩებს.

გამოქვაბულებს, კლდეში ნაკვეთებს,
ისევ ავყავართ ზევით,
მოვალთ, მკვდარ ზღვასთან შევიკრიბებით
იერიქონის გზებით.

იერუშალიმ, შენ ხარ სინათლე და ოქროსფერი ნატვრა,
მე შენი ქნარის ერთი სიმი ვარ, შენი ზღაპრული არფა.

მეორდება კი ისტორია?

ისტორიაც კი მეორდება ხანდახან, ვიცი
და ისიც ვიცი, შენ არასდროს დამიბრუნდები.

რა მწარედ მახსოვს გახლეჩილი ძველი ქალაქი:

იქით არაბი, აქეთ კიდეც მე – ებრაელი.

ჩვენც იმ ქალაქში დავდიოდით, მაგრამ საოცრად

შორი-შორს იდგა ჩვენი რწმენის რუხი კედელი.

ვით ჩრდილოეთში, ამ სუსხიან სამფლობელოში

აგებენ მყუდრო, მოხერხებულ ყინულის სახლებს,

ჩვენც საფრთხისაგან ნაცრისფერი დავდგით კარავი

და ომისაგან ავიშენეთ დიდი სასახლე.

ბოლოს და ბოლოს, დაიღალა ქალაქი შუღლით,

ისევ შეერთდა, გამთლიანდა, მუშტად შეიკრა,

მაგრამ, ვაი რომ, არ ვიყავით ჩვენ უკვე ერთად;

ჭრილობამ პირი აღარა და აღარ შეიკრა.

მე დღესაც გელი, თუმცა ვიცი, ვით ისტორია,

შენც არასოდეს, არასოდეს დამიბრუნდები.

ნაომი შემერი

ეკბალუპტის ტიპრი

ლამაზ ქალიშვილს, ახალგაზრდას, ტურფას და მწყაზარს,
მშვენიერ ბორცვზე მზეჭაბუკმა სახლი აუგო.

ჰოდა, მას შემდეგ საუკუნე გავიდა თითქმის

და გაზაფხულმაც ტახტი ბევრჯერ ზამთარს დაუთმო.

იორდანე კი ძველებურად ისევ მშვიდია,

ეკალიპტებში გატრუნულა დუმილი ისევ.
 ნავი,
 ხიდი და...
 ისევ ძველი დეკორაცია...
 წყლის მლაშე სურნელს აუვსია ტევრები მქისე.
 მდინარის გაღმა გრიალებდა ზარბაზნის ზალპი;
 მშვიდობა მხოლოდ შემოდგომის დამდეგს გველირსა.
 სულ სხვა ჭაბუკმა აუშენა ლამაზმანს სახლი.
 დაგვიდგა უამი განახლების და იმედისა.
 იორდანე კი ძველებურად ისევ მშვიდია,
 მას არ ეხება ეს გუგუნი, ორომტრიალი.
 ისევ ის
 ხიდი,
 ისევ ძველი დეკორაცია
 და... ისტორიის ულმობელი ბორბლის ტრიალი.

დიდი მენუსი

ვინც ოცნებობდა

ვინც ოცნებობდა, მეოცნებე დარჩა მარადის
 და ვინც იბრძოდა, ბრძოლის ველი ახლაც ეძახის.
 ვინც ოცნებებში მთელი ღამე თეთრად ათია,
 შეეგებება უეჭველად ღამაზ განთიადს.
 ვინც კი წავიდა, მისი ხსოვნა სანთლად ანთია.
 ვინც გვპირდებოდა, ხმალი ქარქაშს არ ჩაუგია,
 ვისაც უხმობდნენ, წინ გვიძლოდა, ის ჩაუქია.
 ვისაც უყვარდა, სიყვარული კვლავ შეუძლია
 და ვინც წავიდა, სიყვარულიც თან წაუღია.

მთანი მაღალნი განთიადის ალში იწვიან.
საღამოობით ზღვის ნიავე გველამუნება.
გვილამაზებენ ყვავილები ნაცრისფერ ყოფას
და ვინც დაგვტოვა, ზეცით ისევ ჩვენსკენ იღვწიან.
ვინც ოცნებობდა, მან ციური მაღლი იხილა
და ვინც იბრძოდა, გამარჯვების ესმა ყიჟინა.
ვინც ოცნებებით ღამეები გააფერმკრთალა,
ნასულებს ხსოვნის უგალობა მან სულთათანა.
ვინც გვპირდებოდა, შეგვისრულა დანაპირები
და შორეული გზებით ისევ ჩვენთან დაბრუნდა.
ვისაც სტკიოდა და ტკივილის იგრძნო კირთება,
ის ხსოვნის ნიშნად მწუხარებით ისევ დადუმდა.
მწვერვალებს ისევ მზის სხივები მოეფერება,
ზღვაურიც ისევ აგვიწუნავს თმების ბუღუღებს.
თხრილებს ნაომარს ია-ვარდი მოეფინება
და ხსოვნის ცეცხლი მოედება ანთებულ გულებს.

ლეა გოლდბერგი

ბგის დასაბრუნის სიმღერები

ყმანვილმა თქვა: გზა ძალიან ღამაზია!
ჭაბუკმა – გზა ძნელიაო ძალიან;
კაცმა – შარა გრძელიაო, მოხუცმა კი
ეს გზა უკვე, რა ხანია, გალია.

და ისვენებს, თმა ზამთარმა დაუთოვა,
ბალახებზე ღამემ ნამი ჩაშალა;
მიმწუხრისას ჩიტი მღერის გამოცანას:
„გახსენდება ნუთისოფლის გზა-შარა?!

ჟამი მიჰქრის, მოგონებებს აწრიალებს,
დღე ღამეს ცვლის, ფანჯრის მინებს აწყდება.
დრო შეიკითხვას დაჟინებით ატრიალებს:
მზისქვეშეთში არაფერი არ ხდება?

მოტეხილხარ, თმას ჭალარა შეჰპარვია,
მოგონებებს არ აკლდება მისხალი...
ცისქვეშეთში ცისმარე დღე ბოლოა და...
ყოველი დღე ახალია, ცინცხალი..."

თარგმანი ივრითიდან

უილიამ ბლეიკი

ბატბანი

პატარა, ღამაზო, კუნტრუშა ბეკეკავ,
ვინ მოგცა სიცოცხლე, თუ იცი შენ, ნეტავ?
ვინ მოგცა საკვები? სული ვინ ჩაგბერა,
მდელის ნაკადულზე გაღირსა ჩარბენა?
მატყლით ვინ შეგმოსა, ფუმფულა ბულულით?
ლაღად დანავარდობ, გერხევა კულული.
ვინ მოგცა ასეთი ნაზი ხმა, ნეტავი?
მინდორ-ველს თრთოლვით რომ ედება, ნეტარით.
პატარა, ღამაზო, კუნტრუშა ბეკეკავ,
ვინ მოგცა სიცოცხლე, თუ იცი, შენ, ნეტავ?!

მე გეტყვი, პატარავ, აგიხსნი ყველაფერს,
აგიხსნი, მოვძებნი სიტყვებსაც შესაფერს.
შენ მისი კრავი ხარ, ხარ მისი ზვარაკი.

გსმენია, პატარავ, ასეთი არაკი?
ის მშვიდი სულია, წყნარი და მომთმენი,
ბავშვივით სუფთაა, სიკეთის მომფენი.
მეც მისი კრავი ვარ, წყალობა მეღირსა!
შენც მისი კრავი ხარ, კეთილი მწყემსისა.
უფალმა შეგქმნა და დაგბადა ასეთად;
დაგლოცოს უფალმა, უმანკო არსებავ!

თარგმანი ინგლისურიდან

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

მხატვრული ისტორია „წინასწარმეტყველი“

სიყვარული

მაშინ აღმიტრამ უთხრა: გვესაუბრე სიყვარულზე.

აღმუსტაფამ თავი ასწია და ხალხს გადახედა. სულგანბული ადამიანები პასუხს ელოდნენ. მან კი ხმამაღლა წარმოთქვა:

როდესაც სიყვარული გიხმობთ, გაჰყევით მას, თუმც მისი გზები რთულია და ეკლიანი.

თუ მისი ფრთები შემოგეხვევით, დანებდით მას, თუმც შესაძლოა, ფაფუკ ბუმბულებს შორის ჩამალულმა ხმალმა დაგჭრათ.

როდესაც გესაუბრებათ, დაუჯერეთ მას, მაშინაც კი, როცა მისი ხმა ოცნებებს გიმსხვრევთ ისე, ვით ჩრდილოეთის ქარი გაატიანებს ხოლმე ბალებს.

მართალია, სიყვარული გვირგვინს გადგამთ, მაგრამ ჯვარსაც გაცვამთ. გზრდით და თან ტოტებს გაჭრით.

მალღდება თქვენს სიმაღლემდე, რათა მოეხვიოს მზის სხივებში მოცახცახე თქვენს მგრძნობიარე ყლორტებს.

და ჩადის თქვენს ძირებამდე, რათა მიწას ჩაბლაუჭებული თქვენი ფესვები შეაჯანჯლაროს.

ის მარცვალ-მარცვალ გაგროვებთ თავის გარშემო.

ის გლენავთ, რათა გაგაშიშვლოთ.

გცრით, ბზისაგან რომ გაგათავისუფლოთ.

ის გფქევთ გათეთრებამდე.

გზელთ, ეიდრე არ დარბილდებით.

და შემდეგ გადაგცემთ თავის წმინდა ცეცხლს, წმინდა პურად რომ იქცეთ ღვთის წმინდა ზიარებისთვის.

ყოველივე ამას სიყვარული დაგატეხთ თავს, რათა თქვენი საკუთარი გულის საიდუმლობათა შეცნობა შეძლოთ. და ამ შეცნობით ცხოვრების გულის ნაწილად იქცეთ.

მაგრამ თუ, შიშმორეულნი, სიყვარულში მხოლოდ მშვიდობასა და ნეტარებას დაუწყებთ ძებნას, უმჯობესი იქნება, დაფაროთ თქვენი სიშიშვლე და მიატოვოთ სიყვარულის კალო,

წახვიდეთ სამყაროში, სადაც არ არის წელიწადის დროები, სადაც გაიცინებთ, მაგრამ მთელი გულით ვერ გადაიკისკისებთ, სადაც იტირებთ, მაგრამ თქვენს ცრემლს ბოლომდე ვერ დაღვრით.

სიყვარული არაფერს გასცემს საკუთარი თავის გარდა და არსაიდან იღებს გარდა საკუთარი თავისა.

სიყვარული არაფერს ფლობს და არც ის სურს, რომ მას ფლობდნენ, რადგან სიყვარული მხოლოდ სიყვარულს სჯერდება.

როცა გიყვარს, კი არ უნდა თქვა, ღმერთიო ჩემში, არამედ – მე ვარო ღვთის გულში.

არ იფიქრო, რომ შეგიძლია მართო სიყვარული. თუკი ღირსად ჩაგთვლის, თვითონ წარმართავს შენს გზას.

სიყვარულს მხოლოდ ის უნდა, საკუთარი თავი განახორციელოს.

მაგრამ თუ გიყვარს და შენს სურვილებზე უარს ვერ ამბობ, მოდი, ეს იყოს შენი გულისთქმა, შენი წადილი,

რომ დადნე და ემსგავსო მორაკრაკე ნაკადულს, რომელიც ღამეს
უმღერის თავის სიმღერას,
რომ შეიცნო უსაზღვრო სინაზის ტკივილი,
რომ დაიჭრა შენი სიყვარულის წვდომით და სიხარულით დაიცალო
სისხლისგან,
რომ გაიღვიძო მზის ამოსვლისას ფრთაშესხმული გულით და მადლობა
თქვა კიდევ ერთი სიყვარულის დღისათვის.
რომ დაისვენო შუადღისას და სიყვარულზე იფიქრო,
რომ საღამოს შინ მადლიერებით აღვსილი დაბრუნდე.
და შემდეგ დაიძინო შეყვარებულისთვის ლოცვით გულში, ხოტბის
სიმღერით ბაგეზე.

ქორწინება

შემდეგ აღმიტრამ უთხრა: ქორწინებაზე რას გვეტყვი, მასწავლებელო?
და მან უპასუხა:
ერთად დაიბადეთ და სამუდამოდ ერთად იქნებით.
ერთად იქნებით მაშინ, როცა სიკვდილის თეთრი ფრთები თქვენს
დღეებს მიმოფანტავენ.
ერთად იქნებით ღმერთის უჩუმარ მახსოვრობაშიც.
მაგრამ დატოვეთ ცოტა მანძილი თქვენს ერთადყოფნაში.
თქვენ შორის ცეკვის ნება მიეცით ზეციურ ქარებს.
გიყვარდეთ ერთმანეთი, ოღონდ სიყვარულს ხუნდებად ნუ აქცევთ

უმჯობესია, ის თქვენი სულის ნაპირებს შორის აღელვებულ ზღვასავით იყოს.

ააესეთ ერთმანეთის თასები, მაგრამ ნუ შესვამთ ერთი თასიდან.

მიეცით ერთმანეთს თქვენი პურები, მაგრამ ნუ შეჭამთ ერთი კვერიდან.

იმღერეთ, იცეკვეთ, იმხიარულეთ, მაგრამ თითოეული თქვენგანი მარტო იყოს.

ბარბითის სიმებიც მარტონი არიან, თუმც მათგან ერთი მუსიკა ჟღერს.

მიეცით ერთმანეთს თქვენი გულები, მაგრამ არა მპყრობელობაში, რადგან მხოლოდ ცხოვრების ხელს შეუძლია მათი დატევა.

იდექით ერთად, მაგრამ არა ძალიან ახლოს –

ტაძრის სვეტებიც ერთმანეთისგან შორს აღმართულან,

მუხა და ალვა ერთმანეთის ჩრდილში არ იზრდებიან.

შვილები

ქალმა, რომელსაც თავისი პატარა ბავშვი მკერდზე მიეკრა, უთხრა: გველაპარაკე შვილებზე.

და მან თქვა:

თქვენი ბავშვები თქვენ არ გეკუთვნიან.

ისინი არიან ვაჟიშვილები და ქალიშვილები ცხოვრების სევდისა საკუთარი თავის გამო.

ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან.

და თუმცა თქვენთან ერთად არიან, თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

შეგიძლიათ, მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა თქვენი აზრები.
რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ.

შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა – სულები,
რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი
ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით,
დაიმსგავსოთ ისინი,

რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ
ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც
ცოცხალი ისრები, წინ-წინ გაიჭრნენ.

მსროლელი ხედავს მიზანს უსასრულობის ბილიკზე და ის გლუნავთ
თქვენ თავისი ძალით, რომ მისი ისრები სწრაფად და შორს გაფრინდნენ.

იყოს თქვენი მოხრილობა მსროლელის ხელში მხოლოდ სიხარულის
მომტანი,

რამეთუ, როგორც გაფრენილი ისარი, ისევე უყვარს მას მშვილდი,
რომელიც ადგილზე რჩება.

წყალობის ბატემა

შემდეგ მდიდარმა თქვა: გველაპარაკე წყალობის გაღებაზე.

და მან უპასუხა:

თქვენ გასცემთ, მაგრამ სულ მცირედს, როდესაც თქვენი კუთვნილიდან
გასცემთ.

და გასცემთ ჭეშმარიტად, რასაც თქვენივე არსებიდან გაიღებთ.

რისთვისაა თქვენი ქონება, თუ არა იმისთვის, რომ გეშინიათ, ვაითუ ის, რასაც დღეს ფლობთ, ხვალ რამეში დაგჭირდეთ.

და ხვალ? რას მოუტანს ხვალინდელი დღე გამჭრიახ, წინდახედულ ძალს, რომელიც თავის ძვლებს უკვალო უდაბნოს ქვიშაში მარხავს და თან პილიგრიმებს მისდევს წმინდა ქალაქისაკენ?

რა არის გაჭირვების წინაშე შიში, თუ არა თავად გაჭირვება?

განა წყურვილის შიში, როცა ჭა სავსეა, არ არის დაუოკებელი წყურვილი?

არიან ისეთნი, რომელნიც ცოტას გასცემენ იმ ბევრიდან, რასაც ფლობენ. მათ სურთ, სახელი გაითქვან და ეს სურვილი მათ ნაწყალობეს საზიზღარსა და ფუჭს ხდის.

არიან ისეთნიც, რომელნიც ბოლომდე გასცემენ იმ მცირედს, რაც აქვთ. მათ სწამთ ცხოვრების და მისი ხელგაშლილობის. მათი ხაზინა არასოდეს ცარიელდება.

ზოგიერთები გასცემენ სიხარულით და ეს სიხარულია მათი ჯილდო.

ზოგიერთები გასცემენ ტკივილით და ეს ტკივილია მათი მირონცხება.

არის ისეთიც, ვინც აძლევს და არ იცის გაღების ტკივილი. ისინი არც სიხარულს ეძებენ და არც იმის იმედად გასცემენ, რომ ეს სათნოებაში ჩაეთვლება.

ისინი გასცემენ, როგორც მინდვრად მურტი აფრქვევს თავის სურნელებას.

ასეთი ადამიანების ხელებით თვით ღმერთი მეტყველებს. მათი თვალების სიღრმიდან უფალი ულიმის დედამიწას.

კარგია წყალობის გაცემა, როცა გთხოვენ, მაგრამ უკეთესია, როცა არ გთხოვენ და თავად გესმის.

გულუხვი მწყალობლისთვის იმის ძებნა, ვინც მას მიიღებს, უფრო დიდი სიხარულია, ვიდრე თვით წყალობის გაცემა.

არსებობს კი ამქვეყნად რაიმე ისეთი, დამალვად რომ ღირდეს?

რაც გაბადიათ, ერთ დღეს ყველაფერი გაიცემა. ამიტომ ახლა გაიღეთ, რომ ჩუქების მთელი მაღლი და სიმშვენიერე თქვენ გეკუთვნოდეთ და არა თქვენს შემკვიდრეებს.

ხშირად ამბობთ: მივცემდი, ოღონდ ღირსეულს.

არც ხეები თქვენს ბაღში და არც ფარა თქვენს საძოვრებზე ამას არ ამბობენ.

ისინი იძლევიან, რათა იცოცხლონ, რადგან არმიცემა გაქრობის, და-
ლუპვის ტოლფასია.

ჭეშმარიტად, ის, ვინც ღირსია, მიიღოს თავისი დღეები და ღამეები, ღირსია, მიიღოს თქვენგან ყველაფერი დანარჩენი.

და ის, ვინც დაიმსახურა, ცხოვრების ოკეანიდან შეესვა, იმსახურებს, თავისი ფიალა თქვენი პატარა ნაკადულიდანაც აავსოს.

განა არსებობს უფრო დიდი უდაბნო, ვიდრე წყალობის მიღების სიმ-
ტკიცესა და სიამამაცეში, გულდაჯერებულობასა და ურყეობაში, ან
თუნდაც შემწყნარებლობაში დავანებულა?!

ვინა ხართ თქვენ, რომ ადამიანებმა თქვენ წინაშე გულისპირი შემოიფ-
ლითონ, თავიანთ სიამაყეს საფარველი ახადონ, რათა მათი გამიშვლე-
ბული ღირსებისა და შეცბუნებისგან გათავისუფლებული სიამაყის
დანახვა შეძლოთ?!

პირველად იმას დააკვირდით, თავად თუ იმსახურებთ, იყოთ გამცემნი,
წყალობის გაღების იარაღნი.

რამეთუ სინამდვილეში მარტო ცხოვრება აძლევს ცხოვრებას. თქვენ
კი, მწყალობლებად რომ მოგაქვთ თავი, ამის მოწმენი ხართ მხოლოდ.

და თქვენ, წყალობის მიმღებთ – თქვენ ხომ უკლებლივ ყველა ლებუ-
ლობთ – მაღლობის თქმაც არ გინდათ იტვირთოთ, უღელი რომ არ
დაადგათ თქვენს თავსაც და იმასაც, ვისგანაც მოგეცემათ.

უკეთესია, ამაღლდეთ მწყალობელთან ერთად მის საჩუქრებზე, როგორც ფრთებზე.

რამეთუ გადამეტებული ზრუნვა საკუთარ მოვალეობაზე იმის დიდსულოვნებაში დაეჭვებას ნიშნავს, ვისი დედაც ნაყოფიერი მიწაა, ხოლო მამა – ღმერთი.

შრომა

შემდეგ გლუხმა თქვა: გვესაუბრე შრომაზე.

უთხრა პასუხად:

იმისთვის შრომობთ, რომ არ მოსწყდეთ მიწას და მის სულს,

რადგან უსაქმურობა ჩამოგაშორებთ წელიწადის ყველა დროს და გამოგიყვანთ ცხოვრების ფერხულიდან, ხოლო ცხოვრება, მოგეხსენებათ, მედიდურად და ამაყი თვინიერებით უსასრულობისკენ მიემართება.

როდესაც შრომობთ, ჰგავხართ ფლეიტას, რომლის გულშიც საათების ჩურჩული მუსიკად იქცევა.

რომელ თქვენგანს სურს, იყოს ლერწამი, მუნჯი და ჩუმი, როცა გარშემო მღერის ყველა და ყველაფერი?

ყოველთვის ამას გიჩიჩინებდნენ: შრომა წყევლაა, მუშაობა – უბედურება..

მაგრამ მე გეტყვით: როცა მუშაობთ, ასრულებთ ნაწილს იმ ოცნებისას, დედამინამ რომ ჩაიფიქრა უშორეს დროში და მოგიმზადათ მაშინ, როცა თვით ეს ოცნება იზადებოდა.

როდესაც შრომობთ, მაშინ მართლა გიყვართ სიცოცხლე.

ხოლო სიცოცხლის შეყვარება მუშაობაში ნიშნავს, რომ ცხოვრების უღრმეს საიდუმლოს დაუახლოვდით.

მაგრამ თუკი თქვენს ტანჯვა-წვალებაში დაბადებას უბედურებად მიიჩნევთ, ხოლო სხეულზე ზრუნვას – წყევლად, რომელიც თქვენთვის შუბლზე დაუნერიათ, მე გიპასუხებთ, რომ ამ ნაწერს ველარაფერი ჩა-
მორეცხავს თქვენივე ოფლის გარდა.

ასევე გითხრეს, რომ ცხოვრება არის წყვდიადი. თქვენც, დაღლილებმა,
დაიჯერეთ გადაქანცულთა მიერ ნათქვამი ეს ფუჭი სიტყვა.

მე კი ვამბობ:

რომ ცხოვრება მართლა წყვდიადია, თუ მასში არ არის ჟინი, სწრაფვა,
დიდი სურვილი,

რომ სწრაფვა ბრმაა, თუკი მასში არ არის ცოდნა,

რომ ამაოა ყველა ცოდნა შრომის გარეშე,

უნაყოფოა ყველა შრომა უსიყვარულოდ.

როცა მუშაობთ სიყვარულით, უკავშირდებით თქვენსავე თავს, მოყ-
ვასს და ღმერთსაც.

და რას ნიშნავს სიყვარულით შრომა?

ეს ნიშნავს, შენივე გულის ძაფებისგან ქსოვდე ტანსაცმელს, თითქოს
მას შენი შეყვარებული ჩაიცვამდა.

ეს ნიშნავს, ისეთი მონდომებით აშენებდე სახლს, თითქოს იქ შენი
შეყვარებული დასახლდებოდა.

ეს ნიშნავს, თესლი რუდუნებით დათესო და მოსავალი სიხარულით
აიღო, თითქოს ამ ნაყოფს შენი შეყვარებული დააგემოვნებს.

ეს ნიშნავს, ყველაფერი, რასაც აკეთებ, შენივე სულის სუნთქვით აავსო.

და თანიცოდე, რომ სუყველა დალოცვილი მიცვალებული შენ სიახლოვეს
დგას და ჩუმად თვალყურს გადევნებს.

ხშირად მსმენია, როგორ ამბობთ თითქოსდა ძილში:

„ის, ვინც მარმარილოზე მუშაობს და საკუთარი სულის გამოსახულებას

ნახულობს ქვაში, უფრო კეთილშობილია, ვიდრე ის, ვინც მიწას ხნავს.

და ის, ვინც ცისარტყელა დაიჭირა, რომ ტილოზე ადამიანის ხატად გადაეტანა, იმაზე მაღლა დგას, ვინც სანდლებს კერავს".

მაგრამ მე ვამბობ არა ძილში, არამედ შუადღის სიფხიზლეში, რომ ქარი უძლიერეს მუხას ისევე ნაზად ეჩურჩულება, როგორც ბალახის უწვრილეს, ფაქიზ ღეროს.

დიდებულია ის, ვინც ქარის ხმას სიმღერად აქცევს და თავისი სიყვარულით მას კიდევ უფრო ალერსიანად ააჟღერებს.

შრომა ხილული სიყვარულია.

და თუ თქვენ არ შეგიძლიათ სიყვარულით მუშაობა, თუ მხოლოდ სიძულვილით საქმიანობთ, უკეთესია, მიატოვოთ თქვენი საქმე, დასხდეთ ტაძრის ჭიშკართან და შემწეობა ითხოვოთ მათგან, ვინც სიყვარულით შრომობს.

რადგან თუ გულგრილად აცხობთ პურს, ის მწარე გამოვა და კაცის შიმშილს ნახევრად მოკლავს.

და თუ უხალისოდ წურავთ ყურძენს, თქვენი უგულობა ღვინოსაც მონამლავს და წაახდენს.

ანგელოზის ხმითაც რომ მღეროდეთ და არ გიყვარდეთ სიმღერა, ადამიანის ყურებს დღისა და ღამის ბგერებისთვისაც დაახშობთ.

სწავლება

შემდეგ მასწავლებელმა სთხოვა: გვესაუბრე სწავლებაზე.

და მან თქვა:

არც ერთ ადამიანს დედამიწის ზურგზე არ შეუძლია, აღმოგიჩინოთ რაიმე გარდაიმისა, რაც უკვე თელემდა თქვენი ცოდნის გარიჟრაჟისას.

მასწავლებელი, რომელიც ტაძარში მიდი-მოდის მოსწავლეებით გარშემორტყმული, თავისი სიბრძნიდან კი არ გაიღებს, არამედ უფრო რწმენიდან და კეთილგანწყობიდან.

თუ ის მართლა ბრძენია, კი არ გიბრძანებთ თავისი სიბრძნის სასახლეში შესვლას, არამედ თქვენი გონების ზღურბლთან მიგიყვანთ.

ასტრონომი აგიხსნით, თუ როგორ ესმის მას სივრცე, მაგრამ ვერ მოგცემთ თვითონ ამ გაგებას.

მუსიკოსს შეუძლია, გადმოგცეთ რიტმი, რომლითაც მთელი სივრცე ივსება, მაგრამ ვერ გინყალობებთ ვერც სმენას, რომელიც იჭერს რიტმს და ვერც ხმას, რომელიც იმეორებს მას.

ციფრების მეცნიერებაში გათვითცნობიერებულს შეუძლია, სასწორებისა და საზომების სამყაროზე გაიმბოთ რამე, მაგრამ არ შეუძლია, იქ შეეყვანოთ.

რადგან ერთი ადამიანის ხედვა მეორისას ფრთას ვერ შეასხამს.

დაროგორც მარტოსული დგას ყოველი თქვენგანი ღმერთის ცოდნაში, ასევე მარტო უნდა იყოს თითოეული დედამიწის შემეცნებასა და ღეთის წვდომაში.

დრო

ასტრონომმა თქვა: მასწავლებელო, რას იტყვი დროზე?

მან უპასუხა:

გნადიათ უზომო დროის გაზომვა.

გსურთ საათებით, წლის სეზონების მიხედვით იცხოვროთ და თქვენი სულიც კი მოარგოთ მათ.

დროისგან წყაროს გაკეთება გინდათ, მის ნაპირას რომ ჩამოსხდეთ

და წყლის მდინარებას თვალყური ადევნოთ.

მაგრამ უდროობა თქვენში ყოველთვის შეიცნობს უდროობას ცხოვრებაში,

იცის, რომ გუშინდელი დღე დღევანდლის მოგონებაა მხოლოდ, ხოლო ხვალინდელი დღე – მისი ოცნება.

ის, რაც მღერის და აზროვნებს თქვენში, ჯერ კიდევ იმ პირველ წამში არსებობდა, რომელმაც ვარსკვლავები სივრცეში მიმოაბნია.

რომელი თქვენგანი ვერ გრძნობს, რომ უსასრულოა მისი სიყვარულის ძალა?!

და ამავე დროს რომელი ვერ გრძნობს, რომ თვით უსაზღვრო სიყვარულიც ადამიანშია მოქცეული და არა მიმოფანტული სასიყვარულო ფიქრებისა და საქმეების მწკრივში?!

განა დრო არ ჰგავს სიყვარულს – გაუყოფელს და განუზომელს?!

მაგრამ თუ თქვენს ფიქრებში ის წელიწადის დროების მიხედვით უნდა გაზომოთ, დაიტიოს თითოეულმა მათგანმა ყველა დანარჩენი,

დღევანდელმა დღემ მოგონებით ჩაიკრას გულში წარსული, ხოლო დაუოკებელი სწრაფვითა და სურვილებით – მომავალი.

სიკეთე და ბოროტება

ქალაქის ერთ-ერთმა უხუცესმა თქვა: გვესაუბრე სიკეთესა და ბოროტებაზე.

და მან უპასუხა:

შემიძლია ვისაუბრო სიკეთის შესახებ, რაც თქვენშია, მაგრამ არა ბოროტებაზე.

რადგან რა არის ბოროტი, თუ არა შიმშილისგან და წყურვილისგან გატანჯული სიკეთე?!

როცა სიკეთეს შია, ის ეძებს საკვებს ბნელ ქვაბულებშიც კი, ხოლო როცა სწყურია, დამყაყებული, შმორიანი წყლის დაღევასაც აღარ თაკილობს.

თქვენ კეთილნი ხართ საკუთარ თავთან დარჩენილები,

მაგრამ არც მაშინ ხართ ბოროტები, როცა მარტონი არ ხართ,

რადგან გატეხილი სახლი ქურდების ბუნაგი არ არის. ის უბრალოდ გატეხილი სახლია.

გემმა საჭის გარეშე შესაძლოა უმიზნოდ იცუროს სახიფათო კუნძულებს შორის, მაგრამ ფსკერისკენ არ წავიდეს, არ ჩაიძიროს...

კეთილნი ხართ, როდესაც ცდილობთ, საკუთარი თავიდან გასცეთ,

მაგრამ ბოროტნი არ ხართ, როდესაც თქვენთვის ეძებთ სარგებელს,

რამეთუ როცა სარგებლის მიღებაზე ფიქრობთ, მხოლოდ ფესვი ხართ, მინაზე განრთხმული მის ძუძუს რომ წოვს.

მართლაც, ნაყოფი ფესვს ვერ ეტყვის: ჩემნაირი იყავი, მწიფე, წვნიანი, მუდმივად გამცემი შენი დოვლათისაგანო.

რადგან ნაყოფისათვის გაღება მოთხოვნილებაა ისევე, როგორც ფესვისათვის – მიღება.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა ბოლომდე ფხიზელნი საუბრობთ,

მაგრამ ბოროტნი არ ხართ, როცა გძინავთ და თქვენი ენა ლაყბობს უაზროდ.

ენაბლუს ლაპარაკსაც კი შესწევს ძალა, სუსტი ენა გაამყაროს.

კეთილნი ხართ, როცა მიზნისკენ მტკიცედ მიაბიჯებთ,

მაგრამ ბოროტნი არ ხართ, როცა მისკენ კოჭლობით მიიწევთ.

ისინიც კი, ვინც ბორძიკობს, უკან არ ბრუნდებიან.

მაგრამ თქვენ, ძლიერო და სწრაფო, კოჭლების წინაშე თავს ნუ მოიკოჭლებთ, აქაოდა ზნეკეთილნი ვართო.

არაერთგზის გამოგიჩენიათ სიკეთე, მაგრამ თუ მას არ იჩენთ, არც მაშინ ხართ ბოროტები.

თქვენ ხომ მხოლოდ ზარმაცობთ.

სამწუხაროა, რომ ირემს არ შეუძლია, კუს სიმკვირცხლე ასწავლოს.

თქვენს სწრაფვაში თქვენივე არსებისაკენ დევს სიკეთე. ის თითოეულ ადამიანშია,

მაგრამ ზოგიერთში ეს სწრაფვა მშფოთვარე, დაუცხრომელი დინებაა, თავის წყლებს ზღვისკენ რომ მიაქანებს მთის ფერდობთა საიდუმლოებასა და ტყის სიმღერასთან ერთად,

ზოგში კი ის პატარა ნაკადულია, კლაკნილებში რომ იკარგება, იხლართება და ილევა იქამდე, ვიდრე ნაპირს მიაღწევდეს.

მაგრამ ის, ვისაც ბევრი სწყურია, არ ეუბნება მას, ვინც მცირედითაც ემაყოფილდება: „რატომ ორჭოფობ და არ ჩქარობო?“

რადგან ნამდვილად კეთილი ადამიანი შიშველს არ ჰკითხავს: „სად არის შენი ტანისამოსი?“ ხოლო უსახლკაროს – „რა მოუვიდა შენს სახლს?“

სილამაზე

პოეტმა თქვა: გვესაუბრე სილამაზეზე.

მან უპასუხა:

სად უნდა ეძებოთ და როგორ უნდა იპოვოთ სილამაზე, თუ ის თავად არ გახდება თქვენი გზა და მეგზური?

როგორ უნდა ილაპარაკოთ მასზე, თუ ის თავად არ იქნება თქვენი საუბრის მქსოველი?

გულნატკენნი და განაწყენებულნი ამბობენ: „სილამაზე ალერსიანია და ნაზი, როგორც ახალგაზრდა დედა, საკუთარი დიდებულებისაგან ოდნავ უხერხულად რომ დააბიჯებს ჩვენ შორის“.

მგზნებარენი ამბობენ: „სილამაზე მრისხანეა და ძლიერი, ქარიშხალივით არყევს და ალელეებს ცასა და დედამიწას“.

დაღლილნი და ღონემიხდილნი ამბობენ: „სილამაზე ნაზ ჩურჩულს ჰგავს. ის ჩვენს სულში საუბრობს. მისი ხმა ჩვენი სიჩუმის წინაშე უკან იხევს, როგორც ჩრდილის შიშით აკანკალებული სუსტი შუქი“.

მოუსვენარნი ამბობენ: „ჩვენ გაგვიგია, როგორ ყვიროდა ის მთებში და მის ყვირილთან ერთად ნალების თქარათქური, ფრთების ტყაპუნი და ლომების ღრიალი ისმოდა“.

ქალაქის მოდარაჯენი ამბობენ: „სილამაზე ალიონთან ერთად ამოდის აღმოსავლეთიდან“.

შუადღისას მშრომელები და გამეღეღები ამბობენ: „ჩვენ მზის ჩასვლისას ფანჯრებიდან გვინახავს, როგორ ეშვებაო ის დედამიწის მიღმა“.

ზამთარში, თოვლში, ნამქერში ჩარჩენილნი ამბობენ: „ის გაზაფხულთან ერთად შემოაბიჯებს მთის ფერდობებზე“.

მომკლები ზაფხულის პაპანაქებაში ამბობენ: „გვინახავს, როგორ ეცეკვება ის შემოდგომის ფოთლებს, გვინახავს თოვლის ფანტელები, გაბნეული მის თმებში“.

ეს ყოველივე თქვენ სილამაზეზე თქვით.

სინამდვილეში მასზე კი არ ლაპარაკობდით, არამედ თქვენს დაუოკებელ მოთხოვნებზე.

სილამაზე მოთხოვნილება არ არის. ის ექსტაზია, აღფრთოვანება, აღტაცება.

ის არც მწყურვალე ბაგეებია და არც ცარიელი გაშვებული ხელი.

ის მხურვალე გულია და მოხიბლული სული.

ის არც სახეა, რომლის დანახვაც გინდათ და არც სიმღერა, რომელსაც მოისმენდით.

ის ხატებაა, რომელსაც ხედავთ თვალდახუჭულნი, და მელოდია, რომელიც ყურებდახშულებსაც გესმით.

ის არც დღეილია დანაოჭებული ქერქის ნაკეცებში და არც ფრთაა კლანჭებთან შეზრდილი.

ის მარადაყვავებული ბალია და მუდმივადმოფარფატე ანგელოსთა დასი.

ორფალესის მცხოვრებნო, სილამაზე ცხოვრებაა, თავისი წმინდა სახიდან საფარველი რომ ჩამოუშორებია,

მაგრამ ცხოვრება თქვენ ხართ და საფარველიც თქვენ ხართ.

სილამაზე მარადისობაა, სარკეში რომ იხედება,

მაგრამ მარადისობაც თქვენ ხართ და სარკეც თქვენ ხართ.

სიკვდილი

შემდეგ ალმიტრამ თქვა: ახლა სიკვდილზე გვსურს, რომ გკითხოთ.
და მან თქვა:

გინდათ, სიკვდილის საიდუმლოებას ჩასწვდეთ, მაგრამ სად ნახავთ მას, თუ არა ცხოვრების გულში?!

ბუს, რომელსაც ღამემ აუკრა თვალები, არ შეუძლია, სინათლის საიდუმლოს ახსნას საბურველი.

თუ მართლა გინდათ, სიკვდილის სული იხილოთ, თქვენი გულის კარი ცხოვრების სხეულს ფართოდ გაუღეთ.

განუყოფელია ცხოვრება და სიკვდილი, როგორც მდინარე და ზღვა.

თქვენი იმდებისა და სურვილების სიღრმეში მიღმურის ჩუმი ცოდნა დევს.

დაროგორც თოვლქვეშ ჩაძინებულ თესლს, თქვენს გულსაც ესიზმრება გაზაფხული.

გჯეროდეთ სიზმრების, რადგან მათში მარადისობის კარიბჭე იმალება.

სიკვდილის შიში მეფის წინაშე წარმდგარი მწყემსის თრთოლას ჰგავს. მეფე მას მალე ხელს დაადებს წყალობის ნიშნად.

განა ამ მწყემსის გულის ფანცქალში არ იფარება სიხარული იმისა, რომ მეფე დანიშნავს?!

და განა ეს თრთოლა არ აწუხებს ყველაზე მეტად?!

რას ნიშნავს გარდაცვალება, თუ არა ქარში შიშვლად დადგომას და მზეზე დადნობას?

და რას ნიშნავს, შეწყვიტო სუნთქვა, თუ არა მშფოთვარე მიქცევა-მოქცევათაგან გათავისუფლდე, რათა ამ სუნთქვამ შეძლოს აფრენა, გაფართოება და ამსუბუქებით ღმერთის მოძებნა?

მხოლოდ მაშინ ამღერდებით მთელი გულით, როდესაც სიჩუმის მდინარიდან შესვამთ.

მხოლოდ მაშინ დაიწყებთ აღმასვლას, როდესაც მწვერვალს მიაღწევთ.

მხოლოდ მაშინ შეასრულებთ თქვენს ნამდვილ ცეკვას, როდესაც დედამიწა გამოითხოვს თქვენს სხეულს.

თარგმანი ინგლისურიდან

ფერმწერის ფილურიდან

1

ჩემს რვეულებში ვხატე ქალები
ხან წყლის,
ხან ზეთის საღებავებით...
ხანაც ნახშირით...
ვნებიან ფუნჯით...
ავამუსიკე ქალი მელოდიიდან აღმოსავლეთის ქარის
და ღამისთევის ღიღინიდანაც ავამუსიკე ქალი...

2

ვხატე სპილენძის,
ვერცხლის ტანები...
რძის.. და ნაღების...
სხვადასხვა ფორმის...
სხვადასხვაგვარი...
დავხატე...
ვიდრე არ დავიკარგე მარმარილოს სამტეხლოებში
აბრეშუმის ჭიის ბოჭკოში...
ყურეების სინოტივეში...
ულრან ტყეებში, დაბურული ტევრების გულში.

3

შენი თვალები
ჩემს პატარა ქსოვილზე ვხატე
და როცა მოვრჩი,
ნინ ევფრატის სანაპირო გადამეშალა.

4

მეჩვენება, რომ სხეულები ორგანს მიაგავს,
ეკლესიაში რომ უკრავენ,
მაგრამ არ გვესმის ჩვენ მათი ხმები.

5

როდესაც შენი სახე ვიხილე, ჩემო ძვირფასო,
ვიგრძენი, თითქოს ვკითხულობ თორას.

6

ლექსი დავხატე
ანარქიული.. ცოტა გულცივი და უხალისო...
დავხატე მკერდი გაბრაზებული...
და მერე ერთიც
სასიამოვნოდ დადუმებული და კმაყოფილი, შემწყნარებლური...
და ამის შემდეგ
მიმზიდველობა მიმოვუფანტე მოლერილ ყელებს..
ბოლოს, როდესაც ჩემი ფუნჯი ადგილზე დავდე,
მაშინლა ვნახე –
საღებავები დაღვრილიყო ქვის იატაკზე.

7

კიდევ დავხატე..
ერთი ვარდი სველი ფურცლებით, სახელად მარი.
შემოეტმასნა იმას ტანზე თეთრი ბურნუსი.
ჩემს ცხოვრებაში პირველად შევხედი
სახლთან ჩამოვლილ ფეხშიშველ მთვარეს.

8

ახლა ზურგს ვხატავ შიშველი ქალის
და ჩემს სუდარებს თოვლი ეცემა.
ამომიღივდა ფრჩხილებიდან თითქოს ხორბალი

ჩემს ფანჯარასთან მტრედი შეჩერდა..
ნაზი ბუმბულით.. წყნარი ღულუნით..
რეკენ ზარები შაბათის დილის
ხალხს სალოცავად მოუწოდებენ
და დღეც იწყება.

9

დაეხატე ფაიფურზე,
სირიულ სადაფზე,
ინდურ პილპილზე,
ბასრულ ფინიკზე,
ქუფური ხელნაწერით ნაწერ ლექსებზე
ვიდრე არ იქცა ჩემი თითები
წყლის და თევზების
წყალმცენარეთა
ტბად.

10

..და როცა ვთხოვე მე ჩემს ქალებს დაქორწინება,
პირი იბრუნეს, არ დამთანხმდნენ.
რა დამრჩენოდა?
დაებრუნდი ისევ მიტოვებულ სახელოსნოში,
რომ იმათ ნაცვლად
კვლავ ტილოებთან გავაგრძელო
ჩემი ცხოვრება.

1994 წელი
თარგმანი არაბულიდან

ინოკენტი ანენსკი

ორი სიყვარული

არსებობს ზოგი სიყვარული, რომ კვამლის დარად,
თუ ახლო არის, გაგაბრუებს, ყელზე გეხვევა,
თუ გზა მიეცი, გაგიქრება ერთი შერხევით
და კვამლის დარად ახალგაზრდა იქნება მარად.

მაგრამ ხანდახან სიყვარული მოგყვება თვისით,
ფეხთან ჩრდილივით დაგინეება ყოველ ცისმარე,
ლამით კი ისე მოგეხვევა, როგორც სიზმარი,
ჩრდილივით თვისით – მუდამ შენთან ლამით თუ დღისით.

სამყაროთა შორის

სივრცე მოხატულა მნათობთა ციალით,
ერთ ვარსკვლავს დავეძებ, ნეტავი მაჩვენა...
არა, მე არა ვარ იმისი ტრფიალი,
უბრალოდ, არ ძალმიძს მე სხვებთან დარჩენა.

და თუკი ფიქრები ეჭვებმა გათელეს,
მე მხოლოდ მისგან მსურს გავიგო სიმართლე.
არა, მე არ მინდა იმისი ნათელი,
მის გვერდით არასდროს მჭირდება სინათლე.

თარგმანი რუსულიდან

ნიკოლაი გუმბილოვი

ბრწყინი

არწივი ფრენდა სულ ზევით, ცისკენ,
ზენა ტახტისკენ, ვარსკვლავთა გზებით,
მეფური იყო წინსწრაფვა მისი
და უელავდა ყავისფრად ფრთები.

იქნებ მისჯილი ჰქონდა ტყვეობა
ოქროს ხუნდებში მინაზე სხვა დროს,
ხმობდა გაზაფხულს – ლალ, ნორჩ დედოფალს
და ფიქრიანი ჭაბუკის სატრფოს.

ანდა სარკმლიდან ჯადოქრის ბინის
მას უღიმოდა ზეცა კრიალა,
სიმაღლემ თვალი აუვსო ჟინით
და გული მზეებზე აუბრდღვიალა.

რას მოგვცემს ამის ცოდნა! თამაშით
მას იტყუებდა სილურჯე სრული,
სამი დღე-ღამე იფრინა ცაში
და სიამისგან დაღია სული.

ის მოკედა! მაგრამ არ დაცემულა,
რადგან ცდომილთა გზებს შეუერთდა,
პირი დააღო ბნელმა უფსკრულმა,
მაგრამ შესუსტდა მიზიდვა ფერთა.

სხივებმა ზეცა განმსჭვალეს ისევ
ღვთიური, ცივი იდუმალებით,
იგი უხრწნელად აპობდა სივრცეს,
ვარსკვლავებს მზერდა მკვდარი თვალებით.

მას შემდეგ დროის საყვირთა ხმაზე
ქალაქებს ნთქავდა რისხვის უფსკრული,
მას კი ვერ შესწვდნენ და დარჩა ასე
მისი სამარე, ცად დაკარგული.

ოცნებები

სად მიტოვებულ, ღარიბულ სახლთან
მოჩანდა ღობის ნარჩენი შავი,
ბერმა ყორანმა დაძონძილ გლახას
აღმაფრენების უთხრა ამბავი.

აღელვებული, ჩვეული გზნებით
კაცს უყვებოდა ბრძენი ფრინველი,
რომ სადღაც კოშკის ძველ ნანგრევებზე
სიზმარი ნახა მან საკვირველი.

ცად მონავარდეს იმ სახლის სევდა
გადაავიწყა ზმანებამ სრულად,
ის ქცეულიყო ნაზ და თეთრ გედად,
უგვანი გლახა კი უფლისწულად.

ღამე დაეშვა უმძიმეს აღმად,
ყრუდ და უღონოდ ტიროდა გლახა
და დედაბერმა, გზად მიმავალმა,
რიდით პირჯვარი გამოისახა.

თარგმანი რუსულიდან

სერგეი ესენინი

მახსოვს

მახსოვს, საყვარელო, მახსოვს
შუქი შენს ანთებულ თმათა.
შენი მიტოვება ჩემთვის
ტკივილს და სიმძიმის ჰგავდა.

მახსოვს შემოდგომის მწუხრი,
ჩურჩული არყისხის რტოთა.
მალე ღამდებოდა, მაგრამ
ცაზე მთვარის შუქი თრთოდა.

მახსოვს, შენ მითხარი მაშინ:
„გავა ეს ცისფერი წლები,
შენ დაგავინწყდები, როცა
სხვა ქალს შეიყვარებ, ვხვდები.“

დღეს აყვავებულმა ცაცხვმა
მითხრა, რასაც ვგრძნობდი მაშინ,
როდესაც ყვავილთა კონებს
გინწავდი დატალღულ თმაში.

გული არ ნელდება, თუმცა
სევდით სხვის სიყვარულს ღამბავს
და მასთან გიხსენებს როგორც
ძველი სიყვარულის ამბავს.

თარგმანი რუსულიდან

ინგერ ჰაგერუპი

სიყვარულიც მოკვდება

გთხოვო, მომკალი, – თქვა ქალმა, რადგან
სიკვდილი მაინც დაგვიმარტოვებს,
სანამ სიცოცხლე სრულად გამცლია,
მას უწინარეს თვითვე დავტოვებ.

თვით სიყვარულიც მოკვდება როსმე
და აღარასდროს გვეწვევა უკან.
ო, ნუ დამიშლი, დავასწრო, მოვეკდე,
ვიდრე ჩვენს ტრფობას გასცლია სუნთქვა.

ბიჭი, რომელმაც მეფის ასული ბოლნისაგან დაიხსნა
(ნორვეგიული ხალხური ზღაპარი)

იყო ერთ დროს მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელსაც ერთი ვაჟი ჰყავდა. ვაჟს ასკელადენი ერქვა. ძალიან პატარა და სუსტი იყო. სულ ბუხართან იჯდა და თბებოდა. როცა ბიჭი გაღზარდა, მშობლებმა უთხრეს, შენი რჩენა აღარ შეგვიძლიაო. უკვე დრო იყო, ვაჟი წასულიყო და სამუშაო ეშოვა. მანაც გადაწყვიტა, მეფის კარზე მისულიყო და იქეთხოვა სამუშაო.

ცოტა რომ იარა, ერთი ძროხა შემოხვდა, რომელმაც ჰკითხა, სად მიდიხარო.

– მეფის კარზე მივდივარ, სამუშაოს სათხოვნელადო, – მიუგო ბიჭმა.

– ამ საღამოს იქამდე ვერ მიხვალ, – უთხრა ძროხამ – მაგრამ გზა განაგრძე, სანამ ხალხს არ შეხვდები. იქნებ ღამით თავშესაფარი მათთან იშოვო.

საღამო ხანს ასკელადენი ერთ დედაბერთან მივიდა, რომელსაც დიდი, გრძელი ცხვირი ჰქონდა. ბიჭმა ჰკითხა, ღამეს თუ გამათევინებო და ისიც დათანხმდა.

დედაბერი ძალიან მოხუცი და დაჩაჩანაკებული იყო, ამიტომ ასკელადენმა ძროხა მოუწველა – ეს ის ძროხა იყო, ტყეში რომ შეხვდა – და რაც შეეძლო, ყველაფერში მიეხმარა. დედაბერს ისე გაუხარდა, რომ დილით, როცა ბიჭმა წასვლა დააპირა, ხმალი მისცა. ეს ხმალი ისეთი იყო, რომ, თუ ეტყოდი: „ხმალო, დაჩეხეო!“, ყველაფერს ჩეხდა.

– წაილე, ვინ იცის, რაში გამოგადგება, – უთხრა დედაბერმა, – თუ ამ გზას გაუყვები, საღამო ხანს ჩემს დასთან მიხვალ და თავშესაფარსაც იქ იშოვი.

ასე რომ, წავიდა ასკელადენი და საღამო ხანს მეორე დედაბერთან მივიდა. ამ დედაბერს იმხელა ცხვირი ჰქონდა, რომ ზედ როგორც ყავარჯენზე, ისე ეყრდნობოდა. ბიჭმა ჰკითხა, ღამეს თუ გამათევინებო და ისიც დათანხმდა.

ეს დედაბერი კიდევ უფრო დაჩაჩანაკებული იყო. ბიჭმა ძროხა მოუწველა და, რაც შეეძლო, ყველაფერში მიეხმარა. დედაბერს ძალიან გაუხარდა და დილით, როცა ვაჟმა წასვლა დააპირა, ფლეიტა მისცა. ეს ფლეიტა მაშინ უნდა დაგეკრა, თუ გზა აგერეოდა.

– წაილე, ვინ იცის, რაში გამოგადგება, – უთხრა დედაბერმა, – თუ ამ გზას გაუყვები, ჩემს დასთან მიხვალ და ამაღამ თავშესაფარსაც იქ იშოვი.

ასე რომ, წავიდა ასკელადენი და საღამო ხანს მესამე დედაბერთან მივიდა. მას ცხვირი ისეთი გრძელი ჰქონდა, რომ იმით ნაცარში იქექებოდა. ბიჭმა ჰკითხა, ღამეს თუ გამათევინებო და ისიც დათანხმდა.

ეს დედაბერი პირველ ორზე უფრო მოხუცი და დაჩაჩანაკებული იყო. ვაჟმა ძროხა მოუწველა და რაც შეეძლო, ყველაფერში მიეხმარა. დედაბერს ისე გაუხარდა, რომ დილით, როცა ბიჭმა წასვლა დააპირა,

ერთი ნაფოტი მისცა, რომელიც, თუ წყალში გადააგდებდი, გემად იქცეოდა.

– ნაილე, ვინ იცის, რაში გამოადგება, – უთხრა მან.

ბიჭმა ნაფოტი ჯიბეში შეინახა და გზა განაგრძო. სალამო ხანს სამეფო კარამდეც მიაღწია. გარეთ, ბაღში, ერთი დიდი ხე იდგა, ბიჭმა მის ძირას დაფლა თავისი ნივთები, მერე კი სასახლის ეზოში შევიდა და სამუშაო ითხოვა. სწორედ მაშინ სამზარეულოში წყლის მიმტანი სჭირდებოდათ და ბიჭსაც ეს დაავალეს.

სამეფო კარზე დიდი გლოვა იყო გამოცხადებული. მეფეს ერთი ასული ჰყავდა და ისიც დიდ მთის ტროლს მოეტაცა. ეს ტროლი შვიდი ზღვის გადაღმა ერთ კუნძულზე ცხოვრობდა. ხელმწიფეს განეცხადებინა, რომ ვინც ქალს დამიბრუნებს, სანაცვლოდ ჩემს ასულს და ნახევარ სამეფოს მივცემო. ბევრი წასულიყო საცდელად, მაგრამ კუნძული ვერავის ეპოვა.

ასკელადენმა ეს რომ გაიგო, მოუნდა, ბედი თვითონაც ეცადა. გავიდა ბაღში და თავისი ნივთები ამოთხარა. მერე ზღვასთან მივიდა და ნაფოტი წყალში გადააგდო. ის მყისვე დიდ, კარგად აღჭურვილ აფრიან გემად იქცა. ასკელადენი გემბანზე ავიდა და ღია ზღვაში შეცურა.

დღე და ღამე შეუსვენებლივ მიცურავდა, მაგრამ კუნძული არსად დაუნახავს.

უკვე აღარც კი იცოდა, საით წასულიყო. მაშინ ამოიღო ფლეიტა და ჩაჰბერა. მცირე ხნის შემდეგ მასთან პანანინა ჩიტი მიფრინდა და მხარზე ჩამოაჯდა.

– რა გაგჭირვებია? – ჰკითხა ჩიტუნამ.

ასკელადინმა უამბო, რასაც ეძებდა. მომყევით, უთხრა ჩიტმა და გემს წინ წარუძღვა. ბიჭი კვლავ დღედაღამ მიცურავდა. ჩიტუნა გზას უჩვენებდა და ბოლოს, როგორც იქნა, ჰორიზონტზე კუნძული ამოტივტივდა. კუნძულზე დიდი შავი მთა იყო. სწორედ იქ აფარებდა თავს ტროლი.

ასკელადენი ხმელეთზე გადავიდა და პირდაპირ მთისკენ გაემართა, მაგრამ მცველმა შეაჩერა და უთხრა, შესელის უფლება არავის

აქვსო. იქ, შიგნით, ქორწილის სამზადისი იყო გამართული, რამდენიმე დღეში მთის ტროლს მეფის ასული უნდა შეერთო ცოლად.

მაგრამ ასკელადენმა მაინც მოისურვა შესვლა.

– თუ შეხვალ, ტროლი აუცილებლად მოგკლავს, – უთხრა მცველმა.

– შემიშვი და ჩემი საქმისა მე ვიცი, – მიუგო ასკელადენმა.

მაშინ მცველმა მთაში შესვლის ნება დართო.

ასკელადენმა ოთახიდან ოთახში დაიწყო სირბილი, ისეთი ხმაური და ყვირილი ატეხა, რომ ბოლოს და ბოლოს მეფის ასულს გააგონა. მას გაუხარდა და შეშფოთდა კიდეც.

– ტროლმა რომ დაგინახოს, მოგკლავს, – უთხრა ვაჟს.

– ჩემი საქმისა მე ვიცი, – მიუგო მან.

ამასობაში ტროლიც მოვიდა. ეს ტროლი უზარმაზარი და საშინელი იყო, თანაც სამი თავი ჰქონდა.

– აქ რას აკეთებ? – ჰკითხა მან.

– მეფის ასული უნდა წავიყვანო, – უპასუხა ბიჭმა.

– ნულარ გაირჯები, რადგანაც ახლავე მოგკლავ, – უთხრა ტროლმა.

მაშინ ამოიღო ვაჟმა ხმალი და უბრძანა, ხმალო, დაჩეხეო. ხმალი წამსვე დატრიალდა და ტროლს სამივე თავი წააცალა. მერე კი მთაში მყოფი ყველა ტროლი ამოხოცა.

ასკელადენმა წამოიყვანა მეფის ასული, თან აურაცხელი ოქრო-ვერცხლიც წამოიღო და სამეფო კარზე დაბრუნდა. იქაურობა დიდმა სიხარულმა მოიცვა. მეფე მაშინვე ქორწილის სამზადისს შეუდგა. ასკელადენმა მეფის ასული შეირთო და ნახევარი სამეფოც მიიღო. ქორწილმა კი მთელ სამ დღეს გასტანა.

რატომ არ არის კმეყნად სამოთხე?
(ნაწყვეტი)

არ ვიცი, რა კაცი დაედგებოდი, ბავშვობაში ასეთი ამხანაგი რომ არ მყოლოდა. ალბათ ხალხზე გაბოროტებული და დაუთმობელი, გულცივი ადამიანი გამოვიდოდი... არ ვიცი, როგორი გავხდებოდი. მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცი – გაცილებით უარესი, ვიდრე ახლა ვარ.

არც სკოლაში მასწავლებლებს, არც სახლში მშობლებს არ მოუხდენიათ ჩემზე ისეთი გავლენა, როგორც მოახდინა ჩემმა პატარა მეგობარმა – პარტყუნა ყურებისა და კვადრატული კბილების პატრონმა, ისეთი კბილებისა, რომ პირის დახურვაც კი არ შეეძლო და ცხვირით კი არ სუნთქავდა, როგორც ეს ნორმალურ ადამიანს შეეფერება, არამედ პირით. პირით სუნთქვა კი, როგორც ცნობილია, ჯანმრთელობისათვის მავნებელია, რადგანაც ადვილად შეიძლება ყელი გააცივდეს. მიუხედავად ამისა, რაც თავი მახსოვს, ის არასოდეს გამხდარა ავად, მე კი ზამთარში ხშირად შეხვეული ყელით დავდიოდი, თუმცა, როგორც წესი და რიგია, ცხვირით ვსუნთქავდი.

– ბუნების ამოუცნობი ამოცანები! – ასე ამბობდა ჩვენს ქუჩაზე ყველაზე ჭკვიანი ადამიანი, ნეიახ მარგოლინი. – სამყაროში კიდევ მრავალი ასეთი გამოცანაა.

ახლა, როცა უკვე დიდი ვარ, მესმის, რომ ჩემს მეგობარს, ბერელე მაცს, ადამიანების გაგებისა და მათთვის შეცდომების მიტევების საოცარი ნიჭი ჰქონდა მიმადლებული.

მან მე საშინელი ცოდვისაგან მიხსნა – საკუთარი მამის სიძულვილისაგან. ამისათვის სიცოცხლის ბოლომდე მისი მადლიერი ვიქნები. მამასთან დაკავშირებით ბავშვობაში არ გამიმართლა. არა, ობოლი არ ვიყავი. მამა მყავდა, მაგრამ, გულწრფელად გამოგიტყდებით, შეიძლება ითქვას, არც მყოლია.

ერთ სახლში ვცხოვრობდით, ერთ მაგიდასთან ვსადილობდით, მას

ვგავდი კიდეც, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. ვერც კი ვგრძნობდი, რომ მამა მყავდა. ის მე ისევე ვერ მამჩნევდა, როგორც ოთახში სკამს, როდესაც დაჯდომა არ უნდოდა, ანდა საფერფლეს მაგიდაზე, როდესაც არ ენეოდა.

ბიჭს კი ძალიან სჭირდება მამა. რამდენიც არ უნდა კოცნოს დედამ, რამდენიც არ უნდა სტენონ დეიდებმა კანფეტები და ნამცხვრები, მას მაინც სჭირდება მამა. სჭირდება მამაკაცი, რომელიც მისთვის მისაბაძი იქნება. სჭირდება ვინმე, ვისითაც იამაყებს, ვისთან სისხლით ერთობითაც ამხანაგებთან თავს მოიწონებს.

ნებისმიერ ბიჭს შეეძლო ეამაყა მამაჩემით. ჩემს ყველა თანატოლს კი არ ჰყავდა ასეთი მამა! ზოგჯერ, თუ ძალიან გამიმართლებდა და მის გვერდით მივაბიჯებდი ხოლმე ჩვენს ქუჩაზე, აღმურმოდებული კანით ბიჭების შურიან მზერას ვგრძნობდი.

მას მთელი ქალაქი იცნობდა და ყოველთვის მსიამოვნებდა, როდესაც ვინმე პატივისცემით იტყოდა ხოლმე ჩემზე: „ეს ხომ ამისა და ამის ვაჟია...“

მამას ჩემდამი ერთი ბენო ყურადღებაც რომ გამოემჟღავნებინა, ჩემი სახით თავგადადებულ მეგობარს შეძენდა. შეკრეჭილ ქეჩოზე მაინც რომ დაედო ჩემთვის ალერსიანად თავისი ხელისგული...

მაგრამ ის მუდამ ჩემ მიღმა იყურებოდა – ჩემი გონებისათვის მიუწვდომელი საქმეებით დაკავებული. ხოლო, როდესაც თვალში მოვხვდებოდი ხოლმე, მაშინვე მოლოდინით ვუწყებდი ყურებას ლეკვივით, რომელიც კუდის ქიცინით მოუთმენლად ელის, როდის გადმოუგდებენ სუფრიდან გემრიელ ლუქმას. ის კი უადგილო ადგილას დაგდებული ნივთივით მივლიდა ხოლმე გვერდს.

არა, ცუდი ადამიანი არ იყო, არც სასტიკი ყოფილა. თანამშრომლებს ის უყვარდათ და თბილ, ყურადღებიან ადამიანად თვლიდნენ. ვერც იმას ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდი. უბრალოდ, სერიოზულად არ მიყურებდა. ეს მრგვალთვალებიანი და თმაგადაპარსული დიდთავიანი ბიჭი ჯერ არ მომნიჭებულისყო საიმისოდ, რომ ადამიანივით მოჰქცეოდა, ადამიანივით, რომელსაც შეუძლია რაიმე განიცადოს და ჩუმად იტიროს სულის ტკივილის გამო.

ერთხელ მან ისეთი დარტყმა მომაცენა, ხარსაც წააქცევდა. მაგრამ გადავრჩი და არც მისი დაუძინებელი მტერი გავმხდარვარ იმიტომ, რომ ჩემ გვერდით აღმოჩნდა ერთგული მეგობარი – ბერელე მაცი.

მამას ჩემთვის არ დაურტყამს. ის საერთოდ არ მცემდა ხოლმე, მაშინაც კი, როცა ამას ვიმსახურებდი. როგორც წესი, დედა მსჯიდა. მამას ამისათვის არ ეცალა. დარტყმა, რომელიც მან მომაცენა, სულ სხვაგვარი იყო. მან დაუმსახურებლად, შეურაცხმყოფელად ჩამაფურთხა სულში. ასეთი შემთხვევის შემდეგ სამყარო კარგავს მშვენიერებას და ადამიანს სიცოცხლის გაგრძელების ყოველგვარი სურვილი უქრება.

იმ წლებში მოდაში იყო გაზაფხულობით ქალაქგარეთ მასობრივი სეირნობებისა და პიკნიკების მოწყობა, რომელშიც ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ეს მშრომელთა დღესასწაული იყო. პირველმაისობას უწოდებდნენ, რადგანაც მაისში ხდებოდა ხოლმე.

ჩვენ, ბავშვებს, განსაკუთრებით გვიყვარდა ეს დღესასწაული – ჩვენს ქალაქს გარს ისეთი ადგილები ერტყა, რომ უკეთესს ვერც ინატრებდი – დიდი, წყნარი მდინარე ქვიშიანი სანაპიროებით – იცურავე, რამდენიც გინდა, მერე კი ოქროსფერ ქვიშაში იგორავე და გაირუჯე მზის ალერსიანი სხივებით. მეტი რა უნდა ადამიანს ბედნიერებისათვის? თუ ესეც არასაკმარისად გეჩვენებათ, მაშინ დამატებითი სიამოვნებები ინებეთ: ორთქლის გემები, უზარმაზარი ბორბლების ხის სარტყლების ტყაპუნით რომ დადიან წყალზე და მის ორივე ქიმზე წყლის წინწკლები და შხეფები ტრიალებს, მრავალფეროვან ცისარტყელებს ქმნის და ძალიან ჰგავს ნისქვილის ბორბლებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნისქვილის ბორბლები თუმცაღა ბრუნავენ, მაინც ადგილზე დგანან, ისევე, როგორც თვით სახურავამდე ფქვილით დაფიფქული ნისქვილი. ორთქლმავლის ბორბლები კი მოძრაობენ, ტრიალებენ და უკან, მთელი მდინარის სიგრძეზე ტოვებენ გრძელი, ჭაღარა უღვაშების მსგავს ქაფიან ტალღას.

ხშირად ამ ტალღაში ვყურყუმელაობდით ხოლმე, ქაფი კი ჩვენს თავებს ზემოთ ზუსტად ისე ჩქეფდა, როგორც ზღვაში, ზღვაში, რომელიც მხოლოდ ფილმებში და აივაზოვსკის ნახატებში თუ გვენახა. აივაზოვსკის სურათების ასლები თითქმის ყველა ებრაულ ოჯახში

ეკიდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ევრაზიის კონტინენტის სიღრმეში ვცხოვრობდით და ზღვისაქენ, რომელ მხარესაც არ უნდა წასულიყავი, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, მატარებლით ერთი დღე-ღამე მაინც უნდა გემგზავრა. ჩვენს მშობლებს ზღვა ენატრებოდათ, ამიტომ აივაზოვსკის ზღვის პეიზაჟებს ყიდულობდნენ და გამოსაჩენ ადგილას კიდებდნენ, რის გამოც, როცა სადილობისას დიდხანს შევცქეროდი ბობოქარ ტალღებს, გულისრევაც კი მენწყებოდა. დედა კი, იმით შეურაცხყოფილი, რომ ვერ დავაფასე მისი მომზადებული სადილის სიკეთე, კინნისკვრით მაძევებდა სუფრიდან.

ჩვენი მდინარე ორივე მხრიდან გარშემორტყმული იყო ჩაბურული ფიჭვნარებით, სადაც მინა ფაფუკი, ხუჭუჭა ხავსითა და გვიმრის უზარმაზარი, დაჭრილი ფოთლებით იყო მოფენილი. ეს ადგილი ბავშვებს იდუმალებით მოცულ ჯუნგლებს გვაგონებდა, მით უმეტეს, რომ ტყეში მუდამ ბინდი იდგა – მზე ვერ აღწევდა ფიჭვების ფაფუკი, ჩახლართული კენწეროებიდან. მხოლოდ ველები იყო განათებული. მზე იქ ისე ელვარებდა, რომ ტყიდან გამოსული შეიძლება დაბრმავებულიყავი. მინა ხავსის ნაცვლად მთლიანად ბალახით იყო დაფარული, ბალახში კი ყვავილები ყვაოდა – წითელი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი – ნამდვილი ხალიჩა იყო! მაგრამ ერთი სცადე და იპოვე გასაყიდად გამოტანილი ასეთი ლამაზი ხალიჩა! ვერანაირ ფასად ვერ იშოვი! უფრო უარესსაც კი ვერსად ნახავ! მაღაზიაში ხომ ხალიჩები არ იყიდება! არც სხვა ლამაზი ნივთებია! დეფიციტია! იმიტომ, რომ ჩვენ, საბჭოთა ხალხი, კომუნიზმს ვაშენებთ და მთელი ძალა ამაზე გვეხარჯება, ხალხისთვის საჭირო საქონლის გამოსაშვებად კი ძალა და საშუალებები აღარ გვყოფნის. ამაზეა ნათქვამი, ორში ერთიო. ან საქონელი უნდა გვქონოდა, ან კომუნიზმი. სტალინმა კომუნიზმი აირჩია და ქვეყანამაც ერთხმად დაუჭირა მხარი. ხოლო ვინც მხარი არ დაუჭირა, მოიშორეს, ლიკვიდაცია უყვეს, როგორც ქვეყნის მტრებს. ამიტომაც არ გვაქვს სახლში არც ხალიჩები და არც ბევრი სხვა რამე, სტალინს კი კრემლში დიდი ხალიჩა უკიდია კედელზე. ვფიქრობ, სპეციალურად დაკიდეს ხალიჩა, უცხოელებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად.

ჰოდა, რას ვამბობდი? პირველმაისობა. სწორია. პირველმაისობა

ტყეში, დიდ ველზე და მდინარის მახლობლად ენყობოდა. რომ ერთი მხრივ, უხვად გვესუნთქა ჟანგბადით, რითაც სავსე იყო ფიჭვნარი, მეორე მხრივ კი, რამდენიც გვინდოდა, იმდენი გვებანავა მდინარეში.

ეს ჩვენი ბავშვობის ყველაზე ფერადოვანი და მოკაზმული დღე-სასწაული იყო. დილიდანვე მიემართებოდნენ ქალაქიდან ტყისკენ საზეიმოდ გამოწყობილი ხალხის კოლონები და გზაში ხმამაღლა მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. მათ კი, ვისაც დროზე ადრე მოესწრო დაღევა და ამიტომ ძალიან ადრე დაღლილიყო და ვარდებოდა კიდეც, ფორანზე სვამდნენ და კოლონების ბოლოში მიჰყავდათ. ერთმანეთს ჩახუტებული მთვრალეები ფორანზე ირწეოდნენ და მზრუნველი ცოლების ხელით პიჯაკებზე სარტყებით მიმაგრებული წითელი ბაფთები მინაზე დასთრევდათ. ისინიც მღეროდნენ, მაგრამ კოლონასთან ხმაშენწყობით არა, რაც დიდ ხმაურსა და განსაკუთრებულ მხიარულებას იწვევდა.

კოლონებს შორის მიდიოდნენ გვერდებმოხსნილი სატვირთო ავტომობილები, რომლებზეც სავარჯიშო ღერძები და ორძელები იყო დამონტაჟებული. ჩვენი ქალაქის ტანმოვარჯიშეები, თოჯინებივით გამოწყობილები, მთელი შემართებით „მზეს“ ატრიალებდნენ ღერძებზე და ორძელებზე თავდაყირა იჭიმებოდნენ. მანქანები კი უსწორმასწორო გზაზე მიდიოდნენ და ღერძები და ორძელები ირწეოდა. უმაღლესი კლასი იყო!

ტყეში ორკესტრები ლამის თავს იკლავდნენ. ყირაზე გადადიოდნენ ჩვენი „ფაბრიკელი“ მასხარები, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ ცირკის პროფესიონალებს. პირდაპირ ბალახზე ერკინებოდნენ ერთმანეთს მოჭიდავეები, მოკრივეები კი ურინგოდ ჩხუბობდნენ, ერთმანეთს მთელს მინდორზე დიდი ხელთათმანების ქნევით დასდევდნენ და მაყურებელს აიძულებდნენ, რომ უკან დაეხიათ და გზიდან ჩამოსცლოდნენ. ზოგჯერ ორთაბრძოლა შორს, ტყეში, მსაჯებისა და მოწმეების დაუსწრებლად მთავრდებოდა, მდელზე კი ჩანთილებულ-ჩალურჯებული ყვრიმალეებითა და გატეხილი ცხვირებით ბრუნდებოდნენ.

მდელის შუაგულში, ბალახზე, ტანმოვარჯიშეები საკუთარი სხეულებით აწყობდნენ ლოზუნგის გიგანტურ სიტყვებს – „გაუმარჯოს სტალინს – საბჭოთა ფიზკულტურელების საუკეთესო მეგობარს!“

შტანგისტები სათამაშოებივით სწევდნენ ორფუთიან თუჯის გირებს და ყოველ ანევაზე ბიცეფსები ამ გირებივით ებერებოდათ. ოცჯერ და ოცდაათჯერაც კი სწევდნენ ხოლმე. ერთხელ კი ოცდაცამეტჯერაც ასწიეს, ეს ჩემი მეგობრის – ბერელე მაცის ძმამ გააკეთა. მე და ბერელე მსაჯს არ ვენდობოდით და ხმამაღლა ვითვლიდით. ასე რომ, შეგვიძლია ფიცით დავამტკიცოთ, რომ ჩვენი ქალაქის რეკორდი უფროს მაცს ეკუთვნის.

სასულე ორკესტრის ბრინჯაოს საკრავები ბრწყინავდა და საბჭოთა მარშს აგუგუნებდა. ებრაელები ბავშვებივით მიისწრაფოდნენ ბაგირებისაკენ ნამგალ-უროიანი წითელი ალმების ფრიალით. იმ დღეს ისინი მგზნებარედ ლხინობდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ ეს ლხინი უკანასკნელი იყო, მალე ხომ ომი დაიწყოდა და ქალაქში გერმანელები შემოვიდნენ. ხოლო, თუ რა მოუტანა ამან ებრაელებს, ყველამ იცის.

მაგრამ მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით და ამიტომ ისეთი ბედნიერები ვიყავით, როგორიც მხოლოდ ინვალიდების ქუჩის ორი ბიჭუნა შეიძლება ყოფილიყო. მე კი ამ პირველმაისობაზე ყველაზე, ყველაზე ბედნიერი ვიყავი და მთელი ბიჭები აშკარა შურით მიმზერდნენ, რადგან იცოდნენ, ვინ ვიყავი. იმიტომ, რომ... იმიტომ...

იმიტომ, რომ ამ დღესასწაულის ყველაზე მთავარი ადამიანი – ჯადოქარი, რომელსაც მთელი ეს კოლონები ემორჩილებოდა და ვის ნიშანზეც ბალახზე ლოზუნგად „გაუმარჯოს სტალინს – საბჭოთა ფიზკულტურელების საუკეთესო მეგობარს!“ განოლილი ტანმოვარჯიშეები ერთბაშად წამოხტებოდნენ ხოლმე და უზარმაზარი ვარსკვლავის მსგავს პირამიდად გადაეწყობოდნენ, შემდეგ კი კვლავ იშლებოდნენ, რათა პროლეტარიატის სიმბოლოდ – ცოცხალ ნამგლად და უროდ გადაქცეულიყვნენ – ჩემი მშობელი მამა იყო.

ის მთლად თეთრებში – თეთრი ტილოს კოსტიუმში, კბილის ფხვნილით განმწმენდილ თეთრი ტილოს ფეხსაცმელებსა და თეთრ ქუდში გამოწყობილი, პრიალა რუპორით ხელში, მარტო იდგა მდელის შუაგულში. ათასობით ადამიანი თვალს არ აშორებდა მამას და მის ამ რუპორით გაძლიერებულ, ომახიან ბრძანებებს ელოდა.

ჩემი მეგობარი, ბერელე მაცი, ჩემთან ერთად იდგა ბაგირთან, რომ-

ლითაც მდელის შუაგული იყო შემოღობილი და ისიც ამაყობდა, მაგრამ მხოლოდ იმით, რომ იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა, რომელზედაც – მამაჩემი. ჩემზე რალა უნდა ვთქვა? მე ხომ მამასთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდი, მისი გვარი მქონდა და ცოტათი ვგავდი კიდეც. მაგრამ ეს ვინ იცოდა? ბერელებ და კიდეც ჩვენი ქუჩის თორმეტიოდე ბიჭმა. ამ ათასობით კაცს კი, აღფრთოვანებული თვალებით რომ ჭამდა მამაჩემს, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ ვინ ვიყავი და უმოწყალოდ მსრესდნენ თავიანთი გახვითქული სხეულებით, ისე მაჭყლეტდნენ ბაგირზე, რომ საცა იყო შუაზე გადავიჭრებოდი. სანახაობას მონყურებულ ბრბოს აზრადაც არ მოსდიოდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო მათი კერპისა ეს არაფრით გამორჩეული, მორცხვი, თავგადაპარსული ბიჭი. არადა ის ხომ მთელი ამ დღესასწაულის განმგებლის, სახელგანთქმული ადამიანის ღვიძლი შვილი იყო, მისი სისხლი და ხორცი.

და მე საშინლად, ისე, რომ მუცელში გამჭვალა და თვალებზე უმიზეზოდ მომანვა ცრემლები, მომინდა, გავმთბარიყავი მამაჩემის დიდების სხივებით, მის გვერდით დავმდგარიყავი და, ათასობით ადამიანის თვალწინ, ხელიც კი ჩამეკიდა მისთვის და ყველა განმეცვიფრებინა იმის აღმოჩენით, თუ ვინ ვიყავი სინამდვილეში. უცებ ბაგირის ქვეშ გავძვერი და სუნთქვაშეკრული გავემართე მწვანე ბალახითა და ყვავილებით დაფარული მდელის შუაგულისაკენ, სადაც ის იდგა, პირთან მიტანილი ვერცხლისფერი რუპორით.

ათასობით თვალის შეცბუნებულსა და გაოცებულ მზერას ვგრძნობდი, თითქოს ამ მაყურებელთაგან შემოზღუდულ, სპორტული გამოსვლებისათვის განკუთვნილ მწვანე მდელაზე მოკლე ფეხების პაკუნითა და სპირალივით დახვეული, აპრეხილი კუდის ქიცინით გაერბინა აქ შემთხვევით მოხვედრილ გოჭს. ამიტომაც, რაც ძალი და ღონე მქონდა, მივექროდი, გამალებით ვიქნევდი იდაყვებს, რომ სანამ მილიციელები გონს მოეგებოდნენ და გამოშეკიდებოდნენ, მამასთან მირბენა მომესწრო, სირბილით გულამოვარდნილი მის გვერდით დავმდგარიყავი და დამენახა, თუ როგორ აეხილებოდა თვალი ბრბოს და როგორ იგრილებდა, როცა ბოლოს და ბოლოს მიხვდებოდა, თუ ვინ ვიყავი მე. და თუკი მამა ბრბოს საზეიმო შეძახილების გაგონებაზე უცაბედად მოლ-

ბეზოდ, და, მამობრივი სიყვარულით შეპყრობილი, თამბაქოსსუნიანი, ძლიერი ხელებით გულში ჩამიკრავდა, მერე კი მხარზე შემისვამდა, ალბათ სიხარულისგან გული გამისკდებოდა და ადგილზევე მოვკვდებოდი.

აი ასეთი სიხარულით მივისწრაფოდი მამასაკენ, ორი მეტრილა მაშორებდა მას და უკვე ხელები მქონდა გაშლილი, რათა მუხლებზე მოვხვეოდი და ჩავხუტებოდი, როცა უეცრად მისი ხმა გავიგონე. თითქოს სახეზე მათრახი გადამიჭირეს. მიყვიროდა:

– აქედან გაეთრიე!

ეს მხოლოდ მე გავიგონე, რადგანაც მამას პირიდან რუპორი მოეცილებინა და ბაგირს მიღმა მდგომ ხალხამდე მისმა სიტყვამ ვერ მიაღწია.

მე წავიბორძიკე, თითქოს ფეხი წამომიდეხო, მაგრამ არ შევჩერებულვარ. სირბილს განვაგრძობდი, ტემპს არ ვანელებდი. უკვე მდლოს მეორე მხარეს ვიყავი, სულ ახლოს მამასთან, როცა რუპორით გაძლიერებული მისი ხმა გავიგონე, რომელიც რაღაცას უცხადებდა მაყურებელს.

მე უკვე სხვა ბაგირებისაკენ მივრბოდი. იქაც მაყურებელთა ჭეჭყვა იყო და ისინი ყოფინასა და დაცინვას მაგებებდნენ, როგორც ხალხში გზაბნეულ გოჭს, რომელიც დასამალი ხერელის საპოვნელად იბრძვის. მე ხალხში მივიმალე და, გახვითქული სხეულების ზედახორიდან გამოღწეული, ტყეში შევეარდი, ფეხები ხავსში მეფლობოდა, ხელებით გვიმრის ფოთლებს ვიშორებდი...

უკნიდან სასულე ორკესტრის მუსიკა მესმოდა და მამაჩემის ხმა ვალსის რიტმში უთვლიდა ტანმოვარჯიშეებს, რომლებიც თავიანთი სხეულებით ახალ პირამიდას აგებდნენ.

– ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი... ხავსმა თავის ფაფუკ საფარში ჩამიხუტა პირქვე დაცემული, გვიმრის ფოთლებმა მთლიანად დამფარეს უცხო თვალისაგან. აქ კი ავტირდი, ძალაგამოცლილი ისეთი გაჯავრებით ვცემდი მუშტებს ხავსს, რომ მის ნესტიან ძირებამდე ვატანდი.

სრულიად მარტო ვიყავი და არც არავინ მჭირდებოდა. მთელი სამყარო მძულდა. ყველაზე მეტად კი მამაჩემი.

მაგრამ არსებობდა ადამიანი, რომელსაც არ სჩვეოდა გასაჭირში მეგობრის მიტოვება. ეს იყო ბერელე მაცი. მან ყველაფერი დაინახა და მიხვდა, როგორ მიმძიმდა. და თუმცა ძალიან უნდოდა ენახა, თუ რა საკვირველ პირამიდას ააგებდნენ ტანმოვარჯიშეები, მით უმეტეს, რომ ადგილი ზედ ბაგირთან ჰქონდა დაკავებული, ჩემ საძებრად გამოვარდა. ჯერ მდელიოზე მდგარ ხალხს შემოურბინა გარშემო და მერე, ტყის სიღრმეში შესულმა, თავისი პარტყუნა ყურები დაცქვიტა და კვალის მაძებარ მონადირესავით გამოარჩია ჩიტების ჟივილ-ხივილში ჩემი მწარე წკმუტუნი და სლუტუნი.

მან გვიმრის ფოთლები მისწი-მოსწია, გვერდით ჩამომიჯდა და ღრმად, ღრმად ამოიოხრა. ეს ყველანაირ სანუგეშო სიტყვას სჯობდა. მაშინვე შევწყვიტე ტირილი და ცრემლებისგან დასიებული სახე მისკენ მივაბრუნე.

– როცა გავიზრდები, – ვუთხარი, თან თვალებში ვუყურებდი, – და ჯარში წამიყვანენ და ყველანაირი იარაღიდან სროლას მასწავლიან, სახლში ტყვიამფრქვევ „მაქსიმს“ მოვიტან, სასადილო მაგიდაზე დავაყენებ და, როგორც კი სასადილო ოთახის ზღურბლთან მოვა, ცეცხლს გაუუხსნი და იქამდე ვესვრი, სანამ ბოლო ვაზნა არ გადმოვარდება.

ვერ გავბედე იმისი სახელის თქმა, ვის დაცხრილვასაც ვაპირებდი, მაგრამ ორივეს უსიტყვოდ გვესმოდა, ვის ვგულისხმობდი.

ბერელე დიდხანს გაუნძრევლად მიყურებდა. მე ველარ გავუძელი მის მზერას და თვალი ავარიდე.

– კი, კი, – სევდიანად თქვა ბერელემ. – მაგრამ მარტო ცხელ გულზე შეიძლება ასეთი რამის თქმა. ახლა კი, ალბათ, შენ თვითონვე გრცხვენია, არა?

– არ გრცხვენია, – არ ვტყდებოდი მე. – ერთი ბენოთიც არ მებრალება. არ ვუყვარვარ და რატომ უნდა მებრალებოდეს?

– უყვარხარ. გინდა დავნაძლევდეთ?

– არ ვუყვარვარ, – დავიჟინე მე. – მე უფრო არ ვიცი?

– დავნაძლევდეთ? კარგი, არ გინდა. მალე თავად დარწმუნდები! მხოლოდ აქ იწექი თვალდახუჭული და არ გაინძრე. თითქოს მოკედი. კარგი? მალე დავბრუნდები. ისე იწექი, გეგონება მკედარი ხარ!

ის უხმაუროდ გაიქცა რბილ ხავსზე, მე კი თვალები მაგრად დავ-
ხუჭე და ხელებიც კი მკედარივით დავიკრიფე გულზე.

მალე მორბენალი კაცისგახშირებული სუნთქვა და ბერელეს ხმა
გავიგონე:

– სადღაც აქ წევს.

ბერელე მამაჩემთან ერთად დაბრუნებულიყო. ჩემმა მეგობარმა
თავზეხელაღებული ნაბიჯი გადადგა მამაჩემისთვის მამობრივი გრძნო-
ბების გასალეიძებლად. მანაც ის გააკეთა, რაც მე. ბაგირქვეშ გაძვრა
და სირბილით გადაჭრა მდელი, სადაც ტანმოვარჯიშეები სწორედ იმ-
წამს ახალ, რთულ პირამიდას აწყობდნენ. როგორც კი მამაჩემთან მიირ-
ბინა, იყვირა:

– თქვენს შვილს უბედურება შეემთხვა. ტყეში გდია და არ სუნთქავს.

მამაჩემმა, რომელიც ვალსის რიტმზე ხმამალა ითვლიდა რუ-
პორში „ერთი, ორი, სამი...“, რუპორი ხელიდან გააგდო და გარუჯული
სახე თავისი კბილის ფხვნილით განმენდილი ტილოს ფეხსაცმელივით
გაუთეთრდა.

– სად არის?

ბერელემ მხოლოდ თავით ანიშნა მამაჩემს, რომ გაჰყოლოდა და
მდელის გავლით გაიქცა, მამა კი დიდი ნახტომებით დაედევნა უკან.

ისინი ვალსის ჰანგების ფონზე გარბოდნენ, რადგან ორკესტრი
დაკვრას განაგრძობდა, ტანმოვარჯიშეებს კი ბრძანების გარეშე პი-
რამიდის დაშლა ვერ გაეუდათ და დაძაბულობისგან აკანკანკალებულ
ხელებსა და ფეხებზე დაყრდნობილები კვლავ ჰაერში იყვნენ გამო-
კიდებულები. ბრძანების გამცემი კი არავინ იყო, რადგანაც ვერ-
ცხლისფერი რუპორი ბალახში ეგდო, თეთრქუდიანი, თეთრკოსტი-
უმიანი, თეთრფეხსაცმლიანი და ასეთივე თეთრსახიანი მამაჩემი
ბერელეს კვალდაკვალ გაუჩინარდა ფიჭვების სქელ ტანებს შორის.

მე გულაღმა ვინეჩი თვალებდახუჭული და გულზე ხელებდაკ-
რეფილი. ჩემი წარმოდგენით სწორედ ასე უნდა წოლილიყო მკედარი.
ხავსი მხოლოდ ერთი შეხედვით იყო რბილი. მასში ფიჭვებიდან ჩამოც-
ვნილი ნახევრად დამპალი ხმელი წიწვები ეყარა, რომლებიც უწყა-
ლოდ მჩხვლეტდა ზურგში. მაგრამ მე შესაშური მოთმინება გამოვი-

ჩინე და არც კი გავნძრეულვარ. კოლომაც კი, გვიმრის ფართო ფოთ-
ლებქვეშ რომ შემომძვრალიყო და გულის გამანვრილებელი ზუზუნით
დამტრიალებდა ცხვირთან, ვერ შეძლო ჩემი გამოცოცხლება. მხოლოდ
ნამოშვერილი ქვედა ტუჩიდან სულის ფრთხილი შებერვით ვცდი-
ლობდი მის მოშორებას.

მალე ნამნამებს შორს ხავსზე დაჩოქილი მამა დავლანდე და გა-
ვიფიქრე, თეთრი შარვალი გაუფუჭდება, ზედ ჭუჭყიანი მწვანე ლაქები
დააჩნდება-მეთქი. მამაჩემს კი სისუფთავე უყვარდა და, რადგანაც
ნესტიან ხავსზე დაჩოქებისას შარვალზე არ უფიქრია, ესე იგი ძალიან
აღელვებული იყო.

და აქ მოხდა სასნაული, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე
ასე ველოდი – მამამ მაკოცა. სიხარულისგან კინალამ ვიყვირე და დიდი
გაჭირვებით შევიკავე ცრემლები, რომელთაც შეტყუებული ნამნამე-
ბიდან გადმოფრქვევასაც აღარაფერი აკლდა. მამა გამშრალი ტუჩე-
ბით შემეხო შუბლზე. ასე ამოწმებენ ხოლმე მზრუნველი მშობლები,
სიცხე ხომ არ აქვს მათ შვილს, ჩვენს ოჯახში კი ასეთი სინაზის ხსენე-
ბაც კი არ იყო. სიცხეს მხოლოდ თერმომეტრით მიზომავდნენ – ილლი-
აში შემჩრიდნენ ხოლმე ცივ შუშას.

მამაჩემის გამშრალი ტუჩების ხანმოკლე შეხება შუბლზე, უმ-
გზნებარეს, უმზრუნველეს კოცნად მივიღე.

– სუნთქავს, – თქვა მამამ. – გული წასვლია. მზეზე გადახურდა.
სახლში უნდა ნავიყვანოთ.

– მართალია, – დაეთანხმა ბერელე მაცი.

მე თვალდახუჭული ვინექი და ვცდილობდი, შეუმჩნევლად მე-
სუნთქა.

მამამ ჩემი უმწეოდ დაშვებული სხეული ასწია. ხელ-ფეხი მათრა-
ხებივით ჩამომეკიდა, დიდი, გადახოტრილი თავი კი უსიცოცხლოდ
ქანაობდა წვრილ კისერზე, – ასე შესანიშნავად შევედი როლში. პა-
ტარა ბავშვივით მივყავდი, კბილის ფხვნილით გაკრიალებული თეთრი
ტილოს ფეხსაცმელები კი მწვანედ შელებოდა, რადგან ყოველი ნაბი-
ჯის გადადგმაზე ფეხი ღრმად ეფლობოდა ხავსში.

მდელოზე, სადაც ვითომც აქ არაფერიაო, ისე უკრავდა სასულე

ორკესტრი. გარს თანამგრძნობთა ცნობისმოყვარე ტალღა შემოგვერტყა და მამას კითხვები დააყარეს:

– რა სჭირს ბავშვს?

მამას მაგივრად ბერელე მაცი პასუხობდა:

– საშიში არაფერია. ბავშვს მზემ დაჰკრა.

– ოჰ, ეს ბავშვები, – დამნუხრდა ხალხი. – მათგან უსიამოვნება უფროა მოსალოდნელი, ვიდრე სიხარული. ასეთ დღეს, როცა ყველა მთელი გულით მხიარულობს და მამამისი ყურადღების ცენტრშია მოქცეული, ის მზის დაკვრას იღებს! ღირს ახლა ბავშვების ყოლა?

ახლა მამა კი არა, მე ვიყავი ყურადღების ცენტრში და მამის იდაყვიდან გადმოკიდებული თავი ბედნიერებისაგან მიბრუნდა.

ბერელე მაცი წინ მიგვიძლოდა და მკაცრი შეძახილებით გვიკაფავდა გზას:

– გზა მოგვეცით! აბა, რას მოგვეშტერებიხართ? ბავშვს მხოლოდ მზემ დაჰკრა!

– მხოლოდ და მხოლოდ? – იმედგაცრუებით ოხრავდა ხალხი და უხალისოდ იხევდა უკან. – არადა ისეთი აურზაური ატყდა, თითქოს მართლა რამე მოხდაო.

ეს ბედნიერების მხოლოდ დასაწყისი იყო. ის თანდათან იზრდებოდა მთიდან დაგორებულ თოვლის გუნდასავით და იმდენად ამავსო, რომ დღემდე არ მესმის, როგორ მოვითმინე ეს ყველაფერი და როგორ არ მოვკვდი სიხარულისგან. ბერელემ თითქმის თანაბრად გაიზიარა ჩემი სიხარული.

სახლში „იუ-ის“ მარკის შავი, გალაქულივით პრიალა მოტოციკლით ნავედით, რომელსაც თვალისმომჭრელად ელვარე მონიკელებული სახელურები და ჩარჩოში ჩასმული წინა ფარი ჰქონდა. მთელ ამ უზარმაზარ საბჭოთა კავშირში, რომლის დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები ათი ათასი კილომეტრით იყო დაშორებული და ერთი საზღვრიდან მეორემდე მისასვლელად ორ კვირას უნდა გემგზავრა ჩქარი მატარებლით, იმ დროისათვის ერთადერთი „იუის“ მარკის მოტოციკლებს უშვებდნენ, მათი რაოდენობა იმდენად შეზღუდული იყო, რომ ჩვენს ქალაქზე მხოლოდ სამი ცალი მოდიოდა. და ამ სამიდან ერთ-ერთი მამა-

ჩემს ეკუთვნოდა. მართალია, მთლად მისი არ იყო, სახელმწიფო ქონებად ითვლებოდა, მაგრამ მამას, როცა მოუწოდებოდა, მაშინ შეეძლო ეტარებინა, დანარჩენ დროს კი მოტოციკლი დიდ, ბელელის ბოქლომით დაკეტილ გარაუში იდგა.

მამა რომ მოტოციკლით გაივლიდა ხოლმე ქალაქში, ბიჭები ყვირილით მისდევდნენ და ნეტარებით ისუნთქავდნენ გამოსაბოლქვე მილიდან გამოტყორცნილ ლურჯ, მყრალ კვამლს. ტროტუარზე მოსეირნე დინჯი ოჯახური წყვილები კი შურიტა და პატივისცემით აღსავსე მზერას აყოლებდნენ მას. მხოლოდ ქალბატონები, ტექნიკისა არაფერი რომ არ გაეგებოდათ, გრძელ, ებრაულ ცხვირებს იჭმუხნიდნენ და მაქმანიათ ცხვირსახოცებით იწივებდნენ არასასიამოვნო სუნს.

სახლში მოტოციკლით წავედი. ამ დროისათვის უკვე ისეთი სახე მივიღე, თითქოს უკეთესად ვიყავი, თვალებიც კი გავახილე, მაგრამ მაინც ვუჩიოდი სისუსტესა და თავბრუსხვევას. მამას ამასობაში სახის სიფითრემ გაუარა და ნამზეურის ფერი დაუბრუნდა. ქუდილა დარჩა თეთრი. შარვალი მუხლებზე ჩამავებოდა, რადგან ჭაობისფერ მწვანე ლაქებს ნაცრისფერი მტვერი დამატებოდა.

მამამ თავის წინ, ბენზინის ავზზე დამსვა და თან საჭე ეჭირა და თან ბიცეფსებით მიკრობდა ფერდზე. უკანა სავარძელი თავისუფალი რჩებოდა და ბერელე მას მოჯადოებულებით შესცქეროდა.

– ისიც წამოვიდეს, – მიკნავებული ხმით ვთქვი მე, მამას ერთი საწინააღმდეგო სიტყვაც კი არ დასცდენია, ბერელესთვის არ დაუძახია, უბრალოდ ხმა არ ამოიღო. როგორც ცნობილია, დუმილი თანხმობის ნიშანია, ბერელემ სხვებზე უკეთესად იცოდა ეს ჭეშმარიტება. განსაკუთრებულ მიპატიუებას არც დალოდებია, მაიმუნივით მარდად შემოახტა სავარძელს და სიარულისას რომ არ გადავარდნილიყო, მამას მხრებზე შემოაჭდო ხელები.

საჭეზე მობრუნებული მრგვალი სარკე იყო მიმაგრებული, რათა მძღოლს დაენახა, თუ რა ხდებოდა უკან და ახლა შემეძლო ამ სარკეში თვალი ჩამეკრა ბერელესათვის და მეხილა მისი ბედნიერი ღიმილით ყურებამდე გახეული, კვადრატული კბილებით გამოვსებული პირი და ჩემი მეგობრის ცალი პარტყუნა ყური, რომელიც ალამივით ბრიალებდა

და თავისუფლად შეეძლო შეეცვალა სასიგნალო წითელი ფანარი.

მოტოციკლს მთელი ძალით მივაქროლებდით. შემხვედრთა სახეებსაც კი ვერ ვარჩევდი, რათა მათი თვალების შურიანი მზერით დავმტკბარიყავი. ყველაფერი ისე სწრაფად ცვლიდა ერთმანეთს, რომ სახეების ნაცვლად თეთრი ლაქები მეტეორებივით მიქროდნენ. მოსახვევში მოტოციკლი ღმუილით იხრებოდა გვერდზე, ჩვენც მასთან ერთად ვიხრებოდით და გვეგონა, სადაცაა გადმოვვარდებითო, მაგრამ მამის მტკიცე ხელები მიცავდნენ გადავარდნისაგან. მეტი სიმყარისათვის მამას ნიკაპით ეჭირა ჩემი გადახოტრილი თხემი, ამიტომ თავს სრულიად უსაფრთხოდ ვგრძნობდი, არა მხოლოდ მოტოციკლზე, არამედ საერთოდ, ცხოვრებაში და პირდაპირ ვდნებოდი ბედნიერებისაგან.

ჩვენს ინვალიდების ქუჩაზე მამა განსაკუთრებული ილეთით შევიდა, ისეთი სასტიკი ვირაჟი ჩაახვია, რომ თითქმის ჰაერში განოლილები მივფრინავდით. ბორბლებქვეშ მინა რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა, მაგრამ ამ კუთხეში წვიმის წყლით სავსე ღრმული იყო. წვიმა მოულოდნელად მოსულიყო, სანამ ჩვენ ქალაქარეთ, პირველმაისობაზე ვიყავით და მამა არანაირად არ მოელოდა, თუ წინ გუბე დახვდებოდა.

მადლობა ღმერთს, გუბე ღრმა იყო და რიყის ქვებზე არ დავენარცხეთ, მაგრამ თავიდან ფეხებამდე ლაფში კი ამოვისვარეთ. სამივენი – მამაც, ბერელეც და მეც. მოტოციკლს ძრავა არ ჩაჰქრობია. ის დაჭრილი მხეცივით ეგდო გადაყირავებული, ბორბლები ტრიალებდა და გამოსაბოლქვი მილიდან კვამლი გამოდიოდა.

როცა სამივენი, ეშმაკებს დამსგავსებულები, წარვდექით დედაჩემის წინაშე, მან მალევე იცნო მამა, მაგრამ ვინ ვიყავი მე ან ბერელე ვინ იყო, ვერაფრით გაარკვია. მაგრამ როცა მიხვდა, მწარედ ამოიოხრა: – ამ ბიჭს მხოლოდ უბედურება მოაქვს, ვინც მაგას გადაეკიდება, წასულია იმის საქმე. ნუთუ არ შეგიძლია, წესიერი ამხანაგი მონახო?

ამას ამბობდა დედაჩემი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრებაში ერკვეოდა.

მართლაც, ბუნებაში კიდევ ბევრი რამაა ამოსახსნელი.

თარგმანი რუსულიდან

არნო პოლცი

ტატილი

გაპატიო? მე? შენ?
რა ხანია გაპატიე.
ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მივხედებოდი.
დაგივინყო? დავინყება?... ეჰ, ნეტავ შემეძლოს!
ხშირად
მზის სხივის შუაგულ ნათებაში,
როცა მიხარია და „არაფერზე ვფიქრობ“,
უეცრად,
იქ,
საშინელება გამოჩნდება!
...გომბეშოსავით საზიზღარი.
და ყველაფერი, ყველაფერი ისევ
უფერული და უნუგეშო.
მთელი ცხოვრება.
მონყენილი ვარ. ვნუხვარ შენზე ... და ჩემზე.

დილის გარდების თაიგული

ოთახში შევედი.
შორს ღია იყო ფანჯრები,
გარეთ მზე ანათებდა.

რა საოცარია,
ვარდები?

მთელი თაიგული!

თეთრი, ყვითელი და სისხლისფერი...

რა სურნელს აფრქვევდა! ეჰ, როგორ გავსებდა!

ჩემს სანერ მაგიდაზე ადრინდელივით მე დავდგი ჭიქა.

დგას და ციმციმებს,

და ყველაფერში, რასაც კი დავწერ, აირეკლება მისი ციალი.

შენ, სიყვარულო, შენ, სიკეთე!

ბასული ცელი

მე გაზაფხულის ხის ტოტებს შორის გიჩვენებ მთვარეს.

ყოველი ყვავილი, ყოველი ფოთოლი,

ამოიხედავს, გაიციალებს.

ყოველი ყვავილი, ყოველი ფოთოლი,

აციმციმდება.

ორივე მკლავით მეხვევი ყელზე, მიფევ იარებს!

თარგმანი გერმანულიდან

ფრანც კაფკა

წერილი მამას

ძვირფასო მამა,

ამას წინათ მკითხე, მაინც რატომ უნდა მეშინოდეს შენი. როგორც ყოველთვის, არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შენი ისევ მეშინია და ამ შიშს საფუძვლად იმდენი წერილმანი უდევს, მეგონა მათ ბოლომდე გააზრებას ვერასოდეს შეეძლებდი. რომ ვცადო და წერილით გიპასუხო ამ კითხვაზე, ეს ხომ დიდი უაზრობა იქნება, რადგან წერის დროსაც კი თქვენს გავლენას ვგრძნობ და შიში მიპყრობს, რაც შემდეგ გონებაში ირევა და თავს მაკარგვინებს...

შენთვის ყველაფერი მარტივი იყო, ყოველ შემთხვევაში ასე მეუბნებოდი მე და, როგორც წესი, სხვებსაც. მთელი ცხოვრება შრომობდი, ყველაფერი – შვილებისთვის. ამ მსხვერპლს უფრო ჩემთვის იღებდი. „ფუფუნებაში“ ვიზრდებოდი, თავისუფლად შემეძლო მესწავლა ის, რაც მინდოდა, არც მადლობას მოითხოვდი, ხედავდი „შვილების მადლიერებას“, თუმცა არაფერი გიგრძნობინებია; ამის მიუხედავად ყოველთვის გაგირბოდი ჩემს ოთახში, წიგნებთან, შეშლილ მეგობრებთან, გიჟურ იდეებთან; სინაგოგაში არ დაგყვებოდი, გულახდილად არასოდეს დაგლაპარაკებოვარ, ფრანცენსბადში არ მომინახულებია, შენს წერილმან საქმეებზე და ოჯახზე არ მიზრუნია, გადმოგაბარე ფაბრიკა და მერე მიგატოვე, ოტლაც გადმოვიბირე, შენს დასახმარებლად თითი არ გამიჩრევია (თეატრის ბილეთიც არასოდეს მომიტანია), მეგობრებისთვის კი ყველაფერს ვაკეთებდი. შენი განაჩენი ასეთია: ვარ არა ამორალური და ბოროტი (გამონაკლისია ჩემი დაქორწინების უკანასკნელი სურვილი), არამედ ცივი, უცხო და უმადური. ბოლოს მისაყვედურე, თითქოს დანაშავეც ვიყო, გზიდან გადავუხვიე, ვითომ ეს შენი ბრალი სულ არაა. ისე გამოვიდა, რომ ჩემზე ზედმეტად კარგი იყავი.

შენი შეხედულება ცხოვრებაზე, ასე თუ ისე, ახლოსაა სიმართლესთან. ვფიქრობ, ჩვენს გაუცხოებაში სრულიად უდანაშაულო იყავი, მაგრამ მეც ხომ ასევე უდანაშაულო ვარ. ეს რომც ამეხსნა, ახალ ცხოვრებას მაინც ველარ დავიწყებდით, ორივეს ძალიან დაგვაგვიანდა, მაგრამ ცოტა რომ დავმშვიდდეთ, არ მოვეშვათ, რომ შეწყდეს შენი გაუთავებელი საყვედურები...

მგონი, გრძნობ, რისი თქმაც მინდა. ამასწინათ მითხარი: „ყოველთვის მიყვარდი, მიუხედავად ამისა, ისე ვერ ვზრუნავდი შენზე, როგორც სხვა მამები, რადგან მათსავით თამაში არ შემიძლია“. იცი, მამა, შენს სიკეთეში არასოდეს დავეჭვებულვარ, თუმცა მაინც ვერ გიგებ. გეტანხმები, ვერ თამაშობ, მაგრამ იმის მტკიცება, რომ სხვა მამები თამაშობენ, ან სისულელეა, რომელზედაც არ უნდა იკამათო, ან – რაც უფრო სწორედ მიმაჩნია – ჩვენი ურთიერთობაა ქაოსი, რაც შენდაუნებურად გამოიწვიე. თუ მეთანხმები, მაშინ ერთნი ვართ.

არ დაგაბრალებ, რომ ასეთი შენ გამხადე. ეს უკვე მეტისმეტია (თუმცა გაზვიადება მიყვარს). შენი გავლენა რომ არა, ადვილი შესაძლებელია, სუსტი, მშიშარა, მერყევი, აფორიაქებული ადამიანი ვყოფილიყავი. არც რობერტ კაფკა და არც კარლ ჰერმანი, სულ სხვანაირი, ვიდრე ვარ, ერთმანეთსაც მშვენიერად გავუგებდით. გამიხარდებოდა მეგობარი, უფროსი, ბიძა, ბაბუა და თუნდაც მკაცრი მამინაცვალი რომ ყოფილიყავი, მაგრამ როგორც მამა – ზედმეტად ძლიერი ჩემთვის. თანაც ძმები ადრე დამეხოცნენ, დები გვიან გაჩნდნენ, პირველი დარტყმა მარტოს უნდა გადამეტანა, ამისთვის კი ძალიან სუსტი აღმოვჩნდი...

მშიშარაც ვიყავი და ისეთიც, როგორიც ყველა ბავშვია. ალბათ, კიდევ შემანუხებელი. რა თქმა უნდა, დედაც მანებიერებდა. ვერ დავიჯერებ, რომ ასე რთულია ბავშვის აღზრდა, ვერ დავიჯერებ, რომ ერთი თბილი სიტყვით, ხელის ჩაკიდებით, კეთილი მზერით იმას ვერ მიიღებდით ჩემგან, რაც გინდოდათ.

მართალია, შენ კეთილშობილი და ძლიერი ხარ, მაგრამ ყველა

ბავშვი არ არის უშიშარი და არა აქვს იმდენი ნებისყოფა, რომ ელოდოს, როდის იქცევა კეთილ ადამიანად. მხოლოდ ისე მექცეოდი, როგორიც თვითონ ხარ: ძლიერი, ხმაურიანი, მრისხანე...

ბავშვობიდან ზუსტად მახსენდება ერთი შემთხვევა. ალბათ შენც გახსოვს. ერთხელ, ღამით, გამუდმებით წყალს ვითხოვდი, წყურვილის გამო კი არა, შეიძლება უფრო იმიტომ, რომ გამებრაზებინე, ანდა ლაპარაკი მინდოდა. როდესაც რამდენიმე მწარე დამუქრებამ შედეგი ვერ გამოიღო, სანოლიდან ამაყუნე, დერეფანში გამიყვანე და რამდენიმე ხანს პერანგისამარა იქ, დაკეტილი კარის წინ, მარტო დამტოვე. ვერ ვიტყვი, რომ ეს უსამართლობა იყო, მაშინ ალბათ მხოლოდ ამ გზით მოიპოვებდით ღამის სიმყუდროვეს. ამის გახსენებით მხოლოდ შენი აღზრდის მეთოდების და ჩემდამი თქვენი დამოკიდებულების ჩვენება მინდა... წლების შემდეგაც კი ვიტანჯებოდი მოგონებებით, რომ ეს ბუმბერაზი კაცი, მამაჩემი, ღამით, თითქმის უმიზეზოდ მოვიდოდა, სანოლიდან ამაყუნებდა და დერეფანში მარტო დამტოვებდა. ასე რომ, მე მისთვის არაფერიც არ ვიყავი.

მაშინ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მაგრამ ჩემში გაბატონებული ის არარაობის გრძნობა (ერთი მხრივ, მაინც კეთილშობილური და შიშისმომგვრელი) შენი გავლენის შედეგია.

სულ ეს იყო ჩემი აღზრდა. მე მგონი, შენ აღმზრდელობითი ნიჭი გაქვს. შენთვის დამახასიათებელი, ჩემთვის არაფრისმთქმელი, აღმზრდელობითი სიტყვები იყო: ლანძღვა, მუქარა, ირონია, ბოროტი სიცილი და, ჩემდა გასაოცრად, თვითდადანაშაულება...

თუ შენგან გაქცევა მინდოდა, ოჯახსაც უნდა გავქცეოდი, დედასაც...

ქორწინება, ოჯახის შექმნა, ღვთისგან ბოძებული ყველა ბავშვის გაჩენა, ამ დაუცველ სამყაროში მათი შენარჩუნება და არა სწორ გზაზე დაყენება, ჩემი ღრმა რწმენით, ადამანს ყველაზე კარგად გამოსდის...

სულაც არ არის აუცილებელი მზის შუაგულში შეჭრა, მაგრამ დედამინის ერთ სუფთა ნაწილამდე ხომ მაინც უნდა მიცოცდე, სადაც მზე ხანდახან გამოანათებს, რომ ცოტათი გათბობა შეძლო...

ვიყავი ამისთვის მზად? არა, ალბათ, უფრო არა...

რაც მე მიპყრობს, ის შენ არც კი გეხება და პირიქით, რაც შენთვის დანაშაული არაა, ჩემთვის შეიძლება იყოს, რასაც შენ ყურადღებას არ აქცევ, ის შესაძლოა, ჩემი საზრუნავი იყოს... აქ იყრება ჩვენი ცხოვრების გზები. ჩვენი მომავალიც ესაა... მინდა გითხრა, რომ ეს დაუმორჩილებლობა შენ მიმართ შენი კი არა, უფრო ჩემი ბრალია. შენი უნდობლობა სხვებისადმი იმდენად დიდი არ არის, როგორც ჩემი, ჩემივე თავის მიმართ. ამ უნდობლობას შენ მიმაჩვიე...

შეიძლება, მოვლენები რეალობაში ისე არ შეესაბამებოდეს ერთმანეთს, როგორც მტკიცებულებები ჩემს წერილში. ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე ერთი ერთზე თამაში, მაგრამ კორექტივებით, რომელიც ამ თამაშში ჩნდება, კორექტივებით, რომლის გამოაშკარავება არც შემიძლია და არც მინდა. ჩემი აზრით, ეს სიმართლე გამოსავალს გვაპოვინებს, ცოტათი მაინც დაგვამშვიდებს და, ალბათ, ცხოვრებას და სიკედილს გაგვიადვილებს.

ფრანცი

დაბრუნება

დავბრუნდი, დერფანი გავიარე და ირგვლივ მიმოვიხედე. ეს მამა-ჩემის ძველი ეზოა. შუაში გუბე, ძველი, გამოუსადეგარი, აქა-იქ მიყრილი ჭურჭელი. იატაკიც ჩანგრეულია. კატა მოაჯირიდან იყურება. დახეული მაუდი, ერთ დროს თამაშში ბაირალად გამოყენებული, ქარში ფრიალებს. ჩამოვედი. ვინ შემომეგებება? ვინ მიცდის სამზარეულოს კარს უკან? საკვამურიდან ბოლი ამოდის. ყავა დულდება ვახშმისთვის. ეს რა საიდუმლოა შენთვის? შენს სახლში ხარ? არ ვიცი. ეს მამაჩემის სახლია. ნივთები ცივად დგას. თითქოს ყველა თავის მოვალეობას ასრულებს, აქედან ნაწილი დამავინყდა, ნაწილს კი არც არასოდეს ვიცნობდი. რაში გამოგადგებით? ვინ ვარ თქვენთვის, თუნდაც მოხუცი ფერმერი მამის შვილი ვიყო. ვერ ვხედავ სამზარეულოს კარზე დაკაკუნებას, მხოლოდ შორიდან მივაყურადე, მაინც ვერაფერს მოვისმენდი და რადგან შორს

ვიყავი, ვერც ვერაფერი გავიგე, მხოლოდ საათის სუსტი ხმა შემომესმა ან მეგონა, რომ მესმოდა, ეს ბავშვობიდან... რა უნდა ხდებოდეს სამზარეულოში ისეთი, რასაც იქ მყოფნი მიმაღავენ. რაც უფრო დიდხანს ყოყმანობ კარებთან, მით უფრო უცხოვდება. რა იქნებოდა, ვინმეს კარი გაეღო და ჩემთვის რაიმე ეკითხა? მე თვითონ ვიქნებოდი ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც საიდუმლოს დაფარვა უნდა.

ფაქტები

ძალიან ადრე იყო, ქუჩები – სუფთა და ცარიელი. ვაგზალზე მივდიოდი... როდესაც ჩემი საათი ქალაქის საათს შევადარე, მიეხვდი, რომ უფრო გვიანი ყოფილა, ვიდრე მეგონა. უნდა მეჩქარა. შიშმა ამ აღმოჩენის გამო გზაში უფრო დამაფრთხო. ქალაქს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი. საბედნიეროდ, იქვე ერთი მცველი იდგა, მივირბინე და სუნთქვაშეკრულმა გზა ვკითხე.

მან გაიღიმა და მითხრა: – ჩემგან გინდა გზის გაგება?

– დიახ. – ეუპასუხე მე, – რადგან თვითონ ვერ ვპოულობ.

– შეეშვი, შეეშვი, – მითხრა და ზურგი იმ ადამიანივით შემაქცია, რომელსაც თავის სიცილთან მარტო დარჩენა უნდა.

„ნუ მიენდობი ბოროტებას, შეგეძლოს მისგან საიდუმლოს დაფარვა“.

„ცოდნის პირველი ნიშანი სიკვდილის სურვილია. ეს ცხოვრება აუტანელია, ის სხვა – მიუწვდომელი. აღარც კი რცხვენიათ რომ სიკვდილი უნდათ. ითხოვენ, ძველი საკნიდან, რომელიც სძულთ, სხვა, ახალში გადაყვანას, რომლის სიძულეულსაც ხელახლა ისწავლიან. შემორჩენილი რწმენაც დაეხმარებათ. გადასვლისას შემთხვევით ბატონი უფროსი დერეფანს გამოივლის, დატყვევებულებს დახედავს და იტყვის: – ამას ველარ დაიჭერთ. ეს ჩემთან მოდის.“

თარგმანი გერმანულიდან

იუსუფ იდრისი

მე ყოფიიარების აბნონის სულტანი ვარ!

არა მგონია, ლომების მწვრთნელ მუჰამედ ალ-ჰულვის ოჯახის გარდა ვინმე ჩემსავით დაემწუხრებინოს მის დალუპვას.

ეს მართლაც ბედისწერა იყო, იმ საღამოს ცირკში რომ შემიყვანა. პრემიერის საღამო იყო და არ ვიცი, რატომ, მაგრამ ლომების ნომრის ნახვის შემდეგ ვინინასწარმეტყველე, რომ უცილობლად რაღაც დიდი უბედურება უნდა მომხდარიყო და რომ ლომების მძლეველი მუჰამედ ალ-ჰულვი რომელიმე თავისი ლომის ხელით (თუ ეშვით) დაიღუპებოდა. მეტიც, ეს სევდიანი აზრი ჩემს თანმხლებთაც გავანდე. მათი ნანი-ლი დამეთანხმა იმ დროს, როცა სხვებს იგი არად ჩაუგდიათ, თითქოს ეს ამბავი დიდად არც ანალელებდათ.

როდესაც ეს ამბავი ვინინასწარმეტყველე, იმ დროს არც მეექვსე გრძნობის კარნახით ვმოქმედებდი, არც სუფი ვიყავ, ვინც მოულოდნელად უზენაესთან ერთობის ტრანსში ჩავარდა და არც ალაჰის რომელიმე რჩეულთაგანი მეგონა თავი.

თვით გაუცხოების შემოტევასაც კი არ წამოუვლია ჩემთვის, ხანდახან დაფარული სითბოსგან საგანთა განძარცვისკენ და მათთვის ოპტიმიზმის შემოცლისკენ რომ გვიბიძგებს.

მართალი რომ გითხრათ, იმ დროს მხოლოდ და მხოლოდ შუქის უეცარი ჩაქრობის გავლენის ქვეშ ვიყავი, რაც საკმაო აღმოჩნდა ჩვენთვის, რომ მოვენწყვითეთ სამყაროს და სამყარო მოენწყვითა ჩვენგან.

იმ დროს, როდესაც შემთხვევით არაფერი ხდება, არამედ შენ, ჩემსავით ჩვეულებრივმა ადამიანმა დარწმუნებით, დაბეჯითებით იცი, რომ ეს მოხდება და მოხდება არა შეცდომის ან დაუდევრობის წყალობით, არამედ იმიტომ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს... ასეთ დროს შეიძლება, შევჩერდეთ ამაზე იმიტომ, რომ ეს საქმე უდავოდ

მნიშვნელოვანი და სერიოზულია და ჩვენი ვალია, ამჯერად ერთად დავეზრუნდეთ მას, იმ შუქის ჩაქრობიდან მოყოლებული, ხელახლა განვიცადოთ ის საზარელი ამბავი, რომელიც იქ დატრიალდა და შესაძლოა, მისი გაცოცხლების შემდეგ, პირველად ამ დიდი ხნის მანძილზე, როგორც მგონია, დავსხდეთ და ვიფიქროთ არა მუჰამედ ალ-ჰულვზე, არამედ ჩვენს თავზე და ვინ იცის, ეგებ მოხდეს სასწაული და კარგიც კი იყოს, რომ მე ვიყავი იქ და რომ მე თვითმხილველი ვარ.

* * *

ნახევარი წარმოდგენა გავიდა. თვალსა და ხელს შუა ისე გაილია, როგორც მზესუმზირა, დროის მოსაკლავად რომ ვაკნატუნებდით რამადანის თვის პირველ საღამოს.

ანტრაქტზე მუშებმა ლომებისთვის სანვრთნელი არენა მოაწყვეს.

მათრახების ტკაცუნში ღრიალით, რომელსაც აძლიერებდა და უფრო საშიშს ხდიდა მიკროფონები, ბრდღინვა-გრგვინვითა და ტყის ხმებით შემოვიდნენ ლომები. გადმოლახეს კულისებში მათი სამყოფელიდან არენამდე აღმართული რკინის გასასვლელი. ის რკინის გალია, მართალია, ჟანგიანი იყო და ძველი, მაგრამ ნამდვილი რკინისა იყო, დამატებითი სიფრთხილის ზომების მიღების მიზნით ცირკის კარვის დედაბოძზე ძველი ტროსით მიბმული.

ლომები შემოვიდნენ. ექვსი ლომი. ზეთისფრად ყვითელი თუ ფერფლისფერ-თიხისფერი, თუ რალაც უსახელო ფერის. ერთმანეთის მსგავსნი. სიმრავლე უკარგავდათ ერთადერთობის დიდებულებას. მოკუნტულ-მობლუნძულობა მეფურ შეგრძნებას ართმევდათ, ან თუნდაც საზოგადოებრივ სექტორში თანამდებობის ქონის გრძნობას.

არ დაუხანებიათ და ყველა ლომმა შემოსვლისთანავე დაიკავა თავისი ადგილი. დამწკრივდნენ ნახევარწრედ უკანა თათებზე დაცუცქულები, თითქოს ნილოსის სასახლის ლომთა ქანდაკებები ყოფილიყვნენ. წინა თათები თითოეული მათგანის წინ გადებულ ხის ღირეზე ჩამოეწყოთ. ყველა ლომი ამ პოზაში იყო, გარდა ბოლოს წინა ლომისა, რომელსაც, როგორც შევიტყვეთ, ჯაბბარი¹ ერქვა და რომელიც თავის

¹ჯაბბარი (არაბ.) – დევგმირი, ძლევამოსილი, მძლეველი.

შემაღლებულ ადგილზე უკანა თათებზე დაცუცქულიყო და არაფრით არ სურდა წინა თათები ძელზე შემოენყო.

ელეგანტური ნამყვანი, უცნაურად ელეგანტური იმ ადგილის-თვის, ხალხისთვის, აპარატურისთვის და მზესუმზირასა და გაზიანი წყლის გამყიდველებისთვის, მწვრთნელის წარდგენას შეუდგა და ნაეარჯიშები, დაყენებული ხმით, რომლის პლასტიკებშიც არანაირი გადაჭარბებულობა არ იგრძნობოდა (და ესეც ძალიან უცნაური იყო), წარმოთქვა: ახლა კი წარმოგიდგენთ ლომების გმირს... მეფეთა მძლეველს... ტყის მეფეთა მჯობნს... ჩემპიონ მუჰამედ ალ-ჰულვს.

ერთადერთი პროექტორის სინათლის ნაკადი გალიის გვერდზე მდგომ, მოელვარე, ლაპლაპა წამოსასხამ წამოსხმულ ზორბა კაცს მისდგომოდა. ეს მართლაც ასე იყო, თუმცა ეს წამოსასხამი სახალხო თეატრის მსახიობთა კოსტიუმების მუზეუმიდან ნათხოვარს ჰგავდა.

ეს სიურპრიზი იყო. ეს კაცი წინა ნომერში უკვე ვნახეთ ჯამბაზთა ჯგუფის მეთაურად, როცა ათზე მეტკაციან ჯგუფს უძღვოდა და მათთან ერთად ასრულებდა სიმაღლეზე ხტომას და დაშვებას და თითქმის შეუძლებელ, წარმოუდგენელ რამეებს. ახლა კი მან გააკეთა ის, რის შესასრულებლადაც ერთი კაცი კმაროდა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი რამ – რკინის მრგვალი გალიის ერთადერთი კარი გამოაღო და შიგ შევიდა ალ-ჰულვი ღვინის სარდაფში შემავალი მეფის დიდებულებით. იმ კაცმა კი მის ზურგს უკან კარი მჭიდროდ მიაჯახუნა.

მუჰამედ ალ-ჰულვმა უმაღ შენიშნა, რომ ჯაბბარს წინა თათები ისე არ ჰქონდა წამოწეული, როგორც უნდა ჰქონოდა. მაშინვე მისკენ გაემურა და შეეცადა, შეცდომა გამოესწორებინა და სრული ნახევარწრე შეეკრა. ნახევარ დუჟინ უკანა თათებზე განოლილ, მორჩილ, თვინიერ, ტყის მეფეთა შორის ის იყო არენის მეფე, ცირკის მეფე და იმ საღამოს მეუფე.

ალ-ჰულვმა გრძელ, ცალ ბოლოში წვერნამახვილებულ რკინის წნელს წამოაღო ხელი, რომელსაც ძალიან პატარა ხორცის ნაჭერი ჰქონდა წამოცმული (შემდეგ შეეიტყვეთ, რომ ეს ხბოს ხორცი არ ყოფილა ფასების სიძვირის გამო, მხოლოდ ვირის ხორცი გახლდათ) და ისე მოიქცია ურჩი ლომის მიმართულებით, თითქოს ის იყო მისი ოქრო-

ცა და მახვილიც, ამით თითქოს უბრძანებდა სწორედ მას, გამოეჭიმა წინა თათები. ამას მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ლომი მეტად შეუპოვრად იწეა და არაფრის გაგონება არ სურდა. ალ-ჰულემა კიდევ სცადა. შედეგი იგივე იყო. ალ-ჰულვი, გარდა მისი ჩემპიონობა-გმირობისა, არენის მწვრთნელი იყო. ამბოხისა თუ მორჩილების საკითხი ამჯერად არ აღელვებდა, მნიშვნელოვანი მისთვის წარმოდგენის წარმატებით ჩატარება იყო, რომ ეს ერთი დაუმორჩილებლობა მაყურებლის თვალისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

ამრიგად, ჯაბბარს სწრაფად მოეშვა და შემადრწუნებელი ყვირილით მაყურებლის ყურადღება და მზერა გადაიტანა ყველა ლომზე – ჯაბბარსა და დანარჩენ ხუთზე, წინა თათები ხის ძელზე რომ გამოეჭიმათ და მუხლი მოეყარათ. მხოლოდ ახლალა შეუდგა მათ წარდგენას ალ-ჰულვი. მარჯვნიდან პირველი სულტანი იყო. ახლა უკვე ყველამ ვიცით, რომ სწორედ ის სწვდა გვერდიდან ალ-ჰულვს და მისი დაღუპვის მიზეზი გახდა. მეამბოხე ლომს ჯაბბარი ერქვა. დანარჩენების სახელებიც ამავე ყაიდაზე იყო ჰიპერბოლიზებული.

ამის შემდეგ ალ-ჰულვის ამოცანა იმ ხის ძელების აწევა იყო, ლომებს წინ რომ ეწყოთ, რათა ისინი შემდეგი ტრიუკისათვის მოემზადებინა.

სწორედ აქ ჩავერთე ყურადღებით.

ის უახლოვდებოდა ლომს, ჩასცქეროდა თვალებში, უბრძანებდა პერსონალურად სწორედ მას, თვალებით გადასცემდა იმ ბრძანებას, რასაც, როგორც ჩანს, ლომი უნდა დამორჩილებოდა, შემდეგ ისე, რომ მზერას არ აცილებდა, ძელს ისროდა საფრთხის ადგილიდან შორს და ასე და ამრიგად...

პირველმა ოთხმა მცდელობამ წარმატებით ჩაიარა. ის იყო ალ-ჰულვი ჯაბბარს მიუახლოვდა, რომელსაც წინა თათები ძელზე არ ეწყო, რომ შეეცრად ლომმა დაიღრიალა და თავი მწვრთნელს მიუახლოვა, რომელიც კიდევ უფრო ახლოს მისვლას აპირებდა. აქ შევნიშნე, მწვრთნელს შიშისგან წამიერმა უკანდახევის სურვილმა გადაურბინა.

ყურადღება კიდევ უფრო მეტად დაეძაბე, ოღონდ არა იმის მოლოდინში, რაც ნომრებს მოჰყვა, არამედ უფრო მნიშვნელოვანის გამო.

*სულტანი – (არაბ.) მმართველი, მბრძანებელი.

იმ მზერის გამო, რომელიც ლომის თვალებიდან წამოვიდა და კიდევ იმ მზერისა, რომელიც მას საპასუხოდ ალ-ჰულვის თვალებმა შეაგება. ვიგრძენი, ნამდვილი, სახიფათო თამაში სწორედ აქ იყო და ეს თამაში შემამოფოთებელ მდგომარეობამდე მისულიყო, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც.

პრემიერის სალამო იყო, ეს მართალია. პრემიერის სირთულეები კი ყველასთვის ცნობილია. რამდენჯერ უწევნევიათ ისინი მათ, ვისაც ნილად ხვდათ, რომ მათი ნამუშევრის შეფასება, – რა ჯაფის, გამომგონებლობისა თუ პირადი მძიმე შრომის ფასადაც არ უნდა დასჯდომოდათ იგი, – პრეზიდენტის ან პარლამენტის კი არა, პუბლიკის ხელში ყოფილიყო. იმ პუბლიკისა, მზესუმზირას რომ აკნანუნებს, „კოლას“ ყლუპ-ყლუპით სვამს და სულ უბრალოდ და მოურიდებლად შეუძლია ზეცად აყვანაც და ხანდახან უდიდესი ფასეულობის საქმეთა გაუფასურებაცა და მთლად დამდაბლებაც.

პრემიერის სალამოა და პუბლიკა მრავლადაა. განათება განათებაა და ცირკი კი ცირკია, მაგრამ ერთ დროს, მისი დაარსების პირველ ხანებში მოკაშკაშე ცირკი ხმაურიანი პუბლიკით, შუქების სიმრავლით მართლაც ისეთი ადგილი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო ცირკი. ადგილი, სადაც შედიხარ, რათა მან დაგატყვევოს, მოგაჯადოვოს, იცხოვრო მთლიანად მისით და სავსებით დაგავინწყდეს, რომ გარეთ არის ცხოვრება, ცოცხალი არსებები და პრობლემები.

ცირკი აქტიორთათვის ბრძოლის არენაც იყო. სწორედ ცირკის მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე იხარჯებოდა მათი გმირობა, საფრთხეში აგდებდნენ თვით თავიანთ სიცოცხლესაც კი და სჯეროდათ, რომ სიკვდილი დიდების მწვერვალზე, მოზღვაებულ შუქებში, მარადიულობისა და უკვდავების დიდებული ეგვიპტური სულის განცდით სრულებით არ იყო საშიში რამ.

ჩვენ ახლა ცირკში ვართ და 72 წლის რამადანის თევა.

მე პირადად შესვლა არ მინდოდა, მაგრამ რაკილა იგი, ყოველ შემთხვევაში, ბევრად უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო, ვიდრე საზაფხულო სპექტაკლები, ყოველი მათგანი სპეციფიკური მყრალი სუნიტ რომ გამოირჩევა, დაე, ისევ ცირკი იყოს!..

მაგრამ რომელი ცირკი...

კაცი ხომ ხანდახან სიბერესა და ხნოვანებას მხოლოდ მაშინ გრძნობ, როცა კლასელს, კურსელს ან შენივე ასაკის რომელიმე მეგობარს ხედები! როცა ცირკში შევედი, ყველაფერი იქ ნანახში არაფერი მომჩვენებია სულელურად, დაბერებულად ან უცნაურად. პრობლემაც ისაა, რომ ყველაფერი ისეთი ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო, თითქოს სახელმწიფო კანცელარიაში შესულიყო კაცი, ან საზოგადოებრივი პარკი გადაეკვეთა...

არ გამჩენია ისეთი განცდა, თითქოს მოულოდნელად ამ ურწყული, უგმირო და უშუქო ქვეყნიდან გადავედი გზნებითა და ცეცხლით სავსე, ამოუცნობ მოვლენათა და საოცრებათა სამყაროში, რომელიც თვალს გჭრის, განგაცვიფრებს და გენევა უცნაურობებისა და გმირობებისკენ.

თითქოს მე მართლაც გადაჭედილი ქუჩიდან პატარა, სკამებით გაჭედულ მოედანზე მოვხვდი, ეს ასეა, მრავალრიცხოვანი მაყურებლით, ესეც სიმართლეა. მაგრამ პროექტორებს რაღაც დამართათ და ძირითადად პუბლიკას ჰფენდნენ შუქს. არენას ანათებდნენ, მაგრამ მაყურებელთა გაშუქებით ამ სახეებს წარმოდგენის ნაწილად აქცევდნენ...

და მერე რომელ სახეებს...

იმავე სახეებს, ერთმანეთს რომ აწვებიან და ავინროვებენ გაოფლილები სამომხმარებლო კოოპერაციების წინ, ავტობუსების გასასვლელებსა და კიბეებზე, ჩხუბს კარგი სეირივით მოცალეობით უყურებენ და სალათა საუზმის სუფრაზე შეუძლიათ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად აქციონ, გამომგონებლობა და ხელოვანება ჩააქსოვონ მის მომზადებაში, მისი შემადგენლობის, მისი სუნელ-სანელებისა და მარინადის შერჩევაში.

სახეები...

მრავალ სახეთა შორის გამოკრთიან ლეიქლ ძმათა – არაბთა სახეები. ტკბები დაზვინულ-დახორავებული ეგვიპტური ლიპების ცქერით. სახელითა ალაჰისა, დაილოცა ღმერთო, შენი სამართალი! მოარგებ თითოეულ ღიპს ფეხს, თავს და სხვა დანარჩენ რამეებს. ქალებში უკვე

დაუნყია გავრცელება გრძელის მოდას. ვგულისხმობ მსუქან, თამთამა სხეულზე გრძელს. ძალიან ცხადად გამოჩნდა მურაბის კვალი, ან არა და ფურაჟის კვალი იქნება, ან აუცილებლად რამე მსგავსის.

სახეები... ასე დაგყავი დიდხანს. პროექტორების შუქი მისდგო-
მოდა უმრავლესობას და მეც ვათვალიერებდი. ვაკვირდებოდი მათ
ნაკეთებზე აღბეჭდილ გამომეტყველებას, ამოდ კი ვირჯებოდი!
ხშირი ოხშივარი, თანდათან რომ იწვედა მაღლა სტომაქებიდან, ბუყ-
ბუყებდა ნაჭამი შიგთავსით და ოფლით, რომელიც თავისთავად მო-
ედინებოდა მკერდებიდან და მუცლებიდან, ლამის უკვე ხვნეშით რომ
შესდგომოდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას და კაი გვა-
რიანად აბოყინებდნენ.

პროექტორის შუქი სახეებს მისდგომოდა, რომლებიც სინათლეს
არ ირეკლავდნენ, რადგან სახეთა ნაწილი ქონით იწოვდა მას, ნაწილიც
დამშეულობით...

მტკრიანი არენაა და თეატრალური დასწრება არ არის, არც შეკ-
რული პუბლიკა. მხოლოდ ოჯახები და ინდივიდები არიან, რომელთაც
არ აკავშირებთ ის საერთო ძაფი, რაც წარმოდგენის ატმოსფეროს
ქმნის ხოლმე და მას მოსაეს. თვით კლოუნიც კი არ კი მასხრობს, რაღაც
მეტისმეტად გამოკვეთილია მისი როლის ის შტრიხები, მის კლოუნო-
ბას რომ ადასტურებს. მუშებს, რომლებიც ნომრებს ამზადებენ, აცვი-
ათ უდავოდ რაღაც განსხვავებული წარმოშობის კოსტიუმები, ალბათ
ზემოეგვიპტური სამოსი – გემის იალქნისა უნდა იყოს ან სამეფო კარის
ჭინჭები. მუშების კოსტიუმების ლურჯი ლურჯია, მაგრამ ამ სილურჯეს
თითოეულ კოსტიუმში სხვა ფერი აქვს. მათი სამოსი ღილებიანია. სულ
მცირე, 2 ლილი მაინც ელავს, არადა ამ კოსტიუმის ბანტალონები ული-
ლო და უქამროა, ან ქამარი შუანელს ამაგრებს მხოლოდ და ბანტალონი
თავისუფლად გაშვებულია, რა ფორმასაც უნდა, იმას მიიღებს და
წინიდანაც სრულიად თავისუფლად იხსნება.

პატარა მაგიდა, რომელზეც შუშებზე დგომის ნომერს წარმოად-
გენენ და რომლის რაიმე გაუმართაობას, შესაძლოა, ნომრის შემსრუ-
ლებლის სიცოცხლე შეეწიროს, საერთოდ არ არის გამოსადეგი ოთხზე
დგომისთვის. მას საბჯენები უნდა ჰქონდეს და იმის ნაცვლად, რომ

სამყაროს სიბრძნეს ჭერეტდე ან წუთისოფლისგან გარიდებაზე ფიქრობდე, შენ სამზარეულოს იმ მაგიდას ხედავ, რომელიც 10 წლისაც არ იქნება. ოთხი მუშა ოთხი მრგვალი დისკით, ოთხი თავისუფლად გაშვებული პანტალონითა და ოთხი პიჯაკით (შემელოტებულნი). შემოდის, რათა ოთხი ფეხი ასწიოს. აბა, ნომერზე საუბარს რალა ფასი აქვს, როცა თავად მაგიდა ასეთ დღეშია და როცა მოთამაშე ქალი, რომელიც ნომრის შემსრულებელს მოჰყვება და ივარაუდება, რომ ეშმაკურად დაეხმარება მას, შემაშფოთებლად მსუქანია, აცვია საბალეტო წინდები, რომელიც მასში გამოკვეხებული სხეულის სიმსუქნისგან, ბარძაყებისა და გავის სიმსხოსგან და სიგრძისგან არაერთ ადგილას გადამსკდარია (ჩანს, ამ ქალის სიმსხოს, ანუ ნოყიერი, მსუყე საკვებისა და მურაბის გამო). ნომერზე აღარ ვილაპარაკებ, თუნდაც რომ ასეთ ქალიშვილს ამგვარი მაგიდიდან ისეთი რაკეტა გაეშვა, მთვარეს რომ მიაღწევდა! ან თუნდაც ამგვარი კოსტიუმებით, მაგიდებითა და წინდებით ისეთი ქირურგიული ოპერაცია ჩატარებულიყო, ჭიას რომ ადამიანად აქცევდა! სასწაული ხომ (ნებისმიერი სასწაული) შენთვის მის დაწყებამდე დამთავრებული იქნება და მასთან ერთად დამთავრდება ცხოვრების ერთი საღამო! არადა ცირკი შეიქმნა გულის დასატყვევებლად, თვალის მოსაჭრელად და ფერადოვნებით, საგმირო საქმეებით, სილამაზითა და სასწაულებით სავსე უცხო სამყაროში შენს გადასაყვანად!

მაგრამ სახიფათო თამაში უკვე დაწყებულიყო – ლომების წვრთნის ნომერი.

* * *

ეს წამი იყო...

მაგრამ ასეთ საღამოს წამიც კმარა, რომ იგრძნო – შენ წამდელიად ლელავ და შენ ცირკში ხარ. მაგრამ თვით ამ წამსაც კი მიფუჭებდა ის დაუინებული კითხვა: საიდან დამეუფლა ისეთი გრძნობა, თითქოს რალაც უნდა მომხდარიყო?

ჩემს მეზობლად მჯდარი ქალისკენ გადავიხარე და წაეჩურჩულე

ორიოდ სიტყვა და აი, მოულოდნელად ისიც გულწრფელი გაოცებით შემომაცქერდა. ის მეორე იყო, ვისაც მსგავსი შეგრძნება ჰქონდა.

ამრიგად, ეს კითხვა ილუზია როდი იყო, არამედ ატმოსფეროში ჩამონვა რალაც. და ეს რალაც არ იყო სხვა სამყაროდან მოვლენილი რამ, არა გარედან შემოღწეული ცირკის დაპირქვევებულ კარავში. ეს რალაც თავად არენიდან მოდიოდა, ოღონდ არენაზე მყოფი კონკრეტული რაიმე საგნიდან კი არა, არამედ სინამდვილეში იმ ყველაფრიდან, რაც კი ცირკის კარავში იყო – ცხოველებიდან, პროჟექტორებიდან, საგნებიდან და ადამიანებიდან, ჩემი მეზობელი ქალიდან, ჩემგან და შენგანაც კი, შენ რომ იქ ყოფილიყავ.

ალ-ჰულეი ისევ მოძრაობდა, წარმოდგენას აცხოველებდა, საგნებს გალიაში ისეთივე მოძრაობით გადაადგილებდა, როგორითაც უკვე დიდი ხანია მიჩვეული იყო, რომ გაეკეთებინა ეს საქმე. არაფერი იყო ახალი მის ქცევაში, არც იმ საღამოში იყო რაიმე ახალი, გარდა პრემიერის საღამოს ჩვეული, ხანმოკლე მღელვარებისა, თვით სახეებიც კი გალიის შიგნით და გარეთ ისევ ისინი იყო, რომელთაც ის ხედავდა ბოლომდე – იქამდე, ვიდრე მათი დანახვა შეეძლო.

მზერა, რომელიც ერთმანეთში გაცვალეს მან და ლომმა, – სულტანი იყო ეს თუ ჯაბბარი, – აი, ეს იყო მხოლოდ სიახლე იმ საღამოს და მის ცხოვრებაში.

კაცი ექვს ლომთან ერთად არის გამომწყვდეული გალიაში. ისიც და მთელი მისი სიცოცხლეც გალიაშია ლომებთან ერთად.

ლომი, უდავოდ, ლომია...

მაგრამ კაცი... კაცი კი კაცია?

კაცი და არა მხოლოდ ალ-ჰულეი, ყოველი კაცი კარავში – აქტიორი იქნება ეს, სცენის მუშა, მუსიკოსი თუ მაყურებელი, არის კი ის კაცი თავად კაცი?

მასა და მის საკუთარ თავს შორის, მასა და მის სანათესაოს, სამეზობლოს, სამეგობროს შორის არავითარი სხვაობა არ არის. მხოლოდ აქ – აქ, სადაც ის პირისპირ რჩება საშინელ საფრთხესთან, რომლის წვრთნა მისი სამუშაოა, აქ გრძნობს კაცი, რომ რალაც მოხდა. ის თითქოს ყოველთვის ამბობდა: მე მე გმირი ვარ, ჩემპიონი! უსიტყვოდ,

უთქმელადაც კი ამბობდა ამას თავისი გამოხედვით, თავისი სიარულით, თავისი სიცილით, მის გარშემო მყოფი მომსახურე პერსონალით, თვით ლომების მეშვეობითაც კი: „მე ვარ გმირი, მე ვარ მძლეთამძლე, მტკიცე, ურყევი, თვითდაჯერებული!“ ნუთუ ის, რაც მას დაეუფლა, წამიერი ეჭვი იყო, პერიოდულად რომ წამოუვლიდა ხოლმე, მაგრამ... თუ გმირი არა, მაშ ვინ იყო იგი?

– ვინ ვარ ახლა მე?

შეცყურებული პურის მჭამელ ხალხს – ეფენდებს, ცხოვრებისგან გამობრძმედილებს, ენერგიულ ახალგაზრდებს, მაგრამ მათ შორის მე ვიყავი გმირი. ისინიც ხედავდნენ, რომ მე ვიყავი გმირი. ისინი ტაშს უკრავდნენ გმირობას, თუნდაც ეს გმირობა განსხეულებულიყო და ხორცი შეესხა მათში კი არა, სხვაში, მაგალითად, სწორედ ჩემს პიროვნებაში.

ახლა კი რალაც მოხდა. ნუთუ ისინი ჩემში გმირს უკვე ველარ ხედავდნენ? თუ უკვე აღარ სურდათ გმირი? რა გმირი, რის გმირი! თუ საქმე ისეა, რომ პირადად მე უკვე აღარ მიღირდა, ცოფილიყავი მათთვის გმირი? ნუთუ ორმხრივ ურწმუნობას ჰქონდა ადგილი?! მე აღარ მნამდა მათი, მათ აღარ სნამდათ ჩემი და ჩვენ ყველას დაგვეკარგა რწმენა თვით ერთმანეთის არსებობისაც კი?! "

გმირი ჰგავდა არაგმირს, მკედარი ცოცხალს და ცოცხალი მკედარს, კახპა ჰგავდა ღირსეულ ქალს და ქურდი პატიოსან კაცს. გუშინდელი დღე ჰგავდა ხვალინდელს და იმედი სასონარკვეთას.

მართალია, რომ გმირი მხოლოდ კი არ იბადება, გმირი იქმნება... და რომ იარსებოს და იცხოვროს, საჭიროა, რომ ის იზრდებოდეს და ვითარდებოდეს გმირობისადმი კრძალვისა და მოწინების, გმირობის გამორჩეულობის, გმირობის საჭიროებისა და მოთხოვნილების საყოველთაო განცდისა და განწყობის ატმოსფეროში.

თანაც გმირობის იდეა მხოლოდ ამგვარ საყოველთაო ატმოსფეროში როდი შეიძლება ყვაოდეს!

გმირობა ფასეულობაა და აუცილებლად ფასეულობათა მდიდარ სპექტრში უნდა ჰქონდეს ადგილი მიჩენილი

გმირობას დიდება ვერ ექნება კეთილშობილების დიდების გარე-

შე, ნიჭიერების დიდების გარეშე, ღირსების დიდების გარეშე, კეთილი, მართალი საქმის დიდების გარეშე.

გმირობა არ არსებობს აგრეთვე იმ საყოველთაო ატმოსფეროს გარეშე, რომელიც გმობს და შეაჩვენებს უგმირობას, ძირიანად აღმოფხვრის მას, ვითარცა მანვე სარეველას და ზედ მიაყოლებს სხვა შხამიან ბალახსაც, როგორიცაა ლაჩრობა, სიმდაბლე, პირმოთნეობა და სიცრუე.

ხოლო როცა წარმატებას აღწევს ყველა – ბეჯითიცა და თაღლითიც, ბრიყვიცა და ნიჭიერიც, როცა განსხვავება აღარ არის მაღალსა და მდაბალს შორის, წარჩინებულსა და მდაბიოს შორის, როცა ცხოვრება ატარებს გამოცდას, რომელშიც არავინ იჭრება, არავინ აღწევს უპირატესობას და არც არავინ ირიცხება, – როცა ეს ხდება, რა რჩება ადამიანისგან?

და როდესაც ამ კითხვაზე პასუხი უკვე აღარავის ანუხებს, ან თუნდაც ამ კითხვის დასმაც კი აღარავის აინტერესებს, არიან ჩვენს ცხოვრებაში ადამიანები, რომელთაც არაფრით არ შეუძლიათ, მოუყრუონ ამ კითხვას. იგი ვალდებულებად აწევს მათ. მისგან ხსნა, მოსვენება არა აქვთ. ეს ხალხი ის ნაწილია ჩვენი, ვინც საფრთხის პირისპირ ცოცხლობს და არსებობს. არსებითად ამ ტიპის საფრთხის პირისპირაც!

მუჰამედ ალ-ჰულეი ამ მტაცებელი ცხოველების პირისპირ იდგა და მათგან მომავალ საფრთხეს აკავებდა ხალხის იმ ნებითა და ძალით, მათში ჩადებული იმ გმირობითა თუ გმირობის პოტენციალით, რომელსაც იგი ფლობდა.

მამ განა მუჰამედ ალ-ჰულეისთვის მნიშვნელოვანი არ იყო იმ წუთებში, როცა ის, გაღიაში გამოკეტილი, მარტოდმარტო აღმოჩნდა საფრთხის წინაშე და ხსნა არსად იყო, სცოდნოდა, რა დარჩენილიყო მასში ან რა დარჩენოდა მას?

რა დარჩა გმირისგან?

საცირკო ნომრებისთვის ხალხის აპლოდისმენტებს ყველა სხვა ტაშისკერისგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. იგი მეტად ღრმა ადამიანურ აზრს ატარებს. აქ შენ ტაშს არაფრით არ დაუკრავ გულის მოსაგებად ან ნაბაძვით, მხოლოდ გულწრფელად დაუკრავ ტაშს. საქმე, რომელიც შენ ტაშს დაგაკერევენებს, ნებისმიერი საქმე როდია! როგორც კი ის მიუახლოვდება იმ ზღვარს, როცა გგონია, შენც შეგიძლია შეასრულო, მაშინვე უფერულდება და კარგავს თავის მნიშვნელობას. ხოლო რამდენადაც შეუძლებლად გეჩვენება შენ მისი შესრულება, იმდენად თვალს გჭრის და უფრო მხურვალედ უკრავ ტაშს.

იმ საღამოს აპლოდისმენტებს ჩემს ყურთასმენაში უცნაური გამოძახილი ჰქონდა. დახელოვნებისა და სიმარჯვის რა სიმალლისთვისაც არ უნდა მიეღნია წარმოდგენის ნომერს ჩვენ თვალწინ, რა მიუწვდომლობა და გმირობაც არ უნდა ყოფილიყო მასში, მის ყველაზე რთულ და მძაფრ მომენტებშიც კი აპლოდისმენტები ყოველთვის ღუნე და უსიცოცხლო იყო, თითქოს ტაშს ის პუბლიკა უკრავდა, ვისაც თავიდანვე გადაეწყვიტა, რომ არ შეეფასებინა არაფერი იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო იგი თავად მისთვის, ან შეუძლებელი – ამიტომაც ყველაფერი, ნებისმიერი რამ, ჩანდა იგი სრულიად მიუწვდომელი თუ თუნდაც სავსებით შესაძლებელი, იყო განურჩევლად სულერთი.

აპლოდისმენტებიც უხერხულობის ტაში იყო, სირცხვილი იყო, თუ არ დაუკრავდი. მოვალეობის მოსახდელი ტაში, რომელსაც იხდი ბილეთის საფასურით, ან როგორც მოსაკრებელს და ალაჰიმც განგსჯის!

თითქოს მოთამაშეთა ტუმბოები მთელი ძალით ბლაოდნენ, თავდაუზოგავად ცდილობდნენ, მისწვდომოდნენ პუბლიკის ღრმად დაფარულ წყლებს და ამოეჭაჩათ ისინი, ამოეტანათ იმ დონემდე, რომელზეც თავად ისინი ასრულებდნენ საქმეთა საგმიროთა, რათა ამის შემდეგ ისინი გადმოღვრილიყვნენ გამხნეებისა და აღფრთოვანების, თანაგრძნობისა და განცვიფრების ჩანჩქერებად, მაგრამ ეს წყლები ტუმბოთა მისაწვდომობის ზღვრიდან სულ უფრო და უფრო შორი ხდებოდნენ.

რა დარჩენილიყო გმირ მუჰამედ ალ-ჰულვიდან?!

ეს ის იყო, ვინც თავისი ცხოვრება ცირკის არენაზე დაიწყო ყმან-ვილმა, თამაშობდა და ხარობდა თავისი თამაშით, მეტიც, შემოსავალიც ჰქონდა. შემდეგ ოცნებობდა სანუკვარ ჩემპიონატებზე, შემდეგ უკვე გმირი იყო, ოცნებებს რომ ხორცს ასხამდა და მაქსიმალური ბედნიერებით ტკებოდა. პუბლიკა ბლაოდა და ღრიალებდა ალგზნებული და ისიც თავს იკლავდა, რომ უფრო და უფრო მეტად ებლავლებინა და ეღრიალებინა ისინი. სიტბო იყო მის გარშემო და მასში. ცხოვრება იყო სიტკბოება, იმედი იყო დიდი და ასეთ დროს თვით ფულიც კი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, სრულებით არ ანალვლებდა.

როდესაც ირჩევ, იყო მხეცების მომთვინიერებელი თუ მაგიდის მოთამაშე ან ავიატორ-გამომცდელი, სწორია, რომ შენ პური უნდა ჭამო ამ გზით, მაგრამ ნუთუ მხოლოდ პურის ჭამაა მიზანი, რისთვისაც შენ აირჩიე რომელიმე მათგანი და თავი შეაფარე მას, როგორც ღორმუცელა აფარებს თავს ყოველგვარ საფრთხეს მოკლებულ რომელიმე სხვა საქმიანობას და როგორც მილიონობით პურის მჭამელი და საარსებო საშუალების მაძიებელი ადამიანი იქცევა?!

შენ, სახელდობრ, ირჩევ ამ საქმეს, რათა უპირველეს ყოვლისა, შენს თავს მიანიჭო სიამოვნება და დაუმტკიცო საკუთარ თავსაც და ხალხსაც შენი შესაძლებლობანი.

და თუკი უკვე სულ აღარაფერს ნიშნავს ხალხისთვის, რომ შენ შენი გმირობა დაამტკიცო, ან თუნდაც თავად შენთვის აღარ არის ეს მნიშვნელოვანი, მაშ რაღა რჩება შენგან?!

პური ს მჭამელი?!

დიახ, პურის მჭამელი იყო ის კაცი, რომელიც ღომის პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილიყო ჩაკეტილ გალიაში.

მთელი კარავი პურის მჭამელი მაყურებლებითაა სავსე, მუშებით, გაზიანი წყლის გამყიდველებით, მაგრამ არსთა გამრიგემ – იმან, ვინც „პურს არსობისას“ არიგებს, ის სხვები აქცია მაყურებლებად!

ყველანი მაყურებლები არიან და ტაშს უკრავენ...

ეს სუსტი ტაშისკვრაა...

ცხოვრებისეული გამოცდა ყველას წარმატებით ჩაუბარებია. ყველაფერზე ხელი დაუბანიათ, ყველაფერი მოყირჭებიან, უკმაყოფილებითაც კი კმაყოფილები არიან და კმაყოფილებითაც კი უკმაყოფილონი. ცხოვრებისეულ მდინარეში შესართავ მათ ღრმა წყლებს ისე უკან დაუხევიათ, რომ შეუძლებელია, მათ მისწვდეთ მღელვარების გულის ფანცქალი, აღფრთოვანების გულის ფეთქვა ან აღშფოთების წამი.

პურის მჭამელი მარტოა კაცის ხორცის მჭამელებთან.

რკინის გალია დაკეტილია და მან თავისი ლუკმაპური მათ ეშვებს უნდა გამოჰგლიჯოს.

* * *

ჩემ ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე.

არანაირი ცვლილება, რომელიც ამ სახეების მღელვარებას იუნწყებოდა!

არავინ იცოდა, თვით მუჰამედ ალ-ჰულემაც არ იცოდა.

ერთადერთი, ვინც მთელ ამ კარავში იცოდა, ეს თავად ლომი იყო! ლომი – ტყის მეფე, რადგან იგია წინათგრძნობის მეუფე!

მისი უდიდესი საშიშროება და საფრთხე ისაა, რომ მას შესწევს ძალა, ყოველთვის იცოდეს და ჭეშმარიტად, მის წინათგრძნობას უფრთხილდი!

თუ იყნოსა, რომ მისი ეშინიათ, იგი თავს ესხმის!

ტყეში ხომ მხოლოდ შემშინებელი და შეშინებულია. ეს არის ერთადერთი ურთიერთობა ტყის ბინადართ შორის და ეს არის სწორედ უზენაესი კანონი! ერთი ცხოველისგან შეშინებული თავის მხრივ, მეორე ცხოველის შემშინებელია, გარდა ლომისა... ყველას მისი ეშინია და ის არ უშინდება არავის! ერთადერთი ცხოველი, რომლისაც ლომს ეშინია, ადამიანია! ან, უფრო ზუსტად, ის ადამიანია, რომელსაც მისთვის ბოძებული გამჭრიახობის, ნებელობისა და იარაღის წყალობით შეუძლია, რომ წინ აღუდგეს ლომს და არამცთუ არ ამჟღავნებს ლომის შიშს, არამედ ნამდვილად და გულწრფელად არ ეშინია მისი.

მეტიც, იქნებ გრძნობს კიდევ, რომ ის ყველაზე ძლიერია!

ლომი რომ მოათვინიერო, აუცილებელია, რომ ჯერ შენი საკუთარი თავი განვრთნა, რათა მიაღწიო იმ ხარისხს, როცა შეგიძლია, ლომს დაუპირისპირდე, ან სულაც ერთს კი არა, რამდენიმეს და არ გეშინოდეს მათი! მხოლოდ ლომი მიხედებოდა, რომ ეს ის კაცი იყო. კაცი, რომელიც მას კარგად იცნობდა და რომელიც მიჩვეული იყო მისგან, რომ ლომი თავისი გამჭოლი, გამჭრიახი ინსტინქტური მზერით ძირისძირობამდე ჩასწვდომოდა მის სიღრმეებს და ლომის ინსტინქტი კი მხოლოდ იმას იუწყებოდა, რომ კაცს არამცთუ არ ეშინოდა მისი, არამედ უბრძანებდა კიდევ მას, დაჰყვირებდა და ყვირილით უკან დაახევინებდა. ნება-სურვილი და საკუთარ თავში რწმენა ბევრად ძლიერი ჰქონდა, ვიდრე მას – ცხოველთა მეფეს და ლომს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ის, რომ ესურვა, მუდამ შინებოდა მისი და მას დამორჩილებოდა.

აქვე, სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ იყო სხვა ადამიანიც კარავში, ვინც იცოდა. და ეს ის ყმანვილი იყო, ვისაც წამით არ შეუწყვეტია გალიის გარშემო ტრიალი და ლომების იმ მზერათა ყურადღებით დაკვირვება, რომლებსაც ისინი ალ-ჰულეს ადევნებდნენ. ეს ყმანვილი, როგორც შემდეგ შევიტყვე, მისი ვაჟი ყოფილა, რომელმაც შეცვალა იგი და მის გზას გაჰყვა. ის მეორე იყო, რომელმაც თავისი უდიდესი ინსტინქტით იცოდა და ხვდებოდა. ის ლომებს კარგად იცნობდა, წვრთნიდა მათ მამამისთან – ლომების პატრონთან ერთად. კარგად იცნობდა საკუთარ მამას და უცილობლად იცოდა ლომთა თვალებიდან მომართული ამ მზერათა არსიც და იმ მზერის მნიშვნელობაც, რომელიც მათ შეეგება მამამისის თვალებიდან. თვით იმ მოძრაობებმაც კი, რაც ამას მოჰყვა, ვერ შეცვალა პოზიცია!

მუჰამედ ალ-ჰულევი ძველი მწვრთნელი იყო, მეტად მარჯვე, უნარიანი, გამოცდილების დიდი მარაგით. აქ საქმე მხოლოდ გამბედაობასა და გმირობაში როდი იყო, არამედ დიდად დახელოვნებულობაში, ცხოვრებისეულ გამოცდილებაში და გამჭრიახობაში. და აი, ის შეუმჩნეველი, მსუბუქი თრთოლვით თავისი გამოცდილების მარაგს მიმართავს საშველის ძიებაში და გამოსავალი, რომელსაც მისი გამოცდილება კარნახობს, ესაა მისი დადგმის, რეჟისურის უნარი. დანარ-

ჩენი ლომები ხომ თამაშობენ, პუბლიკაც ტაშს უკრავს და ყველაფერი ისე მიდის, თითქოს საერთოდ არანაირი საფრთხე იქ არ არსებობდეს! მაგრამ თავად კაცი აღარ არის ის კაცი ის ამჯერად შეშინებულია. ასე იწყო ჩამორეკვა ლომის ინსტინქტურმა ინტუიციამ და ამას ირწმუნებოდა იგი! მართალია, კაცს ხელში წვერწამახული, საშიში შუბი უჭირავს, მაგრამ ის თრთისა მისი თვალებიდან მომავალი მზერა ნათელი, მკვეთრი, გაბედული და მტკიცე აღარ არის. ის ყოყმანობს, მერყეობს, აწონდაწონის, გადასინჯვის პროცესშია, წრიალებს. ეს იგივე მზერა არაფრით არ არის!

ეს იყო პირველი სალამო. სალამო, რომელზეც ჯაბბარი ამას მიხვდა. მაგრამ ის, ვინც მუჰამედ ალ-ჰულვი იმსხვერპლა, სულტანი იყო და მან იგი მეორე სალამოს დაგლიჯა.

ჯაბბარს მუჰამედ ალ-ჰულვი ახალი გაცნობილი ჰყავდა. მათი ურთიერთობა ჯერ ისევ იყო ურთიერთობა – „ვის ვისი ეშინია“. ამიტომაც ის პირველი იყო, ვინც მიხვდა, რომ მეორე მხარე შეშინებული იყო.

სულტანს რაც შეეხება, მისი საქმე სხვაგვარად იყო. სულტანი მთელი ცხოვრება მუჰამედ ალ-ჰულვს იცნობდა, მისი ეშინოდა, მას ემორჩილებოდა და პირველმა სალამომაც ისე ჩაიარა, როგორც სხვა ყველა სალამო ჩაივლიდა ხოლმე. სულტანი იმ ნომრებს ასრულებდა, რის შესრულებასაც მიჩვეული იყო. ალ-ჰულვი უბრძანებდა და ისიც ემორჩილებოდა. მწვრთნელი აჯილდოვებდა ვირის ხორციტ და ისიც ბედნიერი იყო. მხეცს, რომელიც მასში ცხოვრობდა, არაფერი შეუშინებია, ჩვეულებისამებრ თვინიერი, ემორჩილებოდა იმ ახალ, ცივილიზებულ, მოთვინიერებულ ბუნებას, რომელიც მას ჩამოუყალიბდა. მხოლოდ მეორე სალამოს შეიტყო სულტანმა მოულოდნელად და პირველად, მის ღრმად დაფარულ ინსტინქტებში ნელ-ნელა შეიპარა ის გრძნობა, რომელსაც მანამდე არასდროს შეუპყრია. ის კაცი, რომლისაც მას ეშინოდა, ამ სალამოს თავად იყო შეშინებული.

ალ-ჰულვი უახლოვდება მას ნომრის შესასრულებლად. ლომი ბრდღვინავს, ღრიალებს... და კაცს მზერა უცნაურად დაფანტული უხდება, მანამდე რომ არ ჰქონია. ლომს რომ გაკიცხვა სცოდნოდა, გა-

კიცხავდა და არ მოინონებდა იმას, რომ ეს მომხდარიყო. რაც მოხდა, მისთვის დაუჯერებელი რამ იყო. ლომს რომ სცოდნოდა, რა დაეჯერებინა და რა არა!...

სამწუხაროდ, მან მხოლოდ ერთი ენა იცოდა, რომლითაც ურთიერთობდა და მორიგებას აღწევდა სამყაროსთან, მის გარშემო მყოფ ცხოველებთან, საგნებთან და ადამიანებთან და კაცთან, თვით იმ კაცთანაც კი! ენა, რომელიც მხოლოდ ერთ სიტყვას შეიცავდა – სიტყვას, რომელიც მხოლოდ ჩვენს ენაში არ არსებობს. მაგრამ ეს ის სიტყვა იყო, რომელსაც როგორც კი კაცისგან გაიგებდა, გრძნობდა, რომ თავად უფრო პატარა იყო, უფრო უმნიშვნელო და სუსტი, უფრო ჯაბანი და უნდა დაეთმო კაცისთვის, უნდა დამორჩილებოდა. ეს იგივე სიტყვა იყო, რომელსაც, თუკი კაცის თვალეში დაინახავდა, გრძნობდა, რომ თვითონ იყო უძლიერესი, ყველაზე დიდებული, მეფე და უნდა შეეცია კაცისთვის; თავს დასხმოდა.

არა, მას ალ-ჰულეის დაგლეჯა ან მოკვლა არ ნდომია. ალბათ უნდოდა, დარწმუნებულიყო...

იქნებ უნდოდა, პროვოკაციულად გამოენვია კაცი, რათა მის თვალეში იგივე მზერა ამოეკითხა... სიტყვა, რომლის დანახვაზეც მიჩვეული იყო მუხლის მოყრასა და მორჩილებას.

ზუსტად ის უნდოდა, რასაც მწერთელი აკეთებდა, როცა ის პროვოკაციულად იწვევდა ლომს თავისი შუბით, რათა მას ღრიალით მაყურებლები შეეშინებინა, რომ მისი გამირობის მიმართ მოწინება და დაფასება გაზრდილიყო. მას სურდა, გამოენვია მუჰამედ ალ-ჰულეი თავისი თავდასხმით, თავისი ტორებით, თავისი ეშვებით, რათა კიდევ ერთხელ აეთართოლებინა შიშით ამ კაცს, რომლის წინაშეც სიჯაბნეს მიჩვეული იყო.

მაგრამ ის იყო კაცმა აღაგზნო, აუშვა და უბიძგა მას, რომ თვითონ დავარდა, სულ დაეცა უკიდურესად შეძრწუნებული და მთელი კარავი თავად ალ-ჰულეის ძრწოლაზე დიდმა შიშმა მოიცვა.

და ასე უეცრად მიხვდა ლომში ღრმად ჩაბუდებული მხეცი, რომელიც ემორჩილებოდა თავის ბორკილებს, თავის ხვედრს და შიშს, რომ იგი მოტყუებული იყო და სინამდვილეში ის იყო ყველაზე ძლიერი, ყველაზე დიდებული, მბრძანებელი და მეფე.

გაექანა და სწვდა თავისი პატრონის – მწვრთნელის ხორცს, დაგლიჯა იგი, დაამსხვრია თავისი ბორკილები და საკუთარი თავი დაიბრუნა.

ამის შემდეგ გვიკვირს, რატომ შიმშილობდა სულტანი, საჭმელს პირს არ აკარებდა და დარჩენილი დღეები სევდიანმა გალია! ამ სევდის მიზეზი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ მას არაფრით არ სურდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

ჭეშმარიტად, ლომი ის ცხოველია, რომელსაც მუხანათობა ბუნებაში არ უდევს. როგორც ძაღლს, მასაც ერთგულება ინსტინქტად დაჰყვება. მას განზრახვად სრულებით არ ჰქონია, ემუხთლა ან თავისი პატრონი დაეგლიჯა. მისი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ გამუდმებით ყოფილიყო ამ თავის მდგომარეობაში – შინებოდა თავისი მეუფის, პატრონის, მწვრთნელის და ბატონისა. მას მხოლოდ ის სურდა, რომ ეიძულებინა პატრონი, კიდევ ერთხელ ეგრძნობინებინა მისთვის, რომ ის იყო ყველაზე ძლიერი და ძლევამოსილი.

ის დარწმუნებული იყო, რომ მწვრთნელი მის თავდასხმას უფრო ძლიერი შემოტევით აღუდგებოდა წინ. ის თამაშობდა, როგორც მიჩვეული იყო თამაშს. ცელქობდა, რათა სასჯელი მიეღო, როგორც მიჩვეული იყო დასჯას და ბედნიერი ყოფილიყო მორჩილების, თვინიერების და დამცირების მდგომარეობაში დაბრუნებით.

და როდესაც დავარდა კაცი, როდესაც დაეცა უზარმაზარი შიში და მოკრძალება, დაკარგა კვერთხი, სულტანს აღარაფერი დარჩენოდა, გარდა თანაგრძნობისა თავისი პატრონის მიმართ, მისი მოფერების, მისი დახმარებისა და ნუგეშისცემისა. ეს კი, სამუნახაროდ, არ შეეძლო გაეკეთებინა, რადგან ლომი, როგორც ცხოველები, როგორც ტყე მთლიანად, თანაგრძნობას არავის მიმართ არ განიცდის. თანაგრძნობა ყოფიერების კანონთა შორის რომ ყოფილიყო, ცხოვრება აზვირთებოდა და უმწეო, უძლური, საცოდავი ჯიშებით, სახეობებითა და ფორმებით გადაივსებოდა, რომლებიც თუმცა თანაგრძნობისთვის საესებით შესაფერნი, მაგრამ ცხოვრებისთვის გამოუსადეგარნი არიან. ლომი, თუკი მისი შიში არ ექნებათ, თავად იქნება შეშინებული. თუკი შეჭმით არ შეაშინებს, თავად მას შეაშინებენ შეჭმით და თუკი შეშინება შედეგს არ გამოიღებს, მართლა შეჭამს. ეგებ, ეს თანაგრძნობის გამომჟღავ-

ნების მისეული მეთოდია – შეჭამოს ის, ვინც ცოცხლად გადარჩენის-
თვის არ მიმართავს ერთადერთ გზას – სხვების თანაგრძნობისა და
სიბრალულის განცდას!..

* * *

მუჰამედ ალ-ჰულეი საავადმყოფოში გააქანეს, რათა მომ-
კვდარიყო აქიმობა-მკურნალობაში... სულტანს კი ზოოპარკში უკრეს
თავი, რათა სული დაეღია დარდითა და ნალევლით.

ო, რა მტკივნეული იყო ჩემთვის, რაც ალ-ჰულეს შეემთხვა და
როგორ დაამწუხრა ამან ის კეთილი ხალხი, ვინც შეესწრო ამ ტრაგიკულ
შემთხვევას და ვისაც არ უნახავს იგი... მაგრამ ყველა ჩვენგანი დაკავე-
ბული იყო ამ შეკითხვაზე პასუხით: რატომ შეემთხვა ალ-ჰულეს ის,
რაც შეემთხვა? რატომ დაგლიჯა გარეულმა ცხოველმა თავისი მეგო-
ბარი – ის, ვინც ათვინიერებდა, აჭმევდა და წვრთნიდა მას?

იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი პურისმჭამელებად რომ ვქცეულიყავით,
ჩვენი ხვედრი იქნებოდა ის, რომ ხორცის მჭამელები დაგვფლეთდნენ.
ადამიანმა დაამტკიცა, რომ ის კაცის ხორცის მჭამელებზე მაღლა დგას.

რადგანაც საქმე ასეა, ამ პრობლემაზე ფიქრი თქვენთვის მომინ-
დვია, მე კი სულტანთან ვრჩები მის მართოსულ ტყვეობაში. მკელელ-
თან, დამნაშავესთან, უარყოფილთან, ყველასგან შერისხულთან და
გაკიცხულთან. ვრჩები მასთან, რათა თავს ჩავეკითხო, როგორც
აუცილებლად იკითხავდა ნებისმიერი გონიერი ჩვენგანი, ცხოველი
რომ ყოფილიყო ან ცხოველი, მას გონი რომ ჰქონოდა:

– მაინც რა დანაშაული მიმიძღვის, ბატონებო? მე დავგლიჯე კაცი
და დაველუპე იგი... რა ბრალი მიმიძღვის მაშინ, როცა მე ჩემს როლს
ვასრულებდი, როგორც მხეცი, რომელიც მოვალეა, რომ უკბინოს, თუკი
მისი მწვრთნელი შიშმა შეიპყრო და ითამაშოს, თუკი თავად აქვს
მწვრთნელის შიში. თუ გინდოდათ, რომ ხუმრობით ვცემოდი ისე, რო-
გორც ყველაფერი იქცა ხუმრობად?!

ვწუხვარ, ბატონებო, ძლიერ ვწუხვარ იმის გამო, რაც ან გარ-
დაცვლილ ჩემს ბატონს შეემთხვა, ვეთაყვანები და ძლიერ აღტაცე-

ბული ვარ მისი ვაჟით, რომელიც ახლა ლომებს ხედნის და შიშის ქვეშ ამყოფებს მათ. ვწუხვარ, ბატონებო, მაგრამ ტყის კანონი მარტო მისი კანონი როდია, ის ცხოვრებისა და ცოცხალ არსებათა კანონია, ის კანონი, რომელიც თვით ყველა ზეციურმა რელიგიამაც კი ვერ გააუქმა... ან გეშინია და მუხლს იყრი, ან აშინებ და კლავ, გალიაში იქნება ეს თუ გალიის გარეთ... მოგკლავენ, თუ სისუსტეს გამოიჩენ ან შეშინდები, ანდა შენ მოკლავ და შენ ხარ პასუხისმგებელი შენს არჩევანზე.

ვწუხვარ, ბატონებო! ეს თქვენ ხართ მხოლოდ, აბუჩად რომ იგდებთ და დასცინით ამ კანონს და მაშინ, როცა სამყარო ქეშმარიტებად და კანონად აღიარებს, თქვენ კომედიად და მასხრობად მიიჩნევთ მას.

ბრალი სულტანს როდი მიუძღვის!

ჩემი ბრალი არ არის. არც ჩემი პატრონის, მუჰამედ ალ-ჰულეის ბრალია. ჩემი პატრონისა, რომელსაც ვემორჩილებოდი, როგორც გმირს და როდესაც თქვენსავით ერთი ჩვეულებრივი მოკედავი პურის მჭამელი გახდა, თავს დავესხი მას...

მე ლომთა სულტანი როდი ვარ, მე ვარ ტყის კანონის სულტანი – ცივილიზაციის, ადამიანის და მთელი ყოფიერების კანონისა!

თარგმანი არაბულიდან

რევაზ ინანიშვილი

ბიბო

ბიბო – маленький мальчик. Маленький, иначе не скажешь, еще и пяти лет нет! На нем длинная ночная рубашка, так он спит. Откинёт одеяло и разляжется привольно, как семенной огурец. Очень он обижается, если кто-то говорит «Ты маленький». Маленький не я, а наш Робизон. А Робизон кто такой? Двоюродный брат Бибო. Он всего на каких-то девять-десять месяцев младше Бибო, но Бибо ведет себя с ним так, как подобает настоящему взрослому. Наставляет: поступай так-то и так-то. Даже покровительствует – из страха перед Бибო ни один из ребят не посмеет обидеть Робизона. А если все-таки посмеет? Тогда Бибო разок хорошо вздохнет, надует щеки и, как бакбакдев*, гневно сверкнет глазами. Ну а кто захочет связываться с мальчиком, у которого глаза сверкают, как у бакбакдева!

Бибო совсем не похож на некоторых непутевых, которые не дают покоя мамам и бабушкам. Как время обедать – так силой нужно впихивать в этих непутевых, как время спать... Ложатся и начинают канючить: расскажите сказку, а то я спать не буду.

Бибო как взрослый садится к столу, сам повязывает на шею салфетку, в правую руку берет большую ложку, в левую – большой кусок хлеба и чинно, неторопясь приступает к еде. Очистив тарелку, просит чай, чай тоже пьет спокойно, со вкусом, потом вытирает губы, – Дай вам Бог здоровья! – говорит он, как настоящий мужчина, и встает.

Ночь. Мама сидит за швейной машинкой, бабушка простегивает одеяло – от одного угла до другого блестящей иглой проводит ровные, как рельсы, линии.

– Не помочь ли вам? – спросит Бибо.

– Главное, расти и не болеть, – отвечают мама с бабушкой, – а сейчас ложись и спи.

* Бакбакдев – герой грузинских сказок, самый большой и страшный великан.

Бибо проводит рукой по своему большому, круглому животу и надувает щеки, — он не любит, когда мама и бабушка разговаривают с ним, как с маленьким. Ненадолго подсаживается к кошке Базуре. Базура, которая до сих пор беспечно лежала за печкой, при приближении Бибо встает и медленно перебирается в другой угол.

— Умный мальчик этот наш Бибо — говорит про себя Базура, — но кто его знает, все-таки это мальчик, и нельзя ручаться, что однажды он не отрежет мне хвост под самый корень своим топориком. Поэтому, — говорит Базура — все-таки лучше держаться подальше.

Она забирается под тахту, сворачивается аккуратным клубочком, подкладывает лапы под голову и продолжает спать и мурлыкать.

А Бибо зевает. Это значит, что ему тоже хочется спать. Но он не ляжет, пока еще раз не выйдет наружу и не взглянет на дорогу: «Ну-ка, не едет ли отец». Его отец, Шакро, шофер. Он водит огромный ЗИЛ и иногда на целые недели уезжает далеко, в Кизляр. Он и сейчас в Кизляре, а Бибо ждет его и глядит на дорогу. Выходит на балкон и встает подбоченившись. Внизу — заросший лесом берег потемневшей Иори*, за ним — гора Цалмнани, по склону которой вьется шоссе, и как светлячки, ползут машины.

— Вот бы на этой, вот на этой машине был отец! — говорит Бибо то про одну, то про другую, — но машины не поворачивают к лесу. Они едут дальше, к Гомбори, и Бибо расстраивается.

— Э-ге-ге! — посылает им вслед молодецкий возглас Бибо, — э-ге-ге!

Но ответ он получает не оттуда, кто-то отзывается из соседнего дома:

— Э-ге-ге, Бибо!

Это Робизон, маленький Робизон. Он тоже вышел на балкон, и как будто давно не видел Бибо, поднял руки и радостно кричит:

— Бибооо! Бибооо!

Бибо не любит, когда кто-то посторонний вмешивается в его мечтания, но Робизон маленький, глупый еще, поэтому Бибо, как старик, по-доброму ворчит:

— Ты знаешь который час, парень, ложись сейчас же!

* Иори — река в Казахии.

И не дожидаясь, пока уйдет Робизон, сам уходит с балкона, неторопясь раздевается, аккуратно складывает свои вещи, ложится и засыпает.

До рассвета еще далеко, когда он первый раз просыпается. Мама и бабушка спят. Он знает, что их не надо беспокоить, лежит замерев, моргает большими глазами и ждет, не проснуться ли они сами, но сами они не просыпаются. Да сколько же можно, человек же есть хочет!

– Бабушка! – зовет он тихо.

– Что, милый! – тут же откликается бабушка.

– Принеси хлеба с маслом, а? Немножко!

Бабушка приносит хороший кусок хлеба с маслом. Бибо уплетает и думает.. Ох, о чем он только не думает. Сколько на свете всего, о чем надо подумать! Папа еще не вернулся из Кизляра. А дорога такая длинная, тут – черные скалы, там – обрыв и пенящийся Терек, – ох уж этот пенящийся Терск! А в воздухе еще и туман висит. К тому же, на дороге тысяча пьяных шоферов, тысяча обвалов, тысяча напастей... А папа – горячая голова, все спешит, и куда только спешит! Разве не лучше все видно, когда едешь медленно?! Говорит, мол на будущий год возьму тебя с собой. Ох, что это будет! Вот бы знать, чья собака победит, датикина или наша? Хорошо было бы разок испробовать мой топорик на айве, айва, говорят, крепкая... Жует, жует Бибо, думает, думает и так засыпает.

Когда он снова просыпается, уже все встали. Мама ушла в колхоз. Бабушка гремит чем-то в марани^{*}. Громадное солнце остановилось между столбами балкона и ждет Бибо. Бибо тоже выходит – босиком, протирая глаза. Теперь громадное солнце там, а Бибо – здесь. Некоторое время они, как упрямые козлы, рассматривают друг друга. Потом Бибо поворачивается к солнцу боком, – тебя-то мне еще не хватало, – и одевается с трудом, пыхтя, но с геройским упрямством. Ботинки тоже натягивает и медленно спускается по лестнице.

А Солнце все же не отстает. Следует за Бибо и весело смеется. А что ему не смеяться! Поднимается, поднимается, а потом закатывается беззаботно за цалмианскую гору. А Бибо столько дел надо уладить: нужно слазить в курятник

^{*} Марани – острый перец.

и посмотреть, отложила ли яйца курица с чубчиком. Нужно сравнить собаку с датиковой. И ведь надо же испробовать на айве топорик?! Вчера на строительство школы привезли кран, как не посмотреть как этот кран работает? И еще... Как туман, обволакивает сердце эта мысль: папа все еще не вернулся из Кизляра, эх, папа все еще не вернулся из Кизляра.

– Здорово, Бибо! – приветствуют соседи.

– И вы здравствуйте!

– Как ты, Бибо?

– Есть у меня одна забота.

– Что за забота такая?

– Отец мой в Кизляр уехал.

– Приедет, парень, об этом не горюй.

– Не знаю я, все-таки дорога – это дорога, тысяча пьяных мотается, еще обвалы, тысяча напастей...

– О-хо-хо! Ну ты даешь, Бибо, ну даешь! – удивляются соседи и пожав плечами уходят, – это что такое, что за странный юноша, что же из него получится!

– Как что получится? Шофер получится, – говорит всем Бибо.

– Ну давай, давай! – радуются соседи...

Радуются, потому что знают, что если и вправду получится, то это будет основательный, умный шофер. Такой посадит в машинку и повезет все так спокойно, спокойно. Может и по длинной дороге поедет, но уж точно доставит домой. А это главное. А кому не нужны такие основательные, умные шоферы. Поэтому желает Бибо каждый:

– Расти большой, на радость родителям.

И Бибо растет и растет. Гордо ступает по большой, сильной Земле и между тем, пока не вырос совсем большим, пока не стал шофером, улаживает свои детские дела с пыhtением и геройским упрямством.

За ним следует и его друг солнце.

ფიქსირის 66-ე სონეტის ქართული თარგმანები

სონეტის სამშობლოდ იტალია ითვლება, მაგრამ მან თითქმის ყველა ქვეყანა მოიარა და სადაც კი გავრცელდა, ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ქვეყნის პოეტურ სამყაროში.

კლასიკური სონეტის ძირითადი სახეობა თოთხმეტი თანაზომიერი ტაქტისაგან შედგება, რომელიც ოთხ სტროფადაა დაჯგუფებული. პირველი ორი სტროფი ოთხტაქედებს (კატერენებს), ხოლო მეორე ორი – სამტაქედებს (ტერცეტებს) წარმოადგენს. რაც შეეხება რითმას, პირველ ორ სტროფში (კატერენებში) მოსაზღვრე რითმები არ დაიშვება. კლასიკური სონეტის ყველა ტაქტი თანაზომიერი უნდა იყოს, აღებული საზომისათვის დაკანონებული ცეზურების დაცვით. სონეტში ერთხელ უკვე გამოყენებული სიტყვის გამეორებაც არ შეიძლება, თუ, რასაკვირველია, ის შემოქმედს შეგნებულად არ აქვს ნახმარი, როგორც პოეტური ხერხი ან მხატვრული საშუალება. კლასიკური სონეტის აგებულება მეტად სპეციფიკურია. პირველ კატერენში მოცემულია ესა თუ ის თემა, რომელიც ვითარდება მეორე კატერენში. პირველ ტერცეტში იწყება კვანძის გახსნა, რაც საბოლოოდ ხორციელდება ბოლო ტერცეტში, ჩვეულებრივ მის უკანასკნელ ტაქტში, რომელსაც სონეტის გასაღები ეწოდება.

სონეტი ინგლისურ რენესანსულ ლიტერატურაში, იტალიური (კლასიკური) სონეტისაგან განსხვავებით, ახლებურად აუღერდა. ტომას უაიტმა (1503-42წწ.) სცადა გამოეყენებინა კლასიკური სონეტის ფორმა, მაგრამ ბოლომდე არ მისდია მას და ბოლო ორი სტროფი გარითმა, ხოლო ჰენრი სარიმ (1518-47წწ.) სცადა გაემარტივებინა სონეტის ფორმა და შემოიღო სამი ოთხსტრიქონიანი და ორი შემაჯამებელი სტრიქონი. სწორედ ჰენრი სარის მიერ დამკვიდრებული ფორმის სონეტებს ქმნიდა უილიამ შექსპირი.

შექსპირმა ინგლისური რენესანსული პოეზია სონეტების სრულიად ახალი და ორიგინალური ნიმუშებით გაამდიდრა. ამბობენ, შექსპირს რომ არც ერთი პიესა არ დაენერა, მხოლოდ სონეტებითაც მოიპოვებდა უკვდავებასო. მართლაც, ინგლისელები შექსპირს თავიანთ უდიდეს პოეტად მიიჩნევდნენ არა მარტო ლექსად დაწერილი დრამატული ნაწარმოებების, არამედ საკუთრივ ლექსის – სონეტის კლასიკურ სიმალლემდე აყვანის გამო. შექსპირის სონეტები გამოხატავს ავტორის მსოფლალქმისა და მთელი მისი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს, შექსპირის მთარგმნელის ამოცანაც ისაა, რომ სრულად გადმოგვცეს პოეტის ფილოსოფიური კონცეფცია და შეძლებისდაგვარად გვაზიაროს მის მხატვრულ არსენალს.

შექსპირის სონეტების თარგმნა მართლაც რომ ძალზე რთულია. თუ მთარგმნელი დარწმუნებული არაა საკუთარ ძალებში, ალბათ ვერ გაბედავს ასეთი საქმისათვის ხელის მოკიდებას. „მთარგმნელი ხომ ავტორის მეტოქეა“ და ადვილი არ უნდა იყოს შეეჭიდო ისეთ გენიოსს, როგორიც შექსპირია. გარდა ამისა, თარგმნისას სიძნელეს ქმნის სონეტის კომპოზიციის მკაცრი ნესები. ამას თან ერთვის „ტექსტის ამოკითხვის საყოველთაოდ ცნობილი სირთულე და ის ერთგვარი დამახასიათებელი ლექსიკა, რომელიც ტრიალებს სონეტებში და ქმნის ხშირად ძნელად დასაჭერ და გადმოსაცემ ნიუანსებს. აგრეთვე სიტყვათა თამაში, რომელიც ხშირად ეწყობა მოპირდაპირე ცნებების, ომონიმების და ერთნაირი ფუძის მქონე სიტყვების სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოყენებით.“ (ნ. ყიასაშვილის წინასიტყვაობა, შექსპირის სონეტები, 1979 წ.)

ალბათ ამიტომაცაა, რომ მიუხედავად ქართველი მკითხველის დიდი ინტერესისა შექსპირის შემოქმედებისადმი, მისი „სონეტები“ მხოლოდ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ითარგმნა. ამის მიზეზად შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ სონეტს ქართულ ორიგინალურ თუ მთარგმნელობით პოეზიაში არა აქვს მაინცდამაინც ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები. 1897 წელს შალვა დადიანმა გამოაქვეყნა შექსპირის ერთი სონეტის თარგმანი, ხოლო 1908 წელს ს. შანშიაშ-

ვილმა თარგმნა ოთხი სონეტი, მაგრამ ისინი უფრო რუსული თარგმანების გამეორებას წარმოადგენდა და დაშორებულები იყო დედანს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ შექსპირის პირველი ანგარიშგასაწევი ინგლისური ენიდან შესრულებული თარგმანები ეკუთვნის გ. გაჩეჩილაძესა და რ. თაბუკაშვილს. განსაკუთრებით ნაყოფიერია ამ მხრივ 1949-52 წლები, როცა გ. გაჩეჩილაძე და რ. თაბუკაშვილი ჟურნალ-გაზეთებში ხშირად აქვეყნებდნენ შექსპირის სონეტების თარგმანებს. 1952 წელს გ. გაჩეჩილაძემ წიგნად გამოსცა შექსპირის 154 სონეტის თარგმანი, ხოლო 1968 წელს უკვე რ. თაბუკაშვილმა გამოაქვეყნა შექსპირის ასი სონეტის თარგმანი. ამის შემდგომ შეწყდა სონეტების თარგმნა და თითქმის აღარავინ დაინტერესებულა ამ პასუხსაგები საქმით, ხოლო 1997 წლიდან კი იბეჭდება შექსპირის ცალკეული სონეტების თარგმანებიც და სრული კრებულებიც, შესრულებულნი ცნობილ თუ დამწყებ მთარგმნელთა მიერ.

„სონეტების“ თარგმანის თავისებურ მთავარ სასინჯ ქვად სამართლიანადაა მიჩნეული სამოცდამეექვსე სონეტი. გვსურს, არსებული თარგმანები ამ ერთი სონეტის მაგალითზე მიმოვიხილოთ.

გარდა იმისა, რომ 66-ე სონეტი საოცრად ღრმა შინაარსის მატარებელია, იგი ძალზე რთული სათარგმნია. იგი აგებულია შეპირისპირების პრინციპით. ყველა ანტითეზა, რიცხვით თერთმეტი, ექვემდებარება მეორე სტრიქონის სიტყვას „behold“ (ხედვა, ყურება). სონეტის თერთმეტი სტრიქონი სინტაქსური პარალელიზმით არის აგებული და ათი სტრიქონი კი ზედიზედ იწყება კავშირით „and“ (და). ამასთანავე, სონეტის პოეტური ქსოვილი უაღრესად სადაა, რაც თარგმნის დროს წარმოშობს გამარტივების საშიშროებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ის დასკვნაც კი გამოვიტანოთ, რომ 66-ე სონეტის თარგმნა ყველაზე რთული უნდა ყოფილიყო მთარგმნელებისათვის. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ განსახილველად მაინცდამაინც ეს სონეტი და არა სხვა.

დღემდე შექსპირის სონეტების ხსენება ჩვენში რეზო თაბუკაშვილის ასოციაციას აღძრავს. მისი თარგმანები ყველაზე მეტად აიტაცა და შეიყვარა ხალხმა. ავტორის მიზანიც ხომ ის იყო, რომ მისი ქმნილებები

ხალხის ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო. ეს ფაქტიც კმარა იმის მიზეზად, რომ საუბარი სწორედ რეზო თაბუკაშვილის თარგმანებით დავიწყეთ.

მან ოცდაათი წელი მოანდომა შექსპირის სონეტების თარგმნას და ამ ხნის განმავლობაში არაერთგზის გადაამუშავა და სრულყო თავისი თარგმანები. ოცდაათი წელი მართლაც რომ მთელი სიცოცხლეა და ეს ერთგულება მის თარგმანებს საოცარ ხიბლს ანიჭებს.

რეზო თაბუკაშვილის თარგმანებს აღფრთოვანებით შეხედა ქართველი მკითხველი და ქართული კრიტიკა. „თაბუკაშვილის თარგმანი დიდი მნიშვნელობის ფაქტია. „იგი მოწმობს... შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნის იმ შესანიშნავი ტრადიციის განმტკიცებასა და განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია დიდი ილიასა და მაჩაბლის სახელებთან“, – აღნიშნავდა ი. კონჭოშვილი. (ი. კონჭოშვილი, შექსპირის სონეტების ახალი თარგმანი, „ქართული შექსპირიანა“, ტ III, გვ. 120) თ. ჩაჩავა კი აცხადებს: „გადავმლი სონეტებს, ვკითხულობთ ორივე ენაზე, ვადარებ და დროდადრო თარგმანი ორიგინალზე მეტად მომწონს – თავისი მუსიკალური წყობით, პოეტური ენით, შინაგანი მღელვარებით, აზრის მოხდენილი და ლამაზი გამოხატვით და თავშეკავებული, მშვენიერებად ქცეული რომანტიზმით“. (თ. ჩაჩავა, რეზო თაბუკაშვილი-შექსპირის სონეტების მთარგმნელი, ლიტერატურული საქართველო, 29. 10-4. 11, 2004 წ., № 43).

ახლა კი, რაც შეეხება კერძოდ 66-ე სონეტს;

პოეტური თარგმანის დროს ერთ-ერთი არსებითია დედნის შესატყვისი პოეტური საზომის შერჩევის საკითხი, ვინაიდან დედნის სალექსო საზომის მექანიკურ გადმოტანას ყოველთვის არ მოსდევს სასურველი შედეგი. ჩვენში მიღებულია თვალსაზრისი, რომ ინგლისური სიტყვების დიდი ნაწილის მონოსილაბიზმის და ქართულ სიტყვათა უმრავლესობის მრავალმარცვლიანობის გამო ინგლისურ იამბურ ათმარცვლიან საზომს ქართულ ლექსში ყველაზე უკეთ გამოხატავს თოთხმეტმარცვლიანი საზომი. რეზო თაბუკაშვილსაც იგივე საზომი აქვს გამოყენებული „სონეტების“ თარგმნისას. ჩვენი აზრით, აღნიშნული საზომი კარგად გადმოსცემს ქართულ ენაზე შექსპირის დრამებისათუ

პოეზიის კილოს და იგი ერთ-ერთი არსებითი ხერხია, რომლითაც მთარგმნელი ახლოს მიდის შექსპირის სონეტების შინაგან ძალასთან.

თაბუკაშვილის მიერ შესრულებული თარგმანი 66-ე სონეტისა უაღრესად ექსპრესიულია, ტექნიკურადაც სრულიად გამართულია. მასში თითქმის ზუსტადაა გადმოცემული დედნის პოეტური ქსოვილი და შინაარსი.

მთარგმნელი სამართლიანად უწევს ანგარიშს დედანში სტრიქონთა ერთნაირი სიტყვით დაწყების პოეტურ ფუნქციას, მაგრამ დედნისეული „დას“ ნაცვლად ხმარობს სიტყვას „რადგან“:

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება“.

ეს, ჩვენი აზრით, კონტექსტის მიხედვითაც გამართლებულია. ვფიქრობთ, რომ მთავარი იყო არა მაინცდამაინც „და“ კავშირის გამეორება, არამედ ათივე სტრიქონის დაწყება ერთი და იმავე სიტყვით, რომელიც ერთ მთლიანობად შეკრავდა მთელ სონეტს.

მთარგმნელს მხედველობაში მიღებული აქვს ისიც, რომ დედნის ლექსიკასა და სალიტერატურო ენას შორის სხვაობა თითქმის შეუმჩნეველია. ეს საყურადღებო დეტალიც შენარჩუნებულია თარგმანში საერთო პოეტურობასთან ერთად, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ სონეტი თარგმნილია დედნის გასაღებით.

რ. თაბუკაშვილის თარგმანი თავისუფალია არქაიზაციისაგან, რაც ყალბ ტონს შეიტანდა სონეტებში, ვინაიდან შექსპირს მათში გამოთქმული აქვს ახალი, მისი პოეტური ეპოქისათვის თანადროული აზრები და განცდები, რომელთა პოეტური ენაც, შესაბამისად, ახალი და თანადროული იყო. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველაზე მეტად გამართლებულია შექსპირის და, საერთოდ, წარსულის კლასიკოსთა თარგმნის ის გზა, რომლისთვისაც უცხოა როგორც არქაიზაციის, ისე მოდერნიზაციის უკიდურესობა. ამ გზას ადგას თაბუკაშვილი და ამით

იგი ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი ტრადიციის კვალს მიჰყვება.

ინგლისურენოვანი სონეტის აღნაგობის თანახმად, 66-ე სონეტს აგვირგვინებს დასკვნითი სტრიქონი, რომელიც იწყება იმ სიტყვების გამოვლით, რომლებითაც იწყება სონეტი. თარგმანშიც აუცილებელია, ეს სიტყვები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სონეტის წინა ნაწილთან, კერძოდ, მესამე კატერენის დასასრულთან. საინტერესოა და, ცოტა არ იყოს გასაკვირიც, მაგრამ ეს სტრიქონები ბევრ მთარგმნელს (მაგ. გერბელს, ჩერნიშევსკის, მარშაკს და ა.შ.) თარგმნილი აქვს, ასე ვთქვათ, „ეგოისტურ პლანში“ (მოვკვდებოდი, მაგრამ არ შემოძლია უშენოდო), რაც საპირისპიროა იმისა, რისი თქმაც სურდა შექსპირს (ი.კონჭოვილი, „შექსპირის „სონეტების“ ახალი თარგმანი“). რ. თაბუკაშვილს კი, დედნის მსგავსად, მახვილი გადატანილი აქვს მეგობრისა თუ სატრფოსადმი ზრუნვაზე, კერძოდ იმაზე, რომ არ უნდა ობლად, მარტოდმარტო დატოვოს საყვარელი ადამიანი:

„ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბჭოთა კრიტიკარ. თაბუკაშვილის თარგმანს ადეკვატურად იდეალურად და უშეცდომოდ მიიჩნევდა, მაგრამ ბოლო წლებში ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა შექსპირის სონეტების ძირეულად შესწავლის შედეგად მათშიც აღმოაჩინა გარკვეული უზუსტობანი. რაც შეეხება კერძოდ 66-ე სონეტს, მკვლევარს აქ თვალში მოხვდა რამდენიმე სტრიქონის ალოგიკურობა. ესენია: „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“; „რადგან მრუშობით შელახულა უმანკობა“ და „რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება“. „განა შეიძლება მათხოვრად გადაიქცეს ღირსება, რომელიც თავისთავად მაღალი ზნეობის მაჩვენებელია? იგივე ითქმის სიცრუეზე, რომელიც ვერ გაცდება ერთგულების თვისება და უმანკობაც უმანკობად დარჩება მუდამ, მას მრუშობა ვერ შელახავს“ – აცხადებს იგი. ქ-ნი ინესას აზრით, პირველ შემთხვევაში (As to behold desert a begger born) მთარგმნელი შესაძლოა დააბნია სიტყვამ „desert“, რომელიც მან

არსებით სახელად მიიჩნია თანახმად არაერთი ინგლისურენოვანი განმარტებისა. მაგრამ საქმის გახლავთ, რომ „desert“ იხმარება არამხოლოდ როგორც სახელი, არამედ როგორც ნამყო დროის მიმღეობა ზმნისა „deserver“, ნიშნავს „დაჯილდოებულს“, „პატივით შემოსილს“, ანუ ზუსტად იმას, რაც შექსპირის სონეტში მოიაზრება. ამრიგად, თაბუკაშვილთან ღირსებაა გამათხოვრებული, მაშინ, როცა შექსპირთან მათხოვრად შობილი კაცი შეამკეს ქება-დიდებათ.

იქ, სადაც შექსპირი წერს: „and purest faith unhappily forthworn“ (და უწმინდესი რწმენა უბედურადაა უარყოფილი), თაბუკაშვილი თარგმნის „რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება“, რაც, მკვლევარის აზრით, ასევე ვერ ჯდება ლოგიკური მსჯელობის ჩარჩოებში. ხოლო რაც შეეხება მესამე მაგალითს, სადაც შექსპირი წერს: „and maiden virtue rudely strumpeted“. ეს მაგალითი ნიშნავს „ქალწულის უმანკოებაზე უხეშად იძალადეს“ ან „ქალწულს უხეშად დასწამეს გარყვნილება“. მართალია, ინგლისურ ენაში „strumpet“ მრუშს ნიშნავს, მაგრამ არაერთი ლექსიკოგრაფიული წყარო ადასტურებს, რომ შექსპირი აქმას ხმარობს, როგორც ნამყო დროის მიმღეობას ზმნისა „strumpeted“. (იხ. ინესა მერაბიშვილი, შექსპირის დასაცავად, ლიტ. საქართველო, 2004 წელი). თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი შინაარსობლივი უზუსტობებისა, რ. თაბუკაშვილი დღემდე შექსპირის სონეტების ქართულ ენაზე საუკეთესო მთარგმნელად რჩება.

რაც შეეხება გივი გაჩეჩილაძის თარგმანს, თავისთავად დასაფასებელია და მისასალმებელი თუნდაც იმის გამო, რომ ეს ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო შექსპირის სონეტების ქართულ ენაზე ამეტყველებისა.

გივი გაჩეჩილაძის თარგმანიც თოთხმეტმარცვლიანი საზომითაა შესრულებული, რაც უხდება ტექსტს. რითმა კატერენებში ჯვარედინია, დასკვნით სტროფში-მოსაზღვრე. მასაც დაცული აქვს სტრიქონების ერთი სიტყვით დაწყების პოეტური ფუნქცია, თუმცა, რ. თაბუკაშვილისაგან განსხვავებით, ეს სიტყვა პირდაპირ აქვს ნათარგმნი, და, ჩვენი აზრით, ეს ცოტა არ იყოს არაბუნებრივს ხდის თარგმანს, რადგან „და“

კავშირის ხმარება ასეთი სიხშირით ქართული ენისათვის დამახასიათებელი არაა:

„და ხელოვნებას ბრძანებებით დაბმია ენა
და ბრძნად გვაჩვენებს თავს რეგენი გამობრძმედილი
და სისულელედ ეჩვენება სიმართლე სმენას
და თავის მონად უქცევია ბოროტს კეთილი“.

მთარგმნელი, როგორც ჩანს, ცდილობდა, მაქსიმალურად სწორად გადმოეთანა დედნის შინაარსი და ფორმა. ეს მან მეტნაკლებად მოახერხა კიდეც, მაგრამ არა – სრულყოფილად.

თარგმანის ენა არაა არქაიზმებით გადატვირთული, მაგრამ მისი გაგება მაინც არცთუ ისე ადვილია. სირთულეს ქმნის ახალი სახეების შემოტანა, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ძალით ჩაურთავთო ტექსტში, მაგ., როგორებიცაა: „რადგან ნთქავს ნდობას სიცრუის ზღვა ვრცელი, უძირო, სულით ღატაკი ზღვა სიმდიდრით როგორ ივსება“ და ა. შ.

თარგმანის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ არაა ადეკვატურად თარგმნილი სონეტის დასკვნითი ტაეპი. აქ მიმართვა მეორე პირისადმია გადატანილი, და, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იმგვარ „ეგოისტურ პლნშია“ ნათარგმნი, რომელზედაც ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი. ეს კი ეწინააღმდეგება შექსპირის მსოფლმხედველობას. დასკვნითი სტროფის ასეთი თარგმანი მოგვაგონებს რუსი მთარგმნელების მიერ შესრულებულ თარგმანებს, მაგ., მარშაკისას:

„Всё мерзостно, что вижу я вокруг,
Но как тебя покинуть, милый друг!“

აქაც მიმართვა მეორე პირისადმია, ხოლო თუ მას შევადარებთ გ. გაჩეჩილაძის მიერ ნათარგმნ ამავე მონაკვეთს

„დაქანცული ვარ და სიცოცხლე არ მსურს სრულებით,
მაგრამ ვერ ვტოვებ, რადგან ქვეყნად შენ მეგულები.“ (2)

მსგავსება ამ ორ თარგმანს შორის უფრო თვალსაჩინო გახდება.

1997 წელს 66-ე სონეტის თარგმანი შეასრულა თანამედროვე პოეტმა კოტე ყუბანეიშვილმა. მისი თარგმანი 14-მარცვლიანი საზომითაა აწყობილი, დაცულია დედნის რითმა, მაგრამ რამდენადაც ზუსტადაა გადმოტანილი დედნის ფორმა, იმდენად შეცვლილია მისი შინაარსი. მაგალითისთვის მოვიტანთ თარგმანის პირველ სტროფს:

„ცხოვრებისაგან გადაღლილი, მე სიკედილს ვნატრობ,
კეთილშობილის როცა ვხედავ გამათხოვრებას,
პატიოსნება ილახება როდესაც ვატყობ,
ან უვარგისი როგორ იხდენს კარგად ცხოვრებას.“

ფიქრობთ, თარგმანის ნაკლზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მთარგმნელი არ იცავს დედნის სტილს და ერთი სიტყვით არ იწყებს სტრიქონებს. თარგმნის ენაც უფრო სასაუბროა, ვიდრე სალიტერატურო, რაც, რასაკვირველია, არ შეესაბამება 66-ე სონეტის ენას.

თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ კოტე ყუბანეიშვილს სწორედ აქვს გადმოცემული სონეტის კოდის აზრი იმის შესახებ, რომ ავტორს სიკედილი სურს, მაგრამ ვერ ტოვებს ამ ქვეყანას, რადგან სატრფოს მარტო დატოვება არ უნდა:

„ჩემი გონება ასეთ ყოფას მშვიდ სიკედილს არჩევს,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო მარტო რომ დარჩეს.“

1998 წელს ჟურნალ „კლდეკარში“ გამოქვეყნდა შექსპირის 66-ე სონეტის ახალი თარგმანი, შესრულებული ქალბატონ ინესა მერაბიშვილის მიერ. თარგმანის უმთავრესი ღირსება არის ის, რომ მთარგმნელს ტექსტი ზედმიწევნით ღრმად აქვს შესწავლილი, გააზრებული აქვს ყოველი სიტყვის მნიშვნელობა, სწორედ აქვს წაკითხული დედანი.

თარგმანი შესრულებულია 14-მარცვლიანი საზომით.

თარგმანის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ, რითმა ყოველ-

* „ინგლისური სონეტები“, თბ. 1997 წელი, თარგმანი კოტე ყუბანეიშვილისა.

თვის არაა დაცული, რაც ძალზე უცხოა შექსპირისთვის. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ერთ სტროფა:

„დღეს ხელოვნება დაამუნჯა მმართველმა ძალამ,
თაქარიანი, თუ უვიცი, თრგუნავს გონებას,
ვხედავ, კაი ყმა ტყვეობაში ისევ სულს ლაფავს,
პირდაპირობა და სიმართლე არ სცნეს მონებმა.“ (2)

მოცემულ სტროფში სიტყვები „ძალამ“ და „ლაფავს“ წესით უნდა ირითმებოდეს, რადგან დედანში გვხვდება ჯვარედინი რითმა, თარგმანის მოყვანილ ნაწყვეტში კი ეს ასე არაა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქალბატონ ინესას ტექსტში შემოტანილი აქვს არაშექსპირისეული სახეები, მაგ. „კაი ყმა“. ჩვენი აზრით, ეს სახე ზედმეტად ქართულია და შექსპირის სონეტის კითხვისას მკითხველში ვაჟა-ფშაველას ასოციაციას იწვევს, რაც, რასაკვირველია, არამართებულია. მთარგმნელს უცდია, სწორად გადმოეცა დედნის შინაარსი, თუმცაღა ვხვდებით თავისუფალ თარგმანსაც ამა თუ იმ ტიპისას (მაგ., კაი ყმა).

რაც შეეხება სონეტის ე. წ. „კოდს“, მთარგმნელს ის დედნის შესაბამისად აქვს ნათარგმნი:

„ასე დაღლილი ამ ყველაფრით არყოფნას ვნატრობ,
მაგრამ, ვაი რომ, ჩემს სიყვარულს აქ ვტოვებ მარტო“.

თუმცაღა, აქვე უნდა ღინიშნოს, რომ მთარგმნელი არ იწყებს სტრიქონებს ერთი და იმავე სიტყვით, რაც თარგმანს დედნისგან აშორებს და ხიბლს უკარგავს.

2004 წელს გამოვიდა ახალი, სრული კრებული შექსპირის სონეტების თარგმანებისა, რომელთა მთარგმნელია თემურ რუხაძე.

ეს თარგმანები ყველა დანარჩენისაგან გამოირჩევა იმით, რომ მათში არც რითმაა დაცული, არც შინაარსი, რაშიც დარწმუნდებით 66-ე სონეტის თარგმანის მაგალითზე.

აღნიშნული სონეტის პირველი ორი სტრიქონი შესრულებულია ათ-მარცვლიანი საზომით, შემდეგი ორი სტრიქონი თხუთმეტმარცვლიანია, მომდევნო ხუთი – თოთხმეტმარცვლიანი, შემდეგ კი მოდის ერთი ათმარცვლიანი და ორი თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონი, სონეტის კოდის პირველი ორი სტრიქონი ათმარცვლიანია, ხოლო მომდევნო ორი კი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თოთხმეტმარცვლიანი. ეს, რასაკვირველია, სონეტის კონსტრუქციის თვითნებური და უხეში დარღვევაა.

რაც შეეხება რითმას, ის მხოლოდ ზოგან გვხვდება. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ სონეტის ფორმა მისი შინაარსის ზუსტმა გადმოლებამ შეინირა, მაგრამ ეს ასე არაა. თვით შინაარსიც სონეტისა უაღრესად თავისუფლადაა თარგმნილი. შეიძლება ითქვას, ზედმეტად თავისუფლადაც კი. მაგალითისთვის მოვიტანთ სონეტის პირველ სტროფს:

„დავეძებ სიკედილს, ვით ავიტანო,
როცა ღირსება მარცხდება ომში,
უბრალოებას როცა ასე დასცინის ტყუილი,
არარაობა როს გამოდის ღირსების დროში.“

მთარგმნელი დედნის მიხედვით სტრიქონების ერთი სიტყვით დაწყებაზეც უარს აცხადებს, თუ არ ჩავთვლით სამჯერ ზედიზედ (და ისიც ალბათ შემთხვევით) ნახმარ „როს“-ს. თარგმანი ტექნიკურადაც არაა გამართული, მაგ. „ხელოვნებაზე როს უპყრია მორბევას ნება“, „და როს ძლიერი დაატყვევა დაუძღურებამ“ და ა.შ. თარგმანი თითქოსდა ხელოვნურადაა დამძიმებული არქაიზმებით, რაც ესოდენ უცხოა შექსპირის ენისთვის, რომელიც ყველისთვის გასაგები და მისაღები იყო.

შეცვლილია სონეტის კოდის თარგმანიც. მიმართვა მეორე პირისადმია:

„შენ რომ არ მყავდე ძვირფასო, მაშინ,
მოვიპოვებდი მოსვენებას ალბათ საფლავში.“

* შექსპირის „სონეტები“, 2004 წელი, თარგმანი თეიმურაზ რუხაძისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ აღნიშნულ თარგმანს არაადეკვატურად მივიჩნევთ.

2004 წელს გამოქვეყნდა შექსპირის რჩეული სონეტების ალექსანდრე ელერდაშვილისეული თარგმანები. წინასიტყვაობაში თავად მთარგმნელი აღნიშნავს, რომ ახალი თარგმანები ერთგვარი თავისუფლებით ხასიათდება. მთარგმნელი ამას შემდეგნაირად ხსნის: ეს თარგმანები „იმ დაუნერეელი კანონის ერთგულებას გამოხატავს, რომელიც ღალატებს – მაქსიმალურად დაშორდი ორიგინალს, თუ მაქსიმალური წარმატების მიღწევა გასურს.“ (შექსპირის „სონეტები“, ფანტაზია, 2004 წ. თარგმანი ალექსანდრე ელერდაშვილისა.)

მართლაც, ალ. ელერდაშვილისეული თარგმანები და, მათ შორის, 66-ე სონეტიც, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისუფლად ნათარგმნი, თუმცაღა მაქსიმალურადაა დაცული დედნის ფორმა. თარგმანი თოთხმეტმარცვლიანი საზომითაა შესრულებული, რითმა კატერენებში ჯვარედინია, ორტაეპედში – მოსაზღვრე, როგორც ეს დედანშია. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად შინაარსის გადასხვაფერებისა, სონეტის საერთო იდეა მაინც შენარჩუნებულია, უბრალოდ, მოქმედება XVI საუკუნის ინგლისიდან XXI საუკუნის საქართველოშია გადმოტანილი. შექსპირი თავისი დროის უკულმართობას აღწერს, ალ. ელერდაშვილი კი – XXI საუკუნის საქართველოს მდგომარეობას, მაგ:

„ყველაფრით დაღლილს, მენატრება სიკვდილით შვება,
რადგან შეეცურებ სამათხოვროდ შობილ თაობას“

ან

„და უმეცრები განათლების საქმეს მართავენ
და სულმდაბალნი ბატონობენ შთაგონებაზე“. (3)

მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შესანიშნავად გაურთმევია თავი სონეტის კოდის თარგმნისთვის:

„ყველაფრით დაღლილს სიკვდილიღა მიელავს თვალში,
მაგრამ ჩემს სატრფოს ვერ დავტოვებ ამ ცოდვა-ბრალში.“ (4)

მას დაცული აქვს სტრიქონთა ერთი და იმავე სიტყვით დაწყების ფუნქცია. თარგმნის ენა სალიტერატუროა, თანაც ყველასათვის მისაღები და სასიამოვნო მოსასმენია, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი ძალზედ თავისუფლადაა შესრულებული, ჩვენ მაინც მოხიბლულნი ვართ მისით, თუმცაღა მას გადმოკეთებად უფრო მივიჩნიეთ, ვიდრე თარგმანად.

შექსპირის 66-ე სონეტის ქართულ ენაზე თარგმანი ეკუთვნის, აგრეთვე, ახალგაზრდა მთარგმნელს, თინათინ ტაბიძეს. აღნიშნული თარგმანი გამოქვეყნებული არაა, მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რადგან ის ერთადერთი თარგმანია ამ სონეტისა, რომელიც პნკარედიდანაა შესრულებული. მთარგმნელმა ორიგინალის ენა არ იცის.

თარგმანი შესრულებულია 14-მარცვლიანი, დიდბესიკური საზომით. რითმა, როგორც დედანში, ჯვარედინია, თუმცა ზოგჯერ ირლევია.

რაც შეეხება დედნის შინაარსს, იგი შეცვლილია, რაც შეიძლება იმასაც დავაბრალოთ, რომ თარგმანი პნკარედიდანაა შესრულებული. შემოტანილია ახალი სახეები, მაგ: მტირალი მესიტყვე, კდება კდება და ა.შ. თარგმანში უხვადაა ალიტერაციები, რაც მას სასიამოვნო მოსასმენს ხდის, თუმცაღა ყოველივე ეს ორიგინალის შინაარსის შეცვლის ხარჯზე ხდება.

თარგმანის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ აქ არაა დაცული სტრიქონების ერთი სიტყვით დაწყების ის წესი, რაც დედანს ახასიათებს და ეს თარგმანს იმ ემოციას აცლის, რაც შექსპირთან გვხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ თარგმანში გვხვდება დიდი რაოდენობით არქაიზმები, მაგ: სამზერული (თვალი), კდება, მესიტყვე, ქმნულკეთილება, დასიზმრდეს, რაც თავად მთარგმნელის ინდივიდუალური სტილია. რაც შეეხება დედნის ავტორს, იგი თავის ნაწარმოებებს ხალხისთვის წერდა მისთვის გასაგებ ენაზე. მის სონეტებს ზეპირად სწავლობდნენ, მღეროდნენ, ეს კი ყოველგვარ მაღალფარდოვნებას გამოიწვევდა. „როგორც ყველაფერი შექსპირის ხელში, სონეტიც მკაცრ კომპოზიციურ ფორმაში ოსტატის მარჯვე ხელით დამწყვედული უშუალო და ბუნებრივი ცოცხალი აზრის და გრძნობების გამოხატვის საშუალებაა და არა საჯარო-

არისტოკრატიული, მაღალფარდოვანი და პირობითი, ყალბი და ხელოვნური პოეზიის ქმნილება. როგორც თავის დრამატულ ნაწარმოებებში, შექსპირი სონეტებშიც გამოდის ხელოვნური და მაღალფარდოვანი მეტყველების წინაარმდეგ (სონეტი 21, 130) ან ამტკიცებს უშუალო ბუნებრიობის პრინციპს წინააღმდეგ ხელოვნურობისა“. (ი. კონჭოშვილი, „შექსპირის სონეტების ახალი თარგმანი“, ქართული შექსპირიანა, III ტომი, თბ. 1972 წ.). ამიტომ შექსპირის სონეტების თარგმნა მაღალფარდოვანი სტილით სრულიად გაუმართლებელია. ამას ვერც იმიტ ავხსნით, რომ მთარგმნელის XVI საუკუნის მეტყველების გადმოცემა სურდა არქაიზმებით, რადგან შექსპირის ენა დღესაც სავსებით ბუნებრივი და სადაა.

რაც შეეხება დასკვნით ეტაპს სონეტისას, იგი გამოხატავს შექსპირის ჰუმანიზმს, მაგრამ შინაარსი აქაც შეცვლილია და მასაც დასტყობია მთარგმნელის ხელი:

„მეჩნება ჭმუნვაც, სანუთროდან თუნდაც გავიქცე,
სულს სიყვარულის სიმარტოვე არ სურს დასიზმრდეს.“

ჩვენ მოყვანილ თარგმანს შევაფასებდით, როგორც თავისუფალ თარგმანს.

შექსპირის 66-ე სონეტის ქართული თარგმანების განხილვამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თარგმნა მეტად სერიოზული პროცესია. მთარგმნელის ამოცანაა, რაც შეიძლება ადეკვატურად თარგმნოს დედანი, დაიცვას „ფორმისა და შინაარსის ერთიანობა“ და, რაც მთავარია, ყურადღებით მოეკიდოს სათარგმნი მასალის შერჩევას, რათა ავტორის ნააზრევი მკითხველს სრულყოფილად თუ არა, დაუმახინჯებლად მანინც არ გადასცეს.